საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№13 (578)
14 - 20 აპრილი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 14 აპრილი დედაენის დღეა

18

## დიდი ხანია, ხელისუფლებამ «პური და სანახაობიდან» პური ამოიღო და მხოლოდ სანახაობით კვებავს ხალხს

2




**ბატონებო, საქართველოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე იფიქრეთ და არა იმაზე, რა ესიამოვნება დანიელსონსა თუ მიშელს!**




5

## «სინოფარმის» ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!



4

ნანა კაკაბაძე:

## პირველივე შემთხვევაში, როცა ვინმეს სამსახურიდან გაუშვებენ ან სხვა ფორმით აიძულებენ ვაქცინაციას, უნდა დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები

## გერინგის თოფით რუსეთის წინააღმდეგ

6-7



## «ნატო ვერ ჩაებმება რუსეთთან ღია ომში, ამიტომ აუცილებლად გამოიყენებს მესამე სახელმწიფოს, რომლის ნანგრევებზეც მერე ტრადიციულად შეშფოთდება»

3



## პრეზიდენტ ზურაბიშვილის სახიფათო ინიციატივა

21



## თურქეთმა გაბედა: ერდოღანმა ურსულა ფონ დერ ლაიენს ადგილი მიუჩინა

17



## ვის აკისრებენ ენგურზე მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას აფხაზეთში მცხოვრები ქართველები

8

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონო ირაკლი, გარწმუნებთ, 10 წლის განმავლობაში თქვენ პრემიერი არ და ვერ იქნებით. თქვენ მიერ შემუშავებული ათწლედის გეგმა კვლავ დავიწყებას მიეცემა, კვლავ ჩაილურის წყალს დალევს და არავის ემახსოვრება. ჰოდა, მისი შემუშავებისთვის ადამიანური და ფინანსური რესურსის დახარჯვა მართებული არ გვგონია, თორემ აგერ თქვენ და აგერ ჩვენ, აუცილებლად გაგახსენებთ ამას.**

# დიდი ხანია, ხელისუფლებამ «პური და სანახაობიდან» პური ამოიღო და მხოლოდ სანახაობით კვებავს ხალხს

საქართველოს საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ერთადერთი ორგანიზებული ბაზარია საქართველოში. ის სრულად აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის ყველა საბაზისო მოთხოვნას. ჰოდა, როგორ გგონიათ, გასულ თვეში ამ ფასიანი ქაღალდების ერთადერთ ბაზარზე ბრუნვა რამდენი იყო? ოფიციალური მონაცემებით, ეს მონაცემი ასე გამოისახება — 0! ჰო, მარტში საქართველოს საფონდო ბირჟის ბრუნვამ ნული ლარი შეადგინა, ანუ არავის არაფერი გაუყიდია და არავის არაფერი უყიდია.

12 აპრილს საქართველოს მთავრობას 10 წლის წინათ გამოშვებული ევროობლიგაციების ძირი თანხა — 500 მილიონი დოლარი — უნდა გადაეხადა. სამწუხაროდ, არ ვიცით, რა მოახერხა სახელმწიფომ, რადგან მონაცემები თვის ბოლოს გვექნება, მაგრამ ვალის მომსახურება მისი რეფინანსებით უნდა მოხდეს, რაც მის სანაცვლოდ ახალი 500-მილიონიანი ევროობლიგაციების გამოშვებას ნიშნავს. ახალი ევრობონდის გამოშვების თარილის შესახებ მთავრობას საჯაროდ ინფორმაცია აქამდე არ გაუვრცელებია. შესაბამისად, იზრდება ალბათობა, რომ ამ სესხის მომსახურებისთვის არა ახალ სესხს, არამედ ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე არსებული ბიუჯეტის ნაშთს გამოიყენებს და დანაკლისი მხოლოდ ახალი 500-მილიონიანი ვალის აღების შემდეგ შეივსოს. და ვინ მოგვცემს ახალ ვალს?

„2021-23 წლებში საქართველო აზიის განვითარების ბანკთან არსებული სასესხო შეთანხმებების ფარგლებში 1 მლრდ დოლარის დაფინანსებას მიიღებს", — განაცხადა საქართველოში ბანკის წარმომადგენლობის დირექტორმა **შეინ როზენტალმა.** ოფიციალურად ეს დაფინანსება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სოფლის მეურნეობას, ენერგოსისტემასა და განათლებას უნდა მოხმარდეს. ოფიციალურად იმიტომ, რომ ადრეც გვსმენია კონკრეტული მიმართულებით აღებული მილიონობით სესხი, მაგრამ სფეროს არაფერი დატყობია.

**მარტში საქართველოს საფონდო ბირჟაზე ნულოვანი ბრუნვა პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკა, უბრალოდ, აღარ არსებობს, გარდაიცვალა, განულდა. ამის მთავარ მიზეზად ექსპერტები ასახელებენ იმას, რომ ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა იანვრის დასაწყისში, 3-15 იანვარი დასვენების დღეებად გამოაცხადა. ამით პანდემიის გავრცელება შეამცირა, მაგრამ სწორედ იანვარში, ეკონომიკის დაცემამ რეკორდულ 11,3%-ს მიაღწია. ეს იცის ხელისუფლებამაც და, ამის მიუხედავად, 4-11 მაისი კვლავ უქმე დღეებად გამოცხადდა.**

ამ უქმეებმა პანდემიის გავრცელების მასშტაბი უნდა შეამციროს, მაგრამ, თუ ეკონომიკური ვარდნის მაჩვენებელი კვლავ რეკორდული იქნება, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ წლის ბოლოს, რეგიონში კი არა, მთელ მსოფლიოში ეკონომიკის შემცირების მაჩვენებლით პირველ ადგილზე ვიქნებით.

**წინა ხელისუფლების მიერ ტურიზმზე აწყობილი ქვეყანა (ეს კურსი ახალმაც „წარმატებით" გააგრძელა) არანორმალურად დაეცა მას შემდეგ, რაც ტურიზმი, უბრალოდ, გაჩერდა. სამწუხაროდ, ტურისტების ნაკადს არც წელს ველოდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი უცხოური ვალუტის შემოდინება არ იქნება. სატირალია (სასაცილოს შეგნებულად არ ვამბობთ) ის, რომ ქართული ეკონომიკა ახლა მთლიანად ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხებზეა დამოკიდებული.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უახლოეს პერიოდში არ არის მოსალოდნელი და **ერთადერთი, რაზეც სახელმწიფოს გათვლა აქვს, „ნამოხვანჰესის" პროექტია, რომელსაც ლამის მთელი საქართველო ეწინააღმდეგება. იმ კაბალური პირობებით, რომლებიც ცნობილი შეიქნა, „ნამოხვანჰესის" კი არა, ნებისმიერი რამის მშენებლობა აბსურდული იქნებოდა, მაგრამ დიდი ხანია, აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ და ესეც მორიგი სპექტაკლია.**

სწორედ ამიტომ გვგონია, რომ სახელმწიფო შეგნებულად ცდილობს, მოსახლეობა მიიყვანოს იმ ზომამდე, რომ გადარჩენის ერთადერთ გზად და წყაროდ „ნამოხვანჰესის" მშენებლობა დაანახვოს, პროტესტი მორჩეს და ქვეყანაში შემოსასვლელი 400 მილიონის ინვესტიცია როგორმე „გააპრავოს". ცოდვა გამხელილი ჯობიაო და ისიც გვგონია, ამ პროექტში კონკრეტული ადამიანების ინტერესები დევს და პროცესებსაც ისინი მართავენ თავის და არა ქვეყნის სასიკეთოდ. **სასაცილოა, როცა სახელმწიფო გადარჩენის გზად 400 მილიონი დოლარის შემოსვლას ხედავს მაშინ, როცა 500 მილიონი 12 აპრილს უნდა გადაეხადა და... მაისში გვეტყვიან, ახალი ვალი ვისგან და რა პირობებით ავიღეთ, თორემ, 500 მილიონი დოლარის გადამხდელები რომ არ ვართ, რა მისახვედრია.**

საინტერესო, იცით, რა არის? როცა პრემიერები მოდიან, მუდმივად აქვთ პრეტენზია, რომ საქართველოს განვითარების საიდუმლო იციან და მრავალწლიან გეგმებსაც სახავენ (სხვათა შორის, იგივე ხდება განათლების სისტემაში, ყველა მინისტრი ახალ, 10-წლიან გეგმას წერს და ახლიდან იწყებს კეთებას, ამიტომაცაა, განათლება ერთ ადგილს რომ ტკეპნის) და მერე მისი შემცვლელი ისევ ახლიდან იწყებს, იმიტომ, რომ „რაღაც" არ მოსწონს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ **ირაკლი ღარიბაშვილი** პრემიერმინისტრი პირველად რომ გახდა, მაშინვე თქვა: განვითარების 10-წლიანი გეგმა მაქვს და ნახავთ, ათი წლის შემდეგ სად ვიქნებითო. მერე იყო **კვირიკაშვილი,** მერე — გახარია და დავიწყებას მიეცა ღარიბაშვილის 10-წლიანი გეგმა. სამაგიეროდ, პრემიერის სავარძელში კვლავ ჩაბრძანებულმა ბატონმა ირაკლიმ გაიმეორა, — განვითარების 10-წლიანი გეგმა უნდა შევიმუშაოთო და იქვე დააყოლა: **„საქართველოს სჭირდება ახალი ეროვნული იდეა, რომელიც ადამიანებს გააერთიანებს"-**ო. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, დაბეჯითებით ვიტყვით: **ბატონო ირაკლი, გარწმუნებთ, 10 წლის განმავლობაში თქვენ პრემიერი არ და ვერ იქნებით. თქვენ მიერ შემუშავებული ათწლედის გეგმა კვლავ დავიწყებას მიეცემა, კვლავ ჩაილურის წყალს დალევს და არავის ემახსოვრება. ჰოდა, მისი შემუშავებისთვის ადამიანური და ფინანსური რესურსის დახარჯვა მართებული არ გვგონია, თორემ აგერ თქვენ და აგერ ჩვენ, აუცილებლად გაგახსენებთ ამას.**




**ბატონებო, საქართველოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე იფიქრეთ და არა იმაზე, რა ესიამოვნება დანიელსონსა თუ მიშელს!**

ახლა რაც შეეხება „ახალ ეროვნულ იდეას, რომელიც ადამიანებს გააერთიანებს". **დიდი ხანია, ხელისუფლებამ „პური და სანახაობიდან" პური ამოიღო და მხოლოდ სანახაობით კვებავს ხალხს. ახალი ეროვნული იდეა კი არა, უწინარესად, პური სჭირდება ხალხს, „პური ჩვენი არსობისა" და მერე — ყველაფერი დანარჩენი.** ისიც ვთქვათ, რომ გამორიცხულია, დასავლეთის ზეწოლის პირობებში რომელიმე „ეროვნული იდეის" ხორცშესხმა მოხდეს. ამას სწორედ დასავლეთი არ დაგვანებებს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანთა ერთობა ან ევროპას აძლევს ხელს, ან ამერიკას, ძალიან ცდება. **დაყავი და იბატონეს პრინციპით ვიმართებით, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, და, აბა, გაიხსენეთ იდეა, რომელმაც მთელი ერი ერთხელ მაინც გააერთიანა. არა, ბატონებო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველებმა ძალაუფლების გემო გაიგეს, სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრება ისწავლეს და ამის დათმობა არანაირი ეროვნული იდეის გამო არავის არ სურს.**

აგერ, იდეის გარშემო „ნამოხვანჰესის" საწინააღმდეგოდ გაერთიანდა **ხალხი** და ამ იდეის ჩაკვლას ცდილობთ. სამწუხაროდ, ეკონომიკის გაცოცხლება-გადარჩენის ერთადერთ გზად სწორედ „ნამოხვანჰესის" მშენებლობას განიხილავს ხელისუფლება და, თუ იდეის გარშემო გსურთ ხალხის გაერთიანება, ასეთი მასშტაბური პროექტები უნდა შეუთანხმოთ ხოლმე, პირობები გააცნოთ და მერე მოაწეროთ ხელი. **საქართველოს ტერიტორიების განკარგვა მხოლოდ თქვენი პრეროგატივა და უფლება რომ არ არის, ეს უნდა იცოდეთ, თუმცა სათავეში, ძალაუფლების ზენიტში მყოფთ სხვანაირად ეჩვენებათ ყველაფერი.**

ეჭვი გვაქვს, მესამე ტალღის დაანონსებას კვლავ მოჰყვება მკაცრი შეზღუდვები და ისედაც გალატაკებული მოსახლეობა შიმშილს ოფიციალურად დაიწყებს. მშიერ კუჭზე იდეის გარშემო გაერთიანება ძალიან ძნელი იქნება და უმარტივეს გზას შემოგთავაზებთ, რომლის გარშემო გაერთიანებაც შეიძლება: **ბაზარზე ქათმის კვერცხზე მონოპოლიის მოხსნის შემდეგ ორ თვეში ადგილობრივი წარმოება 17%-დან 98%-მდე გაიზარდა. გამოდის, გვქონია იმის შესაძლებლობა, რომ კვერცხი ჩვენ გვეწარმოებინა სრულად, მაგრამ კონკრეტული ადამიანები არ გვანებებდნენ და ერთეულები მდიდრდებოდნენ. ამის ბრალია, სხვა პროდუქტებისგან განსხვავებით, კვერცხი რომ არ გაიაფდა. იგივე შეიძლება მოხდეს რძის პროდუქტებზეც, აკრძალეთ აზიიდან რძის ფხვნილის შემოტანა, ადგილობრივ ნატურალურ პროდუქციას მიეცით გასაქანი და ისიც გაიაფდება.** გაეცით ლიცენზიები კერძო საკუთრებაში არსებულ ტბებში თევზჭერაზე და თევზიც გაიაფდება (ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ტბის მფლობელებს მოშენებული თევზის დიდი ოდენობით ჭერასა და რეალიზაციაზე შეზღუდვები აქვთ დაწესებული). ჰოდა, ეგ არის პროდუქტის გაიაფება. ეგ არის იდეაც, საქართველოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე იფიქრეთ და არა იმაზე, რა ესიამოვნება დანიელსონს თუ მიშელს ან ნებისმიერ სხვას. ყოველი არჩევნების პარალელურად, ჩაატარეთ პლებისციტი ამა თუ იმ საკითხზე, მხოლოდ ბიულეტენების ბეჭდვის ფასი დაგიჯდებათ და გაიგებთ, სურს თუ არა საქართველოს ნატო, სურს თუ არა საქართველოს ევროკავშირი და, საზოგადოდ, რა სურს ქვეყნის მოსახლეობას. მერე იდეების მოფიქრებაც არ გაგიჭირდებათ, ხალხის გაერთიანებაც და მართვაც.

10-წლიანი გეგმა კი... ჩანასახშივე განწირულია, ბატონო ირაკლი, და ფურცელზე დაწერილი ლამაზი სიტყვებით კუჭს ვერავის ამოუვსებთ.

**ყოველი არჩევნების პარალელურად, ჩაატარეთ პლებისციტი ამა თუ იმ საკითხზე, მხოლოდ ბიულეტენების ბეჭდვის ფასი დაგიჯდებათ და გაიგებთ, სურს თუ არა საქართველოს ნატო, სურს თუ არა საქართველოს ევროკავშირი და, საზოგადოდ, რა სურს ქვეყნის მოსახლეობას. მერე იდეების მოფიქრებაც არ გაგიჭირდებათ. ხალხის გაერთიანებაც და მართვაც**

**ბესო ბარბაქაძე**

„რა ფორმით შეიძლება გამოგვიყენონ ბრმა იარაღად? ვფიქრობ, რიგში პირველი უკრაინაა და, როგორც ჩანს, უკრაინას ბოლომდე გაწირავენ. ამას ცხადყოფს ის, რომ დასავლელი მაღალჩინოსნების მხრიდან ისმის არა მშვიდობაზე ორიენტირებული რიტორიკა, რომელიც მხარეებს მოლაპარაკებისკენ უბიძგებს, არამედ ლაპარაკი სამხედრო დახმარებაზე, ფინანსურ, პოლიტიკურ მხარდაჭერაზე".

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*გურამ ნიკოლაიშვილი:*

# ნატო ვერ ჩაებმება რუსეთთან ღია ომში, ამიტომ აუცილებლად გამოიყენებს მესამე სახელმწიფოს, რომლის ნანგრევებზეც მერე ტრადიციულად შეშფოთდება

**8 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა 4-წლიანი აქტიური მუშაობის შემდეგ წარმოადგინეს დაზვერვის ეროვნული საბჭოს მოხსენება, რომელშიც მსოფლიოში უსაფრთხოების გამოწვევებზეა საუბარი და აღნიშნულია, რომ ამ კუთხით „ცივილიზებული სამყაროსთვის" უმთავრეს პრობლემას რუსეთი და ჩინეთი წარმოადგენენ. ანგარიშის თანახმად, რომლის სახელწოდებაა „გლობალური ტენდენციები 2040", ორივე სახელმწიფო, განსაკუთრებით რუსეთი, შეფასებულია მზარდ რევანშისტულ ძალად, რომელიც „მოძრაობს ტრადიციული ფასეულობების გზით" და ცდილობს, არსებული „მსოფლიო წესრიგის ნგრევას", თავის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და თავისი „პროტექტორატის" დამყარებას ევრაზიული სივრცის დიდ ნაწილზე..."**

ანგარიშის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ „დემოკრატიულმა სამყარომ" არ უნდა დაუშვას მსგავსი ტენდენციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ნამდვილ ადამიანურ ფასეულობებს. მეტიც, ამისთვის ერთობლივად უნდა იმოქმედონ ვაშინგტონმა და ევროპულმა სახელმწიფოებმა, რადგან მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება, „კრემლის ზრახვებს წინ აღუდგეს დემოკრატიული სამყარო..."

**ცნობისთვის:** ამ დღეებში ცნობილი შეიქნა, რომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია თავდაცვის სამინისტროსთვის 715 მილიარდი დოლარის გამოყოფას აპირებს.

**რას ნიშნავს ამერიკის სპეცსამსახურების მიერ მომზადებულ ანგარიშში ხაზგასმული ფრაზა, რომ „მოსკოვი მოძრაობს ტრადიციული ფასეულობების გზით" და რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ბაიდენის ადმინისტრაციამ თავის სატელიტ სახელმწიფოებზე დაყრდნობით ამ პროცესის საპასუხოდ, „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ამას წინათ ამერიკის სპეცსამსახურების მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში, სახელწოდებით „გლობალური ტენდენციები 2024", რომელიც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, აღნიშნულია, რომ „მოსკოვი მოძრაობს ტრადიციული ფასეულობების გზით და ცდილობს, მიაღწიოს თავის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას..." იქ ასევე საუბარია ჩინეთზე. რას ნიშნავს ეს შეფასება და რატომ არის ვაშინტონისთვის რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან „ტრადიციული ფასეულობების გზით სიარული" ესოდენ შემაშფოთებელი?**

— დავიწყოთ იმით, რაც, საზოგადოდ, ბოლო პერიოდში ხდება რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის მცდელობებმა კრახი განიცადა სირიაში და პირდაპირ პროპორციულად გაზარდა კრემლის, როგორც გლობალური მოთამაშის, ავტორიტეტი, საერთაშორისო ასპარეზზე, ისედაც დარღვეული და დასასრულისკენ მიმავალი ერთპოლუსიანი სამყაროს იდეა კიდევ ერთხელ დასამარდა. „თეთრი სახლი" დაემშვიდობა იმ ფუფუნებას, რომელიც მას, ფაქტობრივად, განუსაზღვრელ პრივილეგიებს ანიჭებდა მსოფლიო დღის წესრიგის განსაზღვრაში. სამყარო შეიცვალა და შეიცვალა პრაქტიკა. ამან რეალობად აქცია შესაძლებლობა, რომ ერთმა რომელიმე ვექტორმა კი არ დაადგინოს თამაშის წესები, ამ შემთხვევაში ვაშინგტონმა, არამედ ეს ვექტორი შეიძლება, იყოს მოსკოვიც ან თუნდაც პეკინი. ამით საგანგაშო მოცემულობა შეიქმნა ბაიდენის ადმინისტრაციისთვის, თუმცა გეოპოლიტიკური კრახი მათთვის, ცხადია, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ სირიამდე ამერიკელებმა კრახი განიცადეს უკრაინაშიც, რომელმაც ვითომ არჩევანი გააკეთა და „ბნელ საბჭოთა წარსულს" „ნათელი ნატო თუ ევროკავშირი" ამჯობინა; ბოლოს კრახი განიცადეს სამხრეთ კავკასიაშიც. სომხეთი, მოგეხსენებათ, თითქმის სამი ათეული წელი ფლობდა მთიან ყარაბაღს, რისი წყალობითაც გამარჯვებულის ამპლუაში იყო, მაგრამ, როგორც კი გაჩნდა ნიშნები, რომ ფაშინიანის ხელისუფლებამ ორიენტირები შეიცვალა საგარეო კურსში, ის დაუცველი აღმოჩნდა. რა გამოვიდა — **მიზანს, რუსეთის გარშემო, დასავლეთით და სამხრეთით, რკალი შეეკრათ, ვერ მიაღწიეს, ხოლო საქართველომ, სომხეთმა და უკრაინამ, რომლებიც, ფაქტობრივად, ბრმა იარაღად გამოიყენეს ამ პროცესში, დაკარგეს ტერიტორიები.** სხვათა შორის, უკრაინამ არა მხოლოდ ტერიტორიები დაკარგა, არამედ დაკარგა მრეწველობაც. მოგეხსენებათ, ეს იყო ქვეყანა, რომელსაც ჰყავდა ძლიერი ჯარი, საუკეთესო ოფიცრები და გენერალიტეტი... ყველა დაითხოვეს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ უმაღლეს დონეზე ჰქონდათ სამხედრო ინდუსტრია და არა მხოლოდ. ვინც არ იცის, უკრაინელებს ორი სატანკო ქარხანა აქვთ: ერთი — სარემონტო ლვოვში და მეორე — ძირითადი ხარკოვში. ის კი არა, საბჭოთა კავშირის პერიოდში და მერეც ისეთი დონისა და ხარისხის სარაკეტო ძრავებს აკეთებდნენ, რომლებიც მსოფლიოში წამყვანი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მქონე ქვეყნებსაც კი შეშურდებოდათ. იცით, რა ბედი ეწია ამ ყველაფერს? ამერიკამ გაზიდა. ამასთანავე, უკრაინამ გაყიდა თავისი ბოლომდე აუშენებელი სამხედრო გემები და თითქმის მთელი ავიაცია... 600 თვითმფრინავი ჰყავდათ და ახლა ჰყავთ 200.

**«მიზანს, რუსეთის გარშემო, დასავლეთით და სამხრეთით, რკალი შეეკრათ, ვერ მიაღწიეს, ხოლო საქართველომ, სომხეთმა და უკრაინამ, რომლებიც, ფაქტობრივად, ბრმა იარაღად გამოიყენეს ამ პროცესში, დაკარგეს ტერიტორიები. სხვათა შორის, უკრაინამ არა მხოლოდ ტერიტორიები დაკარგა, არამედ დაკარგა მრეწველობაც»**

რაც შეეხება კონკრეტულად იმ ანგარიშს, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთი „ტრადიციული ფასეულობების გზით მოძრაობს", დიახ, **რუსეთისთვის ტრადიციული ფასეულობაა სტრატეგიული კონტროლი და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სივრცეა, ასევე კონტროლი უკრაინაში, ბელარუსში, შავ ზღვაზე...** თუმცა გარდა გეოპოლიტიკური გაგებისა, აქ ასევე მნიშვნელოვანია იდეოლოგიური ნაწილიც, ანუ რას ვგულისხმობ: ვგულისხმობ იმას, რომ ბაიდენის პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი მუდამ იყო და დღესაცაა მსოფლიოში ნეოლიბერალური დღის წესრიგის დამყარება. მოგეხსენებათ, მათ შორის ეს ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების გაზრდას, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას, გეიაღლუმებსა და მსგავს რალაცებს გულისხმობს. **აი, ამ ნაწილშიც რუსეთი, რა თქმა უნდა, მათი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, იმიტომ, რომ რუსეთს, მოგეხსენებათ, თავისი კონსერვატული დისკურსით, სერიოზული დისონანსი შეაქვს მსოფლიო „ლიბერალურ" დღის წესრიგში. სხვათა შორის, ამიტომ არის დიდწილად რუსული ოკუპაციაც მიუღებელი ქართველი ე.წ. ლიბერალებისთვის, რომლებიც პატრიოტებად ასაღებენ თავს და არა იმიტომ, რომ ტერიტორიები გვაქვს დაკარგული...**

**— ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში „თეთრი სახლისგან" კონკრეტულად რა ნაბიჯებს უნდა ველოდოთ რუსეთის, როგორც ტრადიციული ფასეულობების გზით მავალი სახელმწიფოს, წინააღმდეგ? ეს ერთი. და მეორე — საქართველო რა ფორმით შეიძლება ამ პროცესში კიდევ ერთხელ იქნეს გამოყენებული ბრმა გეოპოლიტიკურ იარაღად?**

— სანამ საქართველოზე ვისაუბრებთ, მინდა, ისევ ვაშინგტონის შფოთის რეალურ მიზეზებზე ვთქვა მოკლედ. **ბაიდენის ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, ნათლად ხედავს, რომ, მიუხედავად დასავლეთის აქტიური წინააღმდეგობისა, რუსეთმა, ფაქტობრივად, სამკუთხედი შეკრა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ ზონაში.** ვგულისხმობ იმას, რომ მას სამხედრო ბაზა აქვს სომხეთში, რომელიც სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია და ბაზა აქვს ყარაბაღშიც. **ჯერჯერობით რვა ათასი კაცია იქ, მაგრამ სულ მალე 16 ათასი იქნება. გარდა ამისა, საქართველოში ორი ბაზა აქვს: ერთი — ცხინვალში და მეორე — სოხუმში.** სხვათა შორის, სოხუმის ბაზა ძალიან მალე გაორმაგდება, მიდის უკვე ამაზე საუბარი. ასევე გაძლიერდება ცხინვალის ბაზაც, იქ ორი ბრიგადა განთავსდება, უფრო ზუსტად, ერთი ტაქტიკური ბრიგადა. ეს ნიშნავს, რომ მას დაემატება ისეთი ქვედანაყოფები, რომლებიც ბრიგადის შემადგენლობაში არ შედიან და სხვა ბრიგადებიდან იქნება, ვთქვათ, საზენიტო ბრიგადებიდან, სატანკოდან და ა.შ. **რაც შეეხება შეკითხვას, რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას დასავლეთის მხრიდან კრემლის მოქმედების საპასუხოდ და რა ფორმით შეიძლება, ამ შემთხვევაში გამოგვიყენონ ბრმა იარაღად, ვფიქრობ, რიგში პირველი უკრაინაა და, როგორც ჩანს, უკრაინას ბოლომდე გაწირავენ. ამას ცხადყოფს ის, რომ დასავლელი მაღალჩინოსნების მხრიდან ისმის არა მშვიდობაზე ორიენტირებული რიტორიკა, რომელიც მხარეებს მოლაპარაკებისკენ უბიძგებს, არამედ ლაპარაკი სამხედრო დახმარებაზე, ფინანსურ, პოლიტიკურ მხარდაჭერაზე და ა.შ.** თუმცა, არ მგონია, რომ უკრაინას დიდ დახმარებებს გამოუყოფენ. **უკრაინას დაეხმარებიან იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იქნება დაძაბულობის მათთვის სასურველ ვადებში შესანარჩუნებლად. მორჩა, ამის შემდეგ უკვე რა იქნება და რა დარჩება ომის ქარ-ცეცხლში გახვეული ქვეყნისგან, რომლის მოსახლეობასაც ნამდვილად არ უნდა ეს ომი, აღარ აინტერესებთ.** რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, **საქართველო, ყველამ ვიცით, რომ უკვე აღარც აღიქმება სახელმწიფოდ ამერიკელების თვალში და ყველაფერს, ფაქტობრივად, წყვეტს ელჩი. გამომდინარე აქედან, ხვალ-ზეგ რა მოხდება, არ ვიცით,** მაგრამ, თუ მათი სტრატეგიული ინტერესი იქნება, ცხადია, საქართველოსაც ჩართავენ ანტირუსულ კამპანიაში და მოლდოვასაც. თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ და ამაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება: **ნატო ვერანაირი ფორმით ვერ ჩაებმება რუსეთთან ღია ომში, ამიტომ ის აუცილებლად გამოიყენებს მესამე სახელმწიფოს, რომლის ნანგრევებზეც მერე ტრადიციულად შეშფოთდება.**

ისე, ერთი რამ მაინტერესებს — **ჩვენთვის რანაირად შეიძლება სტრატეგიული პარტნიორი იყოს ქვეყანა, რომელსაც ვინმეს ტრადიციული ფასეულობები აშფოთებს?! ეს შეკითხვა ხომ ბუნებრივად ჩნდება? რუსეთის ტრადიციული ფასეულობები თუ მიუღებელია მათთვის და თანაც იმ დონეზე, რომ უკვე იარაღს აჟღარუნებენ, ჩვენ მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ ჩვენი ტრადიციული ფასეულობები დავიცვათ?!**

— ჩვენი მხრიდან რა პოლიტიკის გატარება იქნება ყველაზე მართებული და ადეკვატური იმისთვის, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე არ აღმოვჩნდეთ დიდ სახელმწიფოთა შეჯახების ეპიცენტრში?

— ჯერ მოდი, **დავფიქრდეთ, დაახლოებით რა დრო დასჭირდებათ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, რომ, ერთი მხრივ, გიუმრის ბაზიდან წამოვიდნენ, მეორე მხრივ, ჩრდილოეთიდან და ცხინვალთან შეხვდნენ? რა დრო დასჭირდება იმას, რომ მთლიანად ჩვენი ზღვისპირა ზოლი დაიკავონ? ეს რამდენიმე საათის ამბავია.**

რაც შეეხება სწორ და ადეკვატურ პოლიტიკას, ვფიქრობ, იმ პირობებში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს პირზე აკერია ოკუპაცია და ამ ოკუპაციას ძალიან უცნაური მეთოდებით „ებრძვის", ხან საზღვართან შარვლის ჩახდით და უკანალების ჩვენებით, ხან პოზნერის გაძევებით და მერე ტრაბახით, ლუკმა გავაგდებინეთო, ადეკვატურობაზე საუბარი ნაადრევია. **ეს არის ზუსტად ის, რაც ტრადიციულ ფასეულობებზე აცრილ ვითომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს საშუალებას აძლევს, ბრმა იარაღად გამოგვიყენოს. და ეს არის ის, რაც კაცმა არ იცის, ხვალ-ზეგ კიდევ რამდენს დაგვაკარგვინებს...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუგებარია. ის არათუ იმ ფუნდამენტურ პრინციპებში არ ჯდება, რომლებითაც დასავლეთი ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებების დაცვისა და თითოეული მოქალაქისთვის სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ ყველაფერს“.**

# სტრასბურგმა იძულებით ვაქცინაციას «მწვანე აუნთო»



## ნანა კაკაბაძე: პირველივე შემთხვევაში, როცა ვილაცას სამსახურიდან გაუშვებენ ან სხვა ფორმით აიძულებენ ვაქცინაციას, უნდა დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები

კორონავირუსის საწინააღმდეგო საეჭო და ბოლომდე ჯერ კიდევ გამოუცდელი პრეპარატებით მსოფლიო მოსახლეობის მასობრივი აცრა ხმაურისა და მითქმა-მოთქმის ფონზე გრძელდება. ეს პროცესი ადამიანებში შიშსა და უნდობლობას იწვევს. მეტიც, ეჭვები იმის თაობაზე, რომ აცრა სულ მალე სავალდებულო იქნება და მასზე უარის თქმა თითოეული მოქალაქისთვის მთელი რიგი შეზღუდვების (მათ შორის გადაადგილების, განათლების უფლების შეზღუდვის, სამსახურის დაკარგვის და ა.შ.) მიზეზი შეიძლება იყოს, დღითიდღე იზრდება. ამაზე აქტიურად წერენ როგორც სოციალურ ქსელებში, ისე პრესაში, თუმცა, ეს ეჭვები საფუძველს მოკლებული რომ არ არის, უკვე კონკრეტული ფაქტითაც დასტურდება.

9 აპრილს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სავალდებულო ვაქცინაცია არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების შესახებ კანონს: „აღნიშნული ზომები უნდა შეფასდეს, როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიზანი უნდა იყოს თითოეული ბავშვის დაცვა სერიოზული დაავადებებისგან ვაქცინაციის ან კოლექტიური იმუნიტეტის გზით“, — აღნიშნულია გადაწყვეტილებაში.

**ცნობისთვის:** ეს გადაწყვეტილება სტრასბურგმა ჩეხეთის მთავრობის წინააღმდეგ რამდენიმე მოქალაქის მიერ შეტანილ სარჩელზე მიიღო. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ სავალდებულო ვაქცინაცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მე-8 მუხლს („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“) არღვევს. კერძოდ, სასამართლოს მიმართეს მშობლებმა, რომელთა შვილებიც სკოლაში არ დაუშვეს იმის გამო, რომ აცრა არ ჰქონდათ გაკეთებული: „შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ვაქცინაცია ეროვნული ხელისუფლებების პასუხია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებაზე“, — განაცხადა მოსამართლემ; ხოლო სხდომის შემდეგ სასამართლოს იურისტმა **ნიკოლა ერვიომ** მედიასთან განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ვაქცინის დადებითი ეფექტის შესახებ საერთო კონსენსუსის კონსტატაციაა.

რას ნიშნავს საქართველოსთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტრასბურგის გადაწყვეტილება და იქნება თუ არა ეს ფაქტი იმის წინაპირობა, რომ მალე ვაქცინაცია აქაც სავალდებულო გახდება?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ეჭვები და მითქმა-მოთქმა, რომ ვაქცინაცია შეიძლება სავალდებულო გახდეს, ხოლო აცრაზე უარისმთქმელ მოქალაქეებს შეიძლება პრობლემები შეექმნათ, მაგალითად, სამსახური დაკარგონ, ვერ იმოგზაურონ და ა.შ., უკვე დიდი ხანია, არსებობს, თუმცა ამ დღეებში ერთმა კონკრეტულმა ფაქტმა, პრაქტიკულად, ყველაფერი ცხადყო — სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სავალდებულო ვაქცინაცია არ ეწინააღმდეგება ადამიანის მსოფლიოში აღიარებულ უფლებებს. მეტიც, დასკვნაში ხაზგასმით წერია, რომ ის დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი ზომაა... ხომ არ ფიქრობთ, რომ ამან ჩვენთანაც შეიძლება შეუმზადოს ნიადაგი ვაქცინაციის სავალდებულოდ გამოცხადებას და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის და როგორც თუნდაც ერთი რიგითი მოქალაქისთვის, **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუგებარია. ის არათუ იმ ფუნდამენტურ პრინციპებში არ ჯდება, რომლებითაც დასავლეთი ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებების დაცვისა და თითოეული მოქალაქისთვის სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ ყველაფერს.** მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გახდეს ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებების დაუსაბუთებლად შეზღუდვის საფუძველი, მათ შორის განათლების უფლების, სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობის, გადაადგილებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯანმრთელობის დაცვის უფლებისაც კი. ელემენტარულად, თუ გადაადგილება შეგიზღუდეს და ვერ მოძრაობ, საავადმოყოფოში ვერ მიხვალ, საზღვარგარეთ ვერ წახვალ სამკურნალოდ და ა.შ., თუმცა, რომც მოახერხო წასვლა, შეიძლება საავადმყოფომ არ მიგიღოს ე.წ. კოვიდ-პასპორტის გარეშე. ეს უკვე საგანგაშო ფაქტია და ამან, ცხადია, ხვალ-ზეგ უფრო მძიმე შედეგები შეიძლება მოიტანოს, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ აუტანელს გახდის ადამიანების ცხოვრებას. რაც შეეხება საქართველოს და კონკრეტულად სტრასბურგის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო გავლენას ჩვენზე, **იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის ერთადერთი ორიენტირი დასავლეთი და დასავლური სტრუქტურებია; იმის გათვალისწინებით, რომ მათ ყველაფერი ბრმად გადმოაქვთ იქიდან და სულ არ აინტერესებთ, საზოგადოებისთვის რა არის მისაღები ან მიუღებელი, რა თქმა უნდა, რეალურია, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილება აქაც შეიძლება გარკვეული ნაბიჯების მაპროვოცირებელი იქნეს.** „არგუმენტად“ გამოიყენებენ იმას, რომ აგერ სტრასბურგმა ეს დაასკვნა და მორჩა. ჩვენ რა, ევროპულ სასამართლოს არ ვენდობით?! ეს ერთი. და მეორე — ამას ყველაფერს, ამ იძულებას, თუ ეს მოხდება, ცხადია, გაგვისაღებენ ისევ ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვად...

**— სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაშიც ზუსტად ეს წერია: „ჩეხეთის ჯანდაცვის მიერ სავალდებულო ვაქცინაციის განხორციელება ბავშვების საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობაშია...“**

— ძალიან საინტერესო ფორმულირებაა. თურმე ის, რომ აუცრელ ადამიანს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ უშვებენ და განათლების მიღების საშუალებას არ აძლევენ, რომ გადაადგილებას უზღუდავენ და, ფაქტობრივად, პატიმრობაში ამყოფებენ, მისი „საუკეთესო ინტერესი“ ყოფილა. ეს უკვე აბსურდიც აღარაა, ეს არის ცინიზმი. ისე, თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოტივით მისი უფლებების ფეხქვეშ გათელვა და დისკრიმინაცია გამართლებულად მიაჩნიათ, მაშინ თვითმკვლელობაც უნდა დაისაჯოს. ხვდებით, რაზეა საუბარი? თუმცა იქ, სადაც თვითმკვლელის დასჯაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და სიკვდილის შემდეგ არ ხდება ადამიანის, ვთქვათ, ან ქონების კონფისკაცია, ან სხვა რამე ღონისძიება, **გაუგებარია, რატომ უნდა ხორციელდებოდეს ჩემ მიმართ რამე სახის შემზღუდავი მოქმედება, თუ მე საკუთარ ჯანმრთელობას თუნდაც არ ვუფრთხილდები. მით უმეტეს როგორ შეიძლება ვაქცინაცია ძალდატანებითი იყოს, როცა უამრავი ადამიანი ალერგიულია, ბევრის ორგანიზმი მას, უბრალოდ, ვერ მიიღებს.** ეს ერთი და მეორე — თვით ვაქცინაც ხომ ჯერ არ არის ბოლომდე გამოცდილი, ის ხომ უმოკლეს დროში დამტკიცდა?!

**— თუ ვაქცინაცია ჩვენთანაც სავალდებულო იქნება, რის ნიშნებიც უკვე არის, თუნდაც თენგიზ ცერცვაძის განცხადების სახით, და დაიწყება ადამიანების იძულება სხვადასხვა ფორმით, როგორ ფიქრობთ, რა გზა დარჩება საზოგადოებას, რომ დაუპირისპირდეს ამ ყველაფერს? სხვათა შორის, უკვე არის კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ჯარისკაცებს, კონკრეტულად საკონტრაქტო სამსახურში მყოფ პირებს, ეუბნებიან: თუ არ გაიკეთებენ ვაქცინას, ვერ მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში...**

— ადამიანის ნებისმიერი ფორმით იძულება, მუქარა და დაშინება იმ მოტივით, რომ, თურმე, მის ჯანმრთელობას უფრთხილდები, ვერანაირად ვერ ჩაჯდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებში; ვერ ჩაჯდება იმიტომ რომ, **ვერავის აიძულებ, გაუფრთხილდეს საკუთარ სიცოცხლეს. მაშინ ყველანაირ დაავადებაზე ასე უნდა იყოს და ნებისმიერი პაციენტის მიმართ, რომელიც არ მკურნალობს ან, ვთქვათ, უარს ამბობს ოპერაციაზე, უნდა ხორციელდებოდეს იძულებითი ღონისძიებები. წარმოიდგინეთ, სახელმწიფომ მოქალაქეს შინიდან გასვლა რომ აუკრძალოს ან სამსახურიდან გაათავისუფლოს იმის გამო, რომ მან, ვთქვათ, C ჰეპატიტის მკურნალობაზე უარი თქვა, ან ტუბერკულოზის, ან სხვა ნებისმიერი დაავადების... ეს ხომ აბსურდია?!** რაც შეეხება შეკითხვას, რა უნდა ქნას საზოგადოებამ, თუ დაიწყება იძულება, ვნახოთ, რა იქნება... არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ვფიქრობ, პირველივე შემთხვევაზე, როცა ვილაცას სამსახურიდან გაუშვებენ ან სხვა ფორმით აიძულებენ ვაქცინაციას, უნდა დაიწყოს მასობრივი საპროტესტო გამოსვლები. ყველა უნდა გამოვიდეს, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ეს უკვე იქნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზრუდვა, რომელიც, თუ დაიწყო და პრეცენდენტი შეიქმნა, უკლებლივ ყველას შეეხება. სხვა გამოსავალი მე არ ვიცი, თუმცა ამას სჭირდება მასობრივი პროტესტი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში...

**— რა შეიძლება იყოს იმის მიზანი, რომ სტრასბურგმა, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო სავალდებულო ვაქცინაციას? რატომ არიან ასე ძალიან ამ ყველაფრით დაინტერესებულნი?**

— სწორედ ეს არის ეჭვის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი. ვთქვათ, ადამიანს აქვს რაღაც დაავადება და ექიმი ეუბნება, — თუ არ გაიკეთებ ოპერაციას, შეიძლება, მოკვდე. ის უარს ამბობს. ამის გამო პასუხი უნდა მოსთხოვონ? გაუგებარია... რაც შეეხება მიზანს, რელიგიურად ამ ყველაფერს ძალიან მარტივი და ყველასთვის გასაგები ახსნა აქვს, თუმცა, ჯამში, ყველანაირი გაგებით, ახსნა არის ერთი — მივდივართ გაქანებული გლობალიზაციისკენ, მსოფლიო მმართველობისკენ... აი, ეს არის მიზეზი და საფუძველი ყველაფრის, რაც ხილულია და გაცხადებული, თორემ ადამიანების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა რომ არ ადარდებთ, მგონი, ამას ახსნა არ სჭირდება. საერთოდ, ჩემი აზრით, **კაცობრიობისთვის, განსაკუთრებით ქრისტიანული სამყაროსთვის, მომდევნო ოთხ წელი სერიოზული გამოწვევა იქნება. ვგულისხმობ იმას, რომ მომდევნო ოთხი წელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მთელი თავისი გულით მსოფლიოში გლობალიზმისა და აგრესიული „ნეოლიბერალური“ ჰეგემონიის განმტკიცების მომხრეა.** საქართველოში ამ ყველაფრის შედეგები უკვე იგრძნობა კონკრეტული გამოვლინებებით... თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — **უსამართლობა, რომელიც, უკვე მრავალი წელია, სხვადასხვა ფორმით ტრიალებს ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის მმართველი ელიტის მიერ მოსახლეობის უმრავლესობის ნების იგნორირებით, ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ცვლილების შემდეგ დასრულდება.** ყოველ შემთხვევაში, ასე მჯერა და მინდა, მჯეროდეს მომავალშიც, მაგრამ, თუ საზოგადოება არ იქნება ქმედითი, არ იქნება ერთსულოვანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, მსოფლიოში განხორციელებული ვერანაირი ცვლილება საქართველოში ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას. **აქ ისევ მოვლენ ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს თავიანთი პირადი კეთილდღეობისა და პოლიტიკური დღეგრძელობისთვის გაწირავენ; აქ ისევ მოვა ხალხი, რომელიც კიდევ უფრო ღრმა ჭაობში შეიყვანს ქვეყანას...**

**«ვერავის აიძულებ, გაუფრთხილდეს საკუთარ სიცოცხლეს. მაშინ ყველანაირ დაავადებაზე ასე უნდა იყოს და ნებისმიერი პაციენტის მიმართ, რომელიც არ მკურნალობს ან, ვთქვათ, უარს ამბობს ოპერაციაზე, უნდა ხორციელდებოდეს იძულებითი ღონისძიებები. წარმოიდგინეთ, სახელმწიფომ მოქალაქეს შინიდან გასვლა რომ აუკრძალოს ან სამსახურიდან გაათავისუფლოს იმის გამო, რომ მან, ვთქვათ, C ჰეპატიტის მკურნალობაზე უარი თქვა, ან ტუბერკულოზის, ან სხვა ნებისმიერი დაავადების... ეს ხომ აბსურდია?!»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**აცრა ყოველ 5-6 თვეში (სხვადასხვა ვაქცინას სხვადასხვა პერიოდი სჭირდება) უნდა გავიმეოროთ, ე.ი., წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ უნდა აიცრას დედამიწის მოსახლეობა. ყველაზე კარგ ვარიანტში ვაქცინა 17-20 დოლარი ღირს, გაამრავლეთ ეს რიცხვი 7 მილიარდზე და ნახავთ, რა თანხებზეა საუბარი. გამოდის, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება „ნემსზე დაგვსვეს“ და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს კანონის სახელით აკეთებენ.**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სინოფარმის» ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!

**ვაქცინის გაკეთების მოწოდებისა და პირდაპირ ეთერში აცრის მიუხედავად, საქართველოში ვაქცინაციის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ვაქცინისადმი უნდობლობას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი კი ის არის, რომ აცრის შემდეგ ექთანი გარდაიცვალა და ისედაც დამფრთხალი მოსახლეობა შიშმა მოიცვა. ამის შემდეგ აგვიხსნეს, რომ ვაქცინაცია იშვიათად, მაგრამ ფატალური შედეგით მაინც მთავრდება და ამას უნდა შევეგუოთ. უფრო მეტიც, პროცენტულად თუ დავიანგარიშებთ, საქართველოში მოსახლეობის აცრის შემდეგ სავალალო შედეგი, შესაძლოა, 14-17 შემთხვევაში დადგეს. არადა, 14-17 ადამიანი კი არა, ერთის გარდაცვალებაც უდიდესი ტრაგედიაა და თანაც არავინ არის გარანტი, რომ ამ ადამიანების სიაში თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი არ მოხვდება.**




**როცა ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს ვკითხეთ, რატომ არ შემოაქვთ რუსული ვაქცინა, გაოცდნენ: ეგ ჯანმოს არ უღიარებია და, აბა, როგორო?! მაგრამ, ჯანმოსგან «სინოფარმის» არაღიარებას ხელისუფლებისთვის ხელი არ შეუშლია, ეს ვაქცინა შემოეტანა**

„ასტრაზენეკასა“ და „ფაიზერს“ კიდევ არა უშავს, აი, ჩინური „სინოფარმის“ შემოტანის შემდეგ კი ნამდვილი პანიკა დაიწყო. თუ პირველი ორი ვაქცინის რიგში ლამის ნახევარი წლის განმავლობაში ვიდექით და შეზღუდული რაოდენობით მივიღეთ, **„სინოფარმის“ ასი ათასი დოზა ჩინეთმა უსასყიდლოდ გადმოგვცა. 21-ე საუკუნეში, მსოფლიო კრიზისის ფონზე, უფასო ყველი მხოლოდ სათაგურში რომ არის, ყველაზე კარგად ხელისუფლებამ უნდა იცოდეს და იცის კიდეც, მაგრამ საჩუქარი მაინც მიიღო და მზად არის, „სინოფარმით“ ნებისმიერი მსურველი აცრას.**

დღე არ გავა, რომელიმე მაღალჩინოსანმა კამერების თანხლებით რომ არ გაიკეთოს ვაქცინა, მაგრამ ჯერჯერობით „სინოფარმით“ აცრა ვერც ერთმა ვერ გაბედა. მაღალჩინოსნებმა იციან, რომ ეს პრეპარატი მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აღიარებული არ აქვს, რადგან მის თანამდევ უარყოფით მოვლენებზე ჩინეთი ინფორმაციას არ იძლევა. **ჩინური მხარე მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პროცენტულად ძალიან მცირე ადამიანი იღუპება აღნიშნული ვაქცინით, მაგრამ ის, რაც შეიძლება ჩინეთისთვის „ცოტა“ იყოს, საქართველოსთვის ძალიან ბევრია. მაგალითისთვის გეტყვით: 2010 წელს ჩინეთში საყოველთაო აღწერა ჩაატარეს და ერთი რაიონი გამორჩათ, დაახლოებით ისეთი, ჩვენი მასშტაბით ხაშური რომ არის. არადა, ჩინეთის ამ რაიონში 25 მილიონი ცხოვრობდა — ე.ი., ლამის შვიდი საქართველო და შესაბამისად, საზომი „ცოტა“ და „ბევრი“ აშკარად განსხვავებული გვექნება.**

სხვათა შორის, როცა **ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს ვკითხეთ, რატომ არ შემოაქვთ რუსულ ვაქცინა, გაოცდნენ: ეგ ჯანმოს არ უღიარებია და, აბა, როგორო?! მაგრამ, ჯანმოსგან „სინოფარმის“ არაღიარებას ხელისუფლებისთვის ხელი არ შეუშლია, ეს შემოეტანა.**

ცნობისთვის: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია იძულებული შეიქნა, რუსული ვაქცინის შესწავლა და მასზე სერთიფიკატის გაცემის პროცედურების განხილვა დაეწყო. იძულებული იმიტომ, რომ ათეულობით ქვეყნამ შეიძინა რუსული ვაქცინა, აცრებიც მიმდინარეობს და ჯერჯერობით არავის აუტეხავს ხმაური, — ეს რა მოგვყიდეს, არ ვარგაო. **აი, მერე იქნება საინტერესო, სერთიფიკატი რომ გაიცემა, რით იმართლებს თავს ხელისუფლება.**

**რაც უფრო მეტი დრო გადის, მით მყარდება ეჭვი, რომ კორონავირუსი კონკრეტული ადამიანების მიერ წამოწყებული უდიდესი აფერაა, რომლის შედეგად სწორედ ამ ადამიანებმა უზარმაზარი თანხები უნდა იშოვონ. არ უარვყოფთ, რომ ვირუსი არსებობს და ის მომაკვდინებელია, მაგრამ დღემდე გამოუძიებელია, როგორ და რა გზებით გავრცელდა, სად იყო პირველწყარო და უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ თეორია, „ვიღაც ჩინელმა გოგონამ ღამურა შეჭამა და ვირუსი გავრცელდა“, სისულელე და აბსურდია.**

ვირუსი გავრცელდა მიზანმიმართულად და მასშტაბურად, რათა პროცესი შეუქცევადი ყოფილიყო, მთელი მსოფლიო მოეცვა და შეხებოდა ყველას. ასე განსაჯეთ, ანტარქტიდის კონტინენტსაც კი, სადაც მხოლოდ მკვლევარები არიან. ჰო, მკვლევარებს შორისაც კი აღმოჩნდა ვირუსი და იხე ჩანს, მისგან საბოლოოდ უახლოეს ათწლეულში ვერ გავთავისუფლდებით. ჰოდა, ამ წლების განმავლობაში შევეჩვევით ვირუსთან თანაარსებობას და ადამიანთა ჯგუფი არარეალურად დიდ თანხებს ჩაიჯიბავს. ახლავე აგიხსნით, რასაც ვგულისხმობთ.

ბავშვობაში ყველას გაკეთებული გვაქვს სავალდებულო აცრები წითელაზე, წითურაზე, სხვადასხვა დაავადებებზე და ეს სავსებით საკმარისია. კორონავირუსზე კი ერთი აცრა საკმარისი არ არის და არ აქვს მნიშვნელობა, „ფაიზერით“ იცრებით, „ასტრა ზენეკათი“ თუ „სინოფარმით“, **აცრა ყოველ 5-6 თვეში (სხვადასხვა ვაქცინას სხვადასხვა პერიოდი სჭირდება) უნდა გავიმეოროთ. ე.ი., წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ უნდა აიცრას დედამიწის მოსახლეობა. ყველაზე კარგ ვარიანტში ვაქცინა 17-20 დოლარი ღირს, გაამრავლეთ ეს რიცხვი 7 მილიარდზე და ნახავთ, რა თანხებზეა საუბარი. გამოდის, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება „ნემსზე დაგვსვეს“ და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს კანონის სახელით აკეთებენ.** არც ის დრო არის შორს, როცა აცრის გარეშე დარჩენილი ადამიანების აღრიცხვა დაიწყება და, ვინც აცრაზე უარს იტყვის, ვერ იმუშავებს, ვერ იმოგზაურებს და, შესაძლოა, სახლიდან გასვლაც კი აუკრძალონ.

ურთულესია ამ ყველაფრის აღქმა თუ ატანა, მაგრამ სხვა გზა თითქოს არ არსებობს. სამწუხაროდ, თითქმის აღარ არსებობს საქართველოში ოჯახი, რომლის ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი არ ემსხვერპლა ვერაგ ვირუსს და, შესაბამისად, შიშმა დაისადგურა. შიში საბოლოო ჯამში მხოლოდ ერთი არსებობს — სიკვდილის შიში... ჰოდა, ამ შიშის გამოა, მოქალაქეთა უმრავლესობა აცრაზე რომ თანხმდება. ჩემი ოჯახის წევრებსაც ჰქონდათ ვირუსი და ძალიან მძიმედ გადაიტანეს. შესაბამისად, ვაქცინაციაზეც თანახმა არიან, მაგრამ ეჭვის ჭია ღრღნით, იქნებ... სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ **მოსახლეობის უფრო მეტი ჩართულობისთვის, ვაქცინაციაზე იმედიანად მისასვლელად არჩევანი უნდა ჰქონდეს, ფართო არჩევანი და შემდეგ ინდივიდუალურად გადაწყვეტს ყველა, ვის ენდოს და რატომ ენდოს.** ინტერნეტის ხანაში მარტივია ინფორმაციის მოძიება ყველასა და ყველაფერზე და იქნებ დღეს არსებული არც ერთი ვაქცინა არ მსურს, იქნებ მინდა, იმას დაველოდო, ამერიკა რომ აპირებს შექმნას და კიდევ იმას, რუსეთმა რომ დაიწყო მესამე ვაქცინაზე მუშაობა. არჩევანის საშუალება ხომ უნდა მივცეთ მოქალაქეებს, როცა საქმე მათ სიცოცხლეს ეხება — ყველაზე ძვირფასსა და ღირებულს?!

ისევ რუსულ ვაქცინას დავუბრუნდეთ. **არ ვამბობთ, რომ რუსული პანაცეაა და ყველაზე კარგია, მაგრამ ხელისუფლებიდან ვინმემ სცადა რუსულ მხარესთან დალაპარაკება? ვინმემ მოიკითხა, იქნებ ისინიც გვაჩუქებდნენ გარკვეულ ოდენობას და შემდეგ სტატისტიკა აჩვენებდა, კარგია თუ ცუდი?! თუ მაინცდამაინც ჩინურით უნდა ავიცრათ?!** რეალურად, დღეს ხომ ერთ დონეზე არიან, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის აზრით, რუსული და ჩინური ვაქცინები? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რუსულს ევროპის ათეულობით ქვეყანა ყიდულობს და იყენებს, ჩინურს —

**არ ვამბობთ, რომ რუსული პანაცეაა და ყველაზე კარგია, მაგრამ ხელისუფლებიდან ვინმემ სცადა რუსულ მხარესთან დალაპარაკება? ვინმემ მოიკითხა, იქნებ ისინიც გვაჩუქებდნენ გარკვეულ ოდენობას და შემდეგ სტატისტიკა აჩვენებდა, კარგია თუ ცუდი?! თუ მაინცდამაინც ჩინურით უნდა ავიცრათ?!**

არავინ და სწორედ ამიტომ ჩინელები მზად არიან, ათი ათასობით დოზა გააჩუქონ, პოპულარიზაცია ასე გაუწიონ და შემდეგ გაყიდვაზე „იჩალიჩონ“. კიდევ გავიმეორებთ: **არ ვამბობთ, რომ ჩინური აუცილებლად ცუდია და რუსული აუცილებლად — კარგი, მაგრამ იმ პირობებში, როცა უმრავლესობისგან მოწონებული „ფაიზერი“ ველარ თუ აღარ შემოდის საჭირო ოდენობით, ხომ უნდა გვქონდეს არჩევანის ფართო სპექტრი?**

ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლებას არჩევანის საშუალება ნაკლებად აქვს. ის მიჰყვება იმ ხაზს, რომელსაც დასავლეთი ავითარებს და სწორედ დასავლური კომპანიები შოულობენ მილიარდობით დოლარს ვაქცინაზე. რაც ყველაზე საინტერესოა, **თითქმის ყველა ქვეყანასთან, რომლებშიც აღნიშნული ვაქცინები შევიდა, ფორმდება ხელშეკრულება, რომ უკუჩვენებაზე მწარმოებელი პასუხს არ აგებს, ანუ, ნახევარი მსოფლიო რომ გაწყდეს, პასუხისმგებელი არავინ იქნება. არ ვამბობთ, რომ ეს ყველაფერი დღეს და ხვალ უნდა მოხდეს, მაგრამ ხომ ყველასთვის ცხადია, რომ არც ერთი ვაქცინის თანამდევი უარყოფითი მოვლენები ბოლომდე შესწავლილი არ არის. საამისოდ დრო, უბრალოდ, არავის ჰქონდა და ყველა უარყოფითი ეფექტის სრულად გამოსავლენად 4-5 წელია საჭირო,** ვირუსის გავრცელებიდან კი ორი წელიც არ გასულა. სწორედ **ბოლომდე შესწავლილი არ არის. საამისოდ დრო, უბრალოდ, არავის ჰქონდა და ყველა უარყოფითი ეფექტისა და სამედიცინო პერსონალის მოუმზადებლობის გამო იყო ის შემთხვევაც, რომელმაც ახალგაზრდა ექთნის სიცოცხლე იმსხვერპლა.** ხომ ცხადია, კოლეგის გადასარჩენად ექიმები ყველაფერს გააკეთებდნენ, მაგრამ მზად არ აღმოჩნდნენ, არ იცოდნენ, რომ აცრას შეიძლება ასეთი უარყოფითი მოვლენა ჰქონოდა და კოლეგა ხელებში ჩააკვდათ. შესაბამისად, გარანტია იმისა, რომ რიგითი მოქალაქე უარეს დღეში არ ჩავარდება, არ არსებობს, ამიტომ, **ნაჩუქარი და სამადლოდ გადმოგდებული ვაქცინების ნაცვლად, აჯობებს, ისეთი მოვიძიოთ, რომელსაც ეფექტი აქვს. გვერწმუნეთ, ხალხს ყველაზე ნაკლებად ის აინტერესებს, ვისი ნაწარმია, მთავარია შედეგი ჰქონდეს.**

„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“ — ეს ფრაზა ლამის ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოვიდა და მის მართებულობას ვერავინ უარყოფს. დღეს კი შეიძლება ასე ვთქვათ: „სინოფარმის“ ღირსი ხარ შენ, საქართველოვ...“ რატომ? იმიტომ, რომ ერთი ფასი აქვს ფურთხს და „სინოფარმს...“

**ბესო ბარბაქაძე**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ზოგან არჩევნების გაყალბების, ზოგან სახელმწიფო გადატრიალების გზით, ყველგან საკუთარი ხელისუფლება მოიყვანეს, ყველგან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრები ჩასვეს და საკუთარი ელჩები მეფისნაცვლებივით დაგვასვეს თავზე. სადაც რომელი იდეოლოგია ჭრის, იმ იდეოლოგიას იყენებენ. მაგალითად, საქართველოსა და ბალტიისპირეთში ნაციონალიზმმა იმუშავა კარგად, უკრაინაში — ფაშიზმმა.**



# ჩვენ უკან მოსკოვია!

## გერინგის თოფით რუსეთის წინააღმდეგ

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეთორმეტე გამოშვება

**„რუსეთი გამოცანაა, რომელიც გამოცანითაა შეფუთული და გამოცანებშია მოთავსებული“.**
**უინსტონ ჩერჩილი**

— მოვკლავ, ვინც მოვა!

ეს სიტყვები უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა **ლეონიდ კრავჩუკმა** რუსეთის მისამართით წარმოთქვა, — მე სროლას განვაგრძობ ბოლომდე, იქამდე, სანამ ჩემს ხელებს იარაღის დაჭერა შეეძლებათ, სანამ მტრის დანახვას მოვახერხებ. მე იგი, ძაღლისშვილი, არ დამიპატიჟებია, თვითონ მოვიდა ზღურბლთან. მე მას მოვკლავ, როგორც კი იგი გამოჩნდება. არ მაინტერესებს, რა მოხდება მერე, მაგრამ მე მას მოვკლავ!

საინტერესოა, რა იარაღით აპირებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი და საბჭოთა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ლეონიდ კრავჩუკი რუსების წინააღმდეგ ბრძოლას. ჟურნალისტებმა გაიხსენეს ორი წლის წინათ კრავჩუკის მიერ მათთვის ნაჩვენები თოფი, რომელიც, მისივე თქმით, **ჰერმან გერინგის** კოლექციიდან ყოფილა. დიახ, დიახ, თქვენ არ შემცდარხართ, **ლაპარაკია ჰერმან გერინგზე, მესამე რაიხის რაიხსმარშალზე, გერმანიის საიდუმლო პოლიციის (გესტაპოს) დამაარსებელზე, გერმანიის ავიაციის (ლუფტვაფეს) სარდალზე, მეორე პირზე ნაცისტურ გერმანიაში, რომელიც, 1941 წლის 29 ივნისის დოქტრინის მიხედვით, ოფიციალურად იყო გამოცხადებული ჰიტლერის მემკვიდრედ. ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა იგი ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავედ სცნო და სიკვდილი (ჩამოხრჩობით) მიუსაჯა. გერინგმა მოახერხა, რომ განაჩენის აღსრულებისთვის დაესწრო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულა. აი, ვისი თოფით ემუქრება და აშინებს რუსეთს ყოფილი კომუნისტი ლეონიდ კრავჩუკი.**

მცირე რეტროსპექტივა:

ფაშისტი დამპყრობლების მიერ უკრაინის ოკუპაციის პერიოდში დაინგრა 700 ქალაქი, 28 000 სოფელი, 16 000 ფაბრიკა-ქარხანა; დაიღუპა რვიდან ათ მილიონამდე ადამიანი. უკრაინის გასათავისუფლებლად ბრძოლის დაწყების შესაძლებლობა 1943 წელს გაჩნდა. ეს გრანდიოზული სამხედრო მოქმედებები 1943 წლის იანვრიდან 1944 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. დროის ამ მონაკვეთში წითელმა არმიამ განახორციელა თხუთმეტი შეტევითი ოპერაცია — ბელგოროდხარკოვის; დონბასის; დნეპროვსკო-კარპატსკის; ლვოვისანდომირის და სხვა მიმართულებებით. უკრაინის განთავისუფლებისთვის წარმოებული სამხედრო ოპერაციების მასშტაბების წარმოდგენაში ეს ციფრები დაგეხმარებათ: **მხოლოდ ერთ ოპერაციაში — „დნეპრისთვის ბრძოლა“ — დაახლოებით ოთხი მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, ფრონტის ხაზი კი 750 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. უკრაინა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა, სადაც პირადი შემადგენლობის ეროვნული კუთვნილება უკანა პლანზე იყო გადაწეული, ამიტომ დღეს ძნელია თქმა, სახელდობრ რუსი ეროვნების რამდენი ჯარისკაცი მონაწილეობდა ამ წმინდა საქმეში, მაგრამ, უმრავლესობა რომ რუსი იქნებოდა, უეჭველია, ვინაიდან წითელ არმიაში უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ.** ჰოდა, წარმოვიდგინოთ სურათი, რომ კრავჩუკივით უპასუხისმგებლო ვინმე უკრაინელი აივანზე გადმომდგარიყო, გერინგის კოლექციიდან აღებული თოფი მოემარჯვებინა და საბჭოთა ჯარისკაცებისთვის სროლა აეტეხა. იყვნენ ასეთებიც: **ბანდერა, შუხევიჩი** და მათი ბანდის წევრები, რომლებიც, აგერ, ოცდამეერთე საუკუნეში, სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა ფაშისტურმა ხელისუფლებამ ეროვნულ გმირებად შერაცხა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. **როგორც ჩანს, ბატონ კრავჩუკსაც აღეძრა თუნდაც დროებითი გმირობის სურვილი და რუსეთის წინააღმდეგ ხელში გერინგის თოფი აილო.** ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, ერთ ინტერვიუში შესაძლებელია, ადამიანმა რაღაც ვერ მოზომოს და ისეთი რამ თქვას, რაც მისსავე პოზიციას არ შეესაბამება, მაგრამ, როდესაც ადამიანი, ამ შემთხვევაში კრავჩუკი, ერთი და იმავე პოზიციას სხვადასხვა ტელეეთერსა და წერილში წარმოაჩენს, ეს მისი ამ პოზიციის ურყევობის ნიშანია: „Мир не отдаст Украину на произвол какому-то маньяку“, — ბრძანა კრავჩუკმა. **რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ბაიდენის ამასწინანდელი გამონათქვამის ექო ხომ არ ჩაგესმათ ამ ნათქვამში?** კი, ნამდვილად, პრეზიდენტ ბაიდენის სიტყვები გაიმეორა ყოფილმა პრეზიდენტმა, ოდნავი ვარიაციით — „მკვლელი“, „მანიაკი“. მისი აზრი ბატონმა კრავჩუკმა მოგვიანებით ასე განავრცო: „Да, Россия может сдуру, как говорится, пойти в наступление. Может. Но это будет последний для нее поход, после этого она развалится на куски... К чему я говорю? При всей неадекватности поведения Россия на это не решится, потому что это будет шаг сошедшего с ума государства. Я верю в то, что Путин не решится идти на Украину большой войной. Но, повторяю, Украина должна проработать все возможные сценарии по всем направлениям. Мы должны быть готовы ко всему, поскольку имеем дело с неадекватной российской властью“.

ნახეთ, კრავჩუკის ამ **განცხადებაში როგორი სისავსით არის გაცხადებული აშშ-ის ფერადი ოცნება რუსეთის დაშლაზე,** ისევე, როგორც ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირი დაიშალა: „Да, Россия может пойти в наступление. Может. Но после этого она развалится на куски“. არა უბრალო ვინმე, არა საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, არამედ უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი და დღესაც მოქმედი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ რუსეთი, შესაძლებელია, თავს დაესხას უკრაინას. ჩნდება შეკითხვა — **რატომ უნდა დაესხას თავს უკრაინას რუსეთი? საბჭოთა კავშირი დაიშალა. რუსეთმა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები (მათ შორის უკრაინაც, ყირიმთან ერთად) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ახლა რატომ უნდა დაიწყოს ომი რუსეთმა უკრაინასთან?** რა შეიძლება რუსეთს ამოძრავებდეს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით ეს მისი ისტორიული ტერიტორია დაიბრუნა და შავ ზღვაზე გეოპოლიტიკური ბალანსი, რომლის დარღვევასაც აშშ უკრაინის ხელისუფლების სხვადასხვა თაობების მხარდაჭერით რუსეთის საზიანოდ ცდილობდა, აღადგინა?! რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირებით, მით უმეტეს, ომით რუსეთი არც შეიძლება **დაინტერესებული იყოს. პირიქით, რუსეთი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული უკრაინასთან კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობებით, ვინაიდან რუსები და უკრაინელები არამხოლოდ მეზობელი, არამედ ერთი საერთო ძირიდან მომავალი ხალხია — საერთო ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით, ნიშან-თვისებებით, რელიგიითა და თითქმის საერთო ენით... რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირებისთვის მხოლოდ ერთი საფუძველი არსებობს — აშშ-ის ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც იგი უკრაინას პერიოდული სახელმწიფო გადატრიალებების გზით ახვევს თავს.** ეს პოლიტიკა თავისი არსით ფაშისტური და ანტირუსულია. იგი ნოყიერ ნიადაგს პოულობს უკრაინის იმ დაჯგუფებაში, რომელმაც იქ რიგ ისტორიულ გარემოებათა გამო დაიბუდა. **უკრაინის მოსახლეობის ეს მცირერიცხოვანი ნაწილი აშშ-ის პროვოკაციული და ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად ახერხებს ხელისუფლებაში იუშჩენკოს, პოროშენკოს, ზელენსკის მსგავსი მარიონეტების მოყვანას, რომელთა იდეოლოგია აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში დაიწერა და ორ მთავარ მიმართულებას ეყრდნობა — ანტირუსულსა და პროფაშისტურს. ეს ძალები უკრაინაში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს დონბასში, ლუგანსკში, ოდესასა და სხვაგან და სხვაგან, მათი ვითომ სეპარატისტული განწყობების პასუხად, გაუთავებლად ესხმიან თავს და ბომბავენ.** უკრაინაში 2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დღემდე ათი ათასზე მეტი რუსი ეროვნების მოქალაქეა დაღუპული, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები. რამდენიმე დღის წინათ ოთხი წლის ბავშვის ცხედარი მიაბარეს მიწას. ყოველივე ამის შემდეგ უსირცხვილოდ გაჰყვირიან: რუსეთს სურს, თავს დაგვესხასო. ნუ აკეთებთ ამას, ნუ ხოცავთ საკუთარ მოსახლეობას და თავს არავინ დაგესხმით. საერთოდ, **რუსეთი ისტორიულად ცნობილია, როგორც ბევრის მომთმენი სახელმწიფო, მაგრამ იგი, აგრეთვე, ცნობილია, როგორც დაუმარცხებელი სახელმწიფო. რუსეთს მოთმინება უსასრულოდ ჰყოფნის, ანუ ჰყოფნის იქამდე, სანამ მოთმინების გზასაც არ მოუჭრიან, ამიტომ ცეცხლს ეთამაშება ყველა, ვისაც რუსეთის მოთმინების გამოცდა გადაუწყვეტია. ეს არამხოლოდ უკრაინას, არამედ აშშ-სა და კოლექტიურ დასავლეთსაც ეხება.**

სამწუხაროა, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ დასავლეთმა ფაშისტური განწყობები დღემდე ვერ მოიშორა. რამდენიც უნდა ილაპარაკონ დასავლეთში დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე, სიტყვით რამდენიც არ უნდა გააფეტიშონ ლიბერალიზმის ცნება, არსით, სულით, ფსიქიკური წყობით და საზოგადოებრივი ცნობიერებით ნაცისტებად და ფაშისტებად რჩებიან, რადგან მათ არასოდეს სტოვებდათ საკუთარი გამორჩეულობისა და სხვებზე მაღლა დგომის (უკეთესობის) განცდა და არასოდეს უთქვამთ უარი ძალმომრეობაზე, რომელსაც ყოველთვის აღიარებდნენ გარე სამყაროსთან ურთიერთობის საუკეთესო ფორმად.

**დასავლეთს შეუძლია ხალხებისა და ერების ისე შეძულება, რომ მათი განადგურების გადაწყვეტილება მიიღონ. ისევე, როგორც ნაცისტურ გერმანიას ჰქონდა მიღებული ებრაელების, ბოშების, რუსების (საერთოდ, სლავების) განადგურების გადაწყვეტილება. დასავლეთის პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, ამ სათაკილო და დასაგმობ მსოფლმხედველობას ეფუძნება. მათ შეუძლიათ ხალხებისა და სახელმწიფოების აღგვა პირისაგან მიწისა, როგორც ეს იუგოს-** ▶



უკრაინის ექსპრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ფაშისტი გერინგის თოფით ხელში

**ლაპარაკია ჰერმან გერინგზე, მესამე რაიხის რაიხსმარშალზე, გერმანიის საიდუმლო პოლიციის (გესტაპოს) დამაარსებელზე, გერმანიის ავიაციის (ლუფტვაფეს) სარდალზე, მეორე პირზე ნაცისტურ გერმანიაში, რომელიც, 1941 წლის 29 ივნისის დოქტრინის მიხედვით, ოფიციალურად იყო გამოცხადებული ჰიტლერის მემკვიდრედ. ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა იგი ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავედ ცნო და სიკვდილი (ჩამოხრჩობით) მიუსაჯა. გერინგმა მოახერხა, რომ განაჩენის აღსრულებისთვის დაესწრო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. აი, ვისი თოფით ემუქრება და აშინებს რუსეთს ყოფილი კომუნისტი ლეონიდ კრავჩუკი**

**დღეს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები გაერთიანებულნი არიან იმ სულისკვეთებით, რომ დასავლეთის მახინჯი და დეგრადირებული პოლიტიკა, რომელიც მსოფლიოს ფაშიზმის ახალი ტალღით ემუქრება, მათთვის ერთნაირად მიუღებელია. მათ აერთიანებთ ის სულისკვეთებაც, რომ მძლავრი გლობალისტური ტენდენციების ეპოქაში დასავლეთის ძალმომრეობის წინაშე მარტო დარჩენა დამღუპველია.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
ეროვნული გაზეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჩვენი ვალია, სოლიდარობა გამოვუცხადოთ რუსეთს, იმ ერთადერთ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია, წინ აღუდგეს ამერიკულ ძალმომრეობას და შეაჩეროს ჯოჯოხეთის იმპერიის გამაოგნებელი ბოროტმოქმედებანი, რომელსაც იგი პლანეტაზე თესავს და მთელ მსოფლიოს ახალი გლობალური ომის კატასტროფისკენ მიაქანებს. იუგოსლავია, ერაყი, ლიბია, ეგვიპტე, სირია, ვენესუელა, ჩრდილოეთი კორეა არ აღმოჩნდა საკმარისი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად, ამიტომ ამგვარი კატალიზატორის როლს ახლა უკრაინას აკისრებენ

◀ ლავიაში ჩაიდინეს, როგორც ამას სირიაში აპირებდნენ, მაგრამ რუსეთმა არ მისცა საშუალება, ამიტომაა, რომ ისინი დღესაც ისევე თესავენ და აღვივებენ რუსოფობიას, როგორც **ჰიტლერი** და მესამე რაიხი აღვივებდა ანტისემიტიზმს. აშშ-ისა და ნატოს მიერ იუგოსლავიის განადგურება რეპეტიცია იყო რუსეთის განადგურებისა. მიუხედავად სამარცხვინო და ყოვლად დამამცირებელი მარცხისა მეორე მსოფლიო ომში, მიუხედავად ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ გასამართლებისა, ფაშიზმისთვის დამახასიათებელი ეს ნიშნები არც ამერიკელებს და არც ევროპელებს არ დაუკარგავთ.

ნუ დაგაბნევთ ის, რომ მთელი დასავლეთი ნიურნბერგის პროცესის მიერ გასამართლებულად წარმოვადგინე. რეალურად ეს ასეც იყო. თითქმის არაფერს არ ნიშნავს ის ფაქტი, რომ **რუზველტმა** და **ჩერჩილმა** ომის დასასრულს მეორე ფრონტი გახსნეს და სტალინის მოკავშირეებად მოგვევლინენ. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რომლითაც მათ ისტორიის სამსჯავროსგან თავის დაძვრენა სცადეს და ამ მიზანს, მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს. სინამდვილეში კი მათ ვერაგობასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. თავად განსაჯეთ: სენატორი **ჰარი ტრუმენი** (შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტი) საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმიდან ორი დღის შემდეგ, 1941 წლის 24 ივნისს, პოპულარული გაზეთისთვის (New York Times) მიცემულ ინტერვიუში პოლიტიკოსისთვის სრულიად შეუფერებელი გულახდილობით უტიფარ განცხადებას აკეთებდა: **„ჩვენ თუ ვნახავთ, რომ ამ ომში გამარჯვებას აღწევს გერმანია, უნდა დავეხმაროთ რუსეთს, მაგრამ, თუკი ვნახავთ, რომ გამარჯვებას აღწევს რუსეთი, ჩვენ დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ გერმანიას. დაე, მათ ხოცონ ერთმანეთი და მოკლან, რაც შეიძლება მეტი...“** საკუთარი შემზარავი სახიდან ნიღბის ამაზე მეტად ჩამოხსნა და სატანური ბუნების უფრო მეტად გაშიშვლება, ალბათ, შეუძლებელია. ეს ის ტრუმენია, რომელმაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში (1945 წ.) ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარა და ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა ჯოჯოხეთის ალში ამობუგა. პრეზიდენტების სახელები და გვარები აშშ-ის „საამაყო“ ბირთვულ ეპოპეამდეც იცვლებოდა და მას მერეც იცვლება, მაგრამ ამერიკული ცხოვრების წესი არ იცვლება; პლანეტაზე გაბატონებისა და მსოფლიოში უსამართლობის დანერგვის სურვილი არ იცვლება; დემოკრატიითა და თავისუფლებით შენიღბული ვერაგობისა და მუხანათობის ჩვეულება არ იცვლება; მსოფლიო დიქტატორის სტილი და მანერა არ იცვლება, დღემდე არ იცვლება. **ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ზოგან არჩევნების გაყალბების, ზოგან სახელმწიფო გადატრიალების გზით, ყველგან საკუთარი ხელისუფლება მოიყვანეს, ყველგან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრები ჩასვეს და საკუთარი ელჩები მეფისნაცვლებივით დაგვასვეს თავზე; სადაც რომელი იდეოლოგია ჭრის, იმ იდეოლოგიას იყენებენ. მაგალითად, საქართველოსა და ბალტიისპირეთში ნაციონალიზმმა იმუშავა კარგად, უკრაინაში — ფაშიზმმა.** მათთვის სულერთია, მთავარია, რომ ანტირუსული ისტერიკა მძლავრობდეს, რუსული კულტურის, რუსული ენის, რუსული სულისა და მართლმადიდებლობის სიძულვილი გაღვივდეს და ამას ე.წ. ლგბტ პროპაგანდით მიაღწევენ თუ დემოკრატიის ძახილით, ნაციონალისტური ტენდენციების წახალისებით თუ ღია ფაშიზმის გაღვივებით, მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის ყველა ხერხი მისაღებია, რომლებიც რუსეთის მიმართ შეუთავსებლობას, გაუცხოებასა და სიძულვილს გააჩენს. **ამერიკელები დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა მოქმედებდნენ, ყველგან რუსეთს ებრძვიან. დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა ვითარდებოდეს მოქმედება — ახლო აღმოსავლეთსა თუ ვენესუელაში, აფრიკის კონტინენტზე თუ ჩრდილოეთ კორეაში, ევროპასა თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამერიკელები ყველგან რუსეთს უპირისპირდებიან. რუსეთთან აშშ-ის დაპირისპირებამ აბსურდის სახე მიიღო.** მაგალითად, ისინი გაჰყვირიან, რომ რუსული ბუნებრივი აირის მილსადენი, ე.წ. ჩრდილოეთის ნაკადი -2, რომელიც უკვე გერმანიამდეა მიყვანილი, რისთვისაც კოლოსალური თანხებია დახარჯული, თურმე, არ უნდა დასრულდეს. როგორ მოგწონთ? ეს პროექტი რუსეთისთვისაც და გერმანიისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტია. **რუსეთი და გერმანია ერთ კონტინენტზე მდებარე სუვერენული სახელმწიფოებია და მათ სრული უფლება აქვთ, გადაწყვეტილება თვითონ მიიღონ, მაგრამ როგორ გეკადრებათ?! ამ პროექტზე საბოლოო სიტყვის თქმის უფლებას ამერიკელები იტოვებენ. მათი ვერდიქტი ასეთია: მშენებლობა არ უნდა დასრულდეს! ისინი სანქციებით ემუქრებიან ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში რამე წვლილის შეტანას გაბედავს. გერმანელებს კი რუსული, მაღალხარისხიანი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იაფი ბუნებრივი აირის ნაცვლად, თავიანთი უვარგისი, მაგრამ ორჯერ ძვირი გაზის ოკეანის გავლით ტანკერებით ზიდვას სთავაზობენ, რაც გერმანიის ეკონომიკას უმძიმეს ტვირთად დააწვება, რუსეთს კი მნიშვნელოვნად დააზარალებს.** ასეთ შემთხვევაში რუსეთი რომ აცხადებდეს, ამერიკის თავგასული პოლიტიკა უნდა აილაგმოსო, სავსებით საფუძვლიანი რეაქცია იქნებოდა, მაგრამ რუსეთის ნაცვლად ამერიკელები გაჰყვირიან რუსეთის აგრესიასა და მისი შეკავების აუცილებლობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკული პოლიტიკის მიერ სახელმწიფოთა ურთიერთობის ლოგიკა უარყოფილია, ზნეობა ჩანიხლულია, რეალობა კი გამრუდებული და დეფორმირებულია.




ზემოთ ვთქვი, რომ ამერიკელები დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა მოქმედებდნენ, ყველგან რუსეთს ებრძვიან. **რუსეთთან ბრძოლა კი დედამიწაზე არსებულ ყველა იმ სახელმწიფოსა და ყველა იმ ხალხთან ბრძოლაა, რომლებიც გმობენ ძალმომრეობის პოლიტიკას და მოწოდებულნი არიან სახელმწიფოებსა და ერებს შორის ცივილიზებული ურთიერთობებისა და სამართლიანი თანაცხოვრებისკენ. ისინი, როდესაც რუსეთს ებრძვიან, ჩვენ გვებრძვიან.** აი, რა უნდა გავაცნობიეროთ. ამ ვითარებაში ჩვენი ვალია, სოლიდარობა გამოვუცხადოთ რუსეთს, იმ ერთადერთ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია, წინ აღუდგეს ამერიკულ ძალმომრეობას და შეაჩეროს ჯოჯოხეთის იმპერიის გამაოგნებელი ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც იგი პლანეტაზე თესავს და მთელ მსოფლიოს ახალი გლობალური ომის კატასტროფისკენ მიაქანებს. იუგოსლავია, ერაყი, ლიბია, ეგვიპტე, სირია, ვენესუელა, ჩრდილოეთი კორეა არ აღმოჩნდა საკმარისი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად, ამიტომ ამგვარი კატალიზატორის როლს ახლა უკრაინას აკისრებენ. უკრაინის ფაშისტური ხელისუფლება რუსული ენის დევნა-აკრძალვით, მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების შეტანითა და უკრაინაში რუსი ეროვნების მოსახლეობისადმი მოწყობილი ხოცვა-ჟლეტვით, რაც სხვა არაფერია თუ არა გენოციდის მცდელობა, მსოფლიოში გლობალური დაპირისპირების პროვოცირებას ახდენს. კოლექტიური დასავლეთი უკრაინასთან დამოკიდებულებაში ოცდამეერთე საუკუნეშიც იმავე გზას დაადგა, რა გზაც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გერმანიასთან დამოკიდებულებაში აირჩია. **აშშ-მა და ინგლისმა ჰიტლერი ჯერ ხელისუფლებაში მოიყვანეს, შემდეგ კი დააფინანსეს, შეაიარაღეს და გლობალური ომისკენ უბიძგეს. რა ტრაგედიად, რა სისხლად და რა ცრემლად დაუჯდა კაცობრიობას დასავლეთის ეს პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურა, ყველასთვის ნათელია. ახლა, თითქმის საუკუნის ინტერვალით, ავანტიურა მეორდება. საბჭოთა კავშირმა შეძლო არნახული ბოროტებისთვის ალვირის ამოდება. დღეს, მოვლენათა ტრაგიკული განვითარების შემთხვევაში, ანალოგიური მისია რუსეთს ეკისრება. რუსეთმა თუ ვერ გაუძლო ამ ეპოქალურ ტვირთს, კაცობრიობა თანამედროვე ფაშისტების ფერხთქვეშ აღმოჩნდება გართხმული, იმ თანამედროვე ამერიკელი ფაშისტების ფერხთქვეშ, რომლებიც სისასტიკით კი არ ჩამოუვარდებიან, დიდად აღემატებიან წინამორბედ ევროპელ ფაშისტებს.** რუსეთმა ამ მისიის შესრულება რომ შეძლოს, ამისთვის აუცილებელია, მის გვერდით ისევე დადგნენ და შეიკრან კოალიციური ძალები, როგორც საბჭოთა კავშირის გარშემო შეიკრნენ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას. რა ტენდენციებია ამ თვალსაზრისით? ამჟამად საკითხის გლობალურ კონტექსტში განხილვას არ შევუდგები, მაგრამ მოკლედ შევჩერდები **საქართველოზე**, სადაც უმძიმესი ვითარება გვაქვს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი **დავით ზალკალიანი** აცხადებს: „მე გამოვხატე უკრაინისადმი სოლიდარობა და განვაცხადე, რომ მზად ვართ, ყველა საერთაშორისო ფორმატშიც და ორმხრივადაც გავაგრძელოთ მხარდაჭერა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის, რადგან რუსეთის ფედერაციას ეს არ აღელვებს. ის აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებას და კუნთების თამაშს იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს უკრაინაზეც და მთლიანად რეგიონზე, ამიტომ ეს არა მხოლოდ უკრაინის თემაა, არამედ ჩვენი საზრუნავიც“.

**საგარეო საქმეთა მინისტრის პარალელურად, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი ავრცელებს ანალოგიურად ცრუ პათოსით გაჟღენთილ განცხადებას:** „ღრმად ვართ შეშფოთებული აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მუდმივი დარღვევით, ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრებთან რუსეთის სამხედრო ძალის მასშტაბური მობილიზებით და კრემლის აგრესიული რიტორიკით... კიდევ ერთხელ ვადასტურებთ საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ამასთანავე, მივესალმებით ნატოსა და უკრაინას შორის ურთიერთობის გაღრმავებას და მხარს ვუჭერთ შავი ზღვის რეგიონში ალიანსის გაზრდილ ჩართულობას, რასაც სტაბილურობის გარანტად მივიჩნევთ... მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, გააგრძელოს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი მხარდაჭერა რუსეთის აგრესიისა და დესტრუქციული ქმედებების წინააღმდეგ“.

ამ განცხადების შინაარსი გამარტივებულად რომ წარმოვიდგინოთ, ეს არამხოლოდ უკრაინის ფაშისტური ხელისუფლებისთვის გამოცხადებული მხარდაჭერა, არამედ გლობალური ომისთვის გამოცხადებული მხარდაჭერაცაა. დღეს ამგვარი სულელური ტექსტების ჯღაბნისა და გამოქვეყნების დრო არ არის. დღეს გადაბრუნებული და გაუკუღმართებული ცნობიერების შემობრუნებისა და გასწორების დროა. საქართველოს ხელისუფლება რაც უფრო იძირება სიძულვილისა და უსამართლობის, სიცრუისა და ძალმომრეობის დასავლურ პოლიტიკაში, მით უფრო სწყდება ქართველი ხალხის შინაგან განწყობებს, მის ისტორიას, მის სადღეისო მისწრაფებებსა და დამოკიდებულებებს გარე სამყაროსთან, მსოფლიო პოლიტიკასთან. საქართველოში დასრულდა დასავლეთის ხიბლით გამოწვეული ეიფორია და აღტყინება. მოხდილია მედასავლეთეობის საყმაწვილო სენი. ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გააცნობიერა დასავლური პოლიტიკის დამანგრეველი შედეგები მსოფლიოში და ეს ასახულია საზოგადოებრივ აზრში, რომელიც იმდენად ერთმნიშვნელოვანია, რომ სპეციალური სოციოლოგიური კვლევების საჭიროებაც არ დგას. **დღეს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები გაერთიანებულნი არიან იმ სულისკვეთებით, რომ დასავლეთის მახინჯი და დეგრადირებული პოლიტიკა, რომელიც მსოფლიოს ფაშიზმის ახალი ტალღით ემუქრება, მათთვის ერთნაირად მიუღებელია. მათ აერთიანებთ ის სულისკვეთებაც, რომ მძლავრი გლობალისტური ტენდენციების ეპოქაში, დასავლეთის ძალმომრეობის წინაშე მარტო დარჩენა დამღუპველია.** დღეს რუსეთია ის სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის წინაშე კიდევ ერთხელ იძენს იმ შემკრებ, გამაერთიანებელ, დადებით მისიას, მსოფლიოს გადარჩენის ერთადერთ გარანტად რომ გვევლინება. ამ რწმენიდან, ამ სულისკვეთებიდან უკან დახევა შეუძლებელია, ვინაიდან ლოზუნგი, რომელიც დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში ამოქმედდა, დღემდე აქტუალურია — ჩვენ უკან მოსკოვია!

**ვალერი კვარაცხელია**

**P.S.** წერილი მზად იყო, როდესაც უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის მიერ CNN-ისთვის მიცემული ინტერვიუ გამოქვეყნდა. ამ ინტერვიუში იგი პრეზიდენტ ბაიდენს სთხოვს, რომ უკრაინა სასწრაფოდ მიიღონ ნატოს წევრად. შემდეგ კი, თხოვნიდან მოთხოვნაზე გადადის და განწირული ხმით ყვირის: „მეტი იარაღი, მეტი ფული ბრძოლისთვის!“

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მიიღებს, რასაც ითხოვს, აუცილებლად მიიღებს, მაგრამ რას მიიღებს ამით უკრაინა ან რა მოჰყვება ამას საერთოდ, ეს უკვე მომავლის საქმეა.

**ვ.კ.**

ენგურს იქით და აქეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართულ სატელევიზიო სივრცეში ხშირად საუბრობენ, რომ აფხაზეთში, კერძოდ, გალში, არ არის მედიკამენტები, სურსათი, ექიმი, მაგრამ ეს ტყუილია, აქ ყველაფერია, არაფრის პრობლემა აქ არ არის. დევნილებს საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე აქვთ შეღავათები ყველაფერზე და სწორედ ეს შეღავათებია მიზეზი, რომელთა გამოც აქ მცხოვრებ ქართველებს სურთ ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში წამოსვლა“.**

# ვის აკისრებენ ენგურზე მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას აფხაზეთში მცხოვრები ქართველები

7 აპრილს მაშველებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონასთან ადიდებულ ენგურში დამხრჩვალი 4 ადამიანი იპოვეს. ისინი ენგურის გავლით ცდილობდნენ ოკუპირებული აფხაზეთიდან საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადასვლას.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რეგიონის მცხოვრებთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადასვლის უფლებას სპეციალური „საშვით“ აძლევს — მხოლოდ ენგურის ხიდთან მდებარე ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით. ე.წ. საზღვრის სხვა მონაკვეთები დაკეტილია. აფხაზეთიდან სამეგრელოს რეგიონში ენგურის ხიდის გავლით ჩასულ მოქალაქეებს 5-დღიან კარანტინში ათავსებენ.

საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მდინარე ენგურში დაღუპულები „მჩაგვრელი ოკუპაციის მსხვერპლნი“ არიან. მისი თქმით, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ყველა ფაქტზე, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, მკაცრად დადგება საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი: „მინდა, გამოვეხმაურო გუშინ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას, რომელსაც ოკუპირებული გალის რაიონის მკვიდრი ჩვენი ოთხი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. მინდა, მთელი გულით მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, ვიზიარებ მათ მწუხარებას. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანებიც სწორედ ამ მჩაგვრელი ოკუპაციის მსხვერპლნი გახდნენ...

რუსეთის საოკუპაციო ძალები დღემდე უხეშად არღვევენ ჩვენი მოქალაქეების ძირითად უფლებებს და სრული პასუხისმგებლობაც სწორედ მათ ეკისრებათ, რაც უკვე სამართლებრივადაც არის აღიარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. მინდა, მკაფიოდ ვთქვა, რომ ყველა ინციდენტის, თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვისა და უკანონო დაკავების ფაქტზე, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, მკაცრად დადგება საოკუპაციო რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რა ხდება გალის რაიონში, ვის აკისრებენ მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას აფხაზეთში მცხოვრები ქართველები — ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ გალის რაიონის სოფლების — განახლების, ზემო და ქვემო ბარლების მცხოვრებნი გვესაუბრებიან.

რესპონდენტების თხოვნით, მათი გვარ-სახელები შეცვლილია.

## „ტრაგიკულად დაღუპულ ცოლსა და ქმარს, რომლებსაც სამი შვილი ჰყავდათ, შეეძლოთ საზღვარზე გავლა, მაგრამ ვერ წავიდნენ ენგურის ხიდით, იმიტომ, რომ ხუთი დღით კარანტინში ყოფნა ხელს არ აძლევდათ“

**კობა ურიდია, სოფელ ზემო ბარლების მკვიდრი:**

— ყველას კარგად მოეხსენება, რომ 2020 წლის 12 მარტს, მას შემდეგ, რაც მსოფლიოში პანდემია გამოცხადდა, საქართველომ უმალვე ჩაკეტა მიმოსვლა ენგურის ხიდზე. 2021 წლის 11 თებერვალს ქართულმა მხარემ გამოაცხადა, რომ შშმ პირებისთვის, მრავალშვილიანებისა და პენსიონერებისთვის ენგურის ხიდი გახსნილი იქნებოდა, მაგრამ... როგორც კი ენგურის ხიდს გადავლენ გალის მცხოვრებნი, ხუთდღიან კარანტინში უშვებენ. **მართალია, კარანტინში ყოფნის ვადები შეიცვალა და ამჟამინდელმა პრემიერმა 14-დან 5 დღემდე დაიყვანა, მაგრამ ესეც არ არის აქ მცხოვრებთათვის შეღავათი, რადგან ამდენი ხნით ოჯახებს ვერ ტოვებენ. აქ ცხოვრება მხოლოდ სოფლის მეურნეობაზეა აწყობილი. შესაძლოა, ოჯახში ავადმყოფი, მოხუცი ან პატარა ბავშვი არც ჰყავდეს არავის, მაგრამ არსებობენ ქვრივები, რომლებსაც საქონელი ჰყავთ და ხუთი დღით ვერ დატოვებენ.**

ტრაგიკულად დაღუპულ ცოლსა და ქმარს, რომლებსაც სამი შვილი ჰყავდათ, შეეძლოთ საზღვარზე გავლა, მაგრამ ვერ წავიდნენ ენგურის ხიდით, იმიტომ, რომ ხუთი დღით კარანტინში ყოფნა ხელს არ აძლევდათ. ასეა ბევრი ადამიანი. პრინციპში, ყველა ასეა, რადგან გალის რაიონში იშვითად თუ ნახავთ ახალგაზრდას, აქ ყველა პენსიონერი ან მრავალშვილიანი ცხოვრობს, ისეთები, რომლებმაც იქ, დედასამშობლოში, საცხოვრებელი ვერ გამონახეს, და შშმ პირები, რომლებსაც მშობლის მეტი პატრონი არ ჰყავთ. **გალიდან ზუგდიდში ხშირად, სულ რაღაც, ერთი საათით გადადიან ადამიანები და უკან ბრუნდებიან, ამიტომ ხუთი დღით კარანტინში ვერავინ ვერ გაჩერდება.**

— ვისი ბრალია ეს ყველაფერი? ამ შეკითხვას იმიტომ ვსვამ, რომ საქართველოს ხელისუფლება გამუდმებით „ოკუპანტებზე“ საუბრობს და რუსეთს აბრალებს...

— რუსეთი, საერთოდ, არ დომინირებს ამ ყველაფერში. რუსეთი ასრულებს ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომელიც სოხუმსა და მოსკოვს შორის არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რაც ნიშნავს იმას, რომ, თუ ვინმე მავთულხლართს გადალახავს ან გადმოლახავს, შესაბამის ზომებს მიიღებენ. ეს არის და ეს... აფხაზური მხარე ამ წუთშიც კი მზად არის, საზღვარი გახსნას და პრინციპში გახსნილი აქვს, თუ ქართული მხარე საზღვარს გახსნის და ხუთდღიან კარანტინს გააუქმებს.

— როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა საქართველოს მთავრობა, როდესაც ენგურის ხიდი ჩაკეტა, უფრო ზუსტად, თავდაპირველად 14-დღიანი კარანტინი დააწესა, შემდეგ 12-დღიანი და ახლა უკვე 5-დღიანი?

— საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება კარანტინის დაწესების შესახებ არასწორია და გეტყვით რატომ: გალში კეთდება ტესტი, რომელიც ავლენს, ამა თუ იმ ადამიანს აქვს თუ არა კოვიდ-19. ამ საბუთით მიდიან საზღვარზე გალელები, მაგრამ ქართული მხარე მაინც უშვებს კარანტინში.

**ქართულ სატელევიზიო სივრცეში ხშირად საუბრობენ, რომ აფხაზეთში, კერძოდ, გალში, არ არის მედიკამენტები, სურსათი, ექიმი, მაგრამ ეს ტყუილია, აქ ყველაფერია, არაფრის პრობლემა აქ არ არის. დევნილებს საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე აქვთ შეღავათები ყველაფერზე და სწორედ ეს შეღავათებია მიზეზი, რომელთა გამოც აქ მცხოვრებ ქართველებს სურთ ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში წამოსვლა. ქართულმა სახელმწიფომ მათ, ფაქტობრივად, ამის გაკეთება აუკრძალა.**




აქ, გალში, თუ ვინმე ავად გახდება, ადგილობრივი ხელისუფლება მას ენგურს გაღმა უშვებს. აძლევენ საშვს, უპრობლემოდ უშვებენ „საზღვარზე“, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ კარანტინში ხვდებიან. და, ალბათ, იცით, რომ კარანტინში ორი ადამიანი დაიღუპა: ქალბატონი — გულის შეტევით, მამაკაცი — ინსულტით, რომელიც სასწრაფოდ საოპერაციო იყო. აი, ეს არის ქართული მხარის მიერ დაწესებული უაზრო კარანტინის შედეგი.

## „არ დააფინანსონ აფხაზეთის ე.წ. მთავრობა, რომელიც თბილისშია, და ის მილიონები, რომლებიც მათთვის არის გამოყოფილი, გონივრულად დახარჯონ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე“

**ლაშა დარასელია, სოფელ განახლების მკვიდრი:**

— საქართველოში არსებობს აფხაზეთის მთავრობა და მას თავმჯდომარეც ჰყავს, ვინმე **აბაშიძე**, რომელიც, არც ვიცით, ვინ არის, საიდან მოიყვანეს და, როგორც ცნობილია, აფხაზოფობია. მეორე, **რა საჭიროა აფხაზეთის მთავრობა, თუკი მას გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია?!**

პირდაპირ ვაცხადებთ გალში მცხოვრები ქართველები: **არ დააფინანსონ აფხაზეთის ე.წ. მთავრობა, რომელიც თბილისშია, და ის მილიონები, რომლებიც მათთვის არის გამოყოფილი, გონივრულად დახარჯონ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე.**

რაც გალში ეს ტრაგედია დატრიალდა, ბევრს საუბრობენ ე.წ. ქართველი პოლიტიკოსები და, უპირველესად, პრემიერმინისტრი **ღარიბაშვილი**, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით ყველაფერს გააკეთებენ, რათა აღდგეს მიმოსვლა, მაგრამ თქვენი გაზეთის მკითხველს ვეტყვით აქაური მცხოვრებნი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ვერაფერს ვერ გადაწყვეტენ.

აფხაზეთის მხარეს არანაირი პრობლემა არ აქვს, რომ საზღვარი გახსნას. ჩვენ გვეუბნებიან ადგილობრივ ხელისუფლებაში, ქართული მხარე თავად სთხოვს გალის ადმინისტრაციას, რომ საზღვარი ჩაკეტოს... მართალია, ამ ინფორმაციას არავინ არ დაადასტურებს, მაგრამ ფაქტია და პირად საუბრებშიც აღიარებენ.

## „გალში კომუნიკაცია არ არსებობს, ჩვენ ჩაკეტილები ვართ, აქ არც შემოდის ვინმე, არც გადის“

**ნინო რიგვავა, ქვემო ბარლების მკვიდრი:**

— აფხაზებმა საზღვარი რამდენიმეჯერ გახსნეს, აქ მცხოვრებ მოხუცებთან ჩამოსვლის საშუალება მათ შვილებს მისცეს, მაგრამ აქედან წასვლის საშუალება არავის აქვს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული მხარე არ უშვებს.

ღვთის წყალობით, თვალს ვადევნებთ ინფორმაციებს, ამის საშუალება გვაქვს და ვხედავთ, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოსულებს საქართველოში თვითიზოლაციაში უშვებენ, მათ კარანტინი არ ეხება; ჩვენ, გალელებს, კი კარანტინში გვათავსებენ...

ვირუსის გავრცელება, როგორც ამბობენ, დამოკიდებულია კომუნიკაციაზე, აქ, გალში, კომუნიკაცია არ არსებობს, ჩვენ ჩაკეტილები ვართ; აქ არც შემოდის ვინმე, არც გადის. გალში არ არსებობს შეზღუდვები, არ დადის ხალხი პირბადით, ჩვენთან არ იგრძნობა პანდემია.

## „საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ჩაიკეტა ენგურის ხიდი და მათვე შეუძლიათ მისი გახსნა“

**ირაკლი გვალია, სოფელ ზემო ბარლების მკვიდრი:**

— საქართველოს მთავრობამ დაიწყო იმაზე საუბარი, რომ, შესაძლოა, საზღვარი გაიხსნას და ეს მას შემდეგ, რაც ის ცნობილი ტრაგედია მოხდა, რომლის გამოც ქვეყანაში გლოვის დღე გამოცხადდა...

— საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ჩაიკეტა ენგურის ხიდი და მათვე შეუძლიათ მისი გახსნა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საჭირო გახდა, ამხელა ტრაგედიის მომსწრენი გავმხდარიყავით, თორემ ტრაგედია იმ ორი ადამიანის სიკვდილიც იყო, კარანტინში რომ გარდაიცვალნენ...

თუკი საქართველოს მთავრობა იტყვის, — საზღვარი გაიხსნასო, აფხაზური მხარე უმალვე დათანხმდება. საქართველომ ეპიდემიის სახელით, ეპიდემიის მიზეზით აფხაზეთში მცხოვრები ქართველები გაწირა.

საქართველომ აფხაზეთი გაწირა და გაიმეტა, ეს ღალატია! არადა, სხვაგვარადაც შეიძლებოდა...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



**«ადგილობრივ ხელისუფლებაში გვეუბნებიან, რომ ქართული მხარე თავად სთხოვს გალის ადმინისტრაციას, საზღვარი ჩაკეტოს. მართალია, ამ ინფორმაციას არავინ არ დაადასტურებს, მაგრამ ეს ფაქტია და პირად საუბრებშიც აღიარებენ»**

**დიდი საქმეები თეთრი ხელთათმანებით არ და ვერ კეთდება. იმხანად მიშას ინაუგურაცია რომ ჩაგვეშალა, სისხლი დაიღვრებოდა, მაგრამ არა იმდენი და თანაც უაზროდ, რამდენიც ჩაუშლელი ინაუგურაციის შედეგად გაჩაღებულ აგვისტოს ომში დაიღვარა. არაფერს ვიტყვი დაკარგულ სოხუმ-ცხინვალზე, რაც სამწუხარო მოცემულობაა.**



ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაფერი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს — პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვადასხვა ფერის რევოლუციები, როგორც წესი, ვითომ კორუფციასთან ბრძოლის საბაბით იწყებოდა და მოცემულ ქვეყნებში პროდასავლური ნეოლიბერასტული „დემოკრატიული" რუსოფობიური რეჟიმების დამყარებით, აშშ-ის სამხედრო ბაზების მეტ-ნაკლებად წარმატებული მშენებლობის მცდელობებით, ხოლო განსაკუთრებით „იღბლიანი" ქვეყნებისთვის (საქართველო-უკრაინა-მოლდოვა-სომხეთი) ტერიტორიების დაკარგვით მთავრდებოდა.**

# არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია

„ვითომ" იმიტომ, რომ სხვადასხვა ფერის „დემოკრატიული" რევოლუციებით „გაბედნიერებულ" ქვეყნებში კორუფცია არ გამქრალა, პირიქით — უფრო დაიხვეწა (აი, ელიტურ კორუფციას რომ ეძახიან) და ფართო მასშტაბი შეიძინა.

რაც შეეხება აშშ-ის სამხედრო ბაზების „მეტ-ნკლებად" წარმატებულ მშენებლობას, ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ყირგიზეთში ბოლოს წინა (აღარ მახსოვს, რა ფერის) და, ალბათ, არა უკანასკნელი რევოლუციის შედეგად აშშ-ის სრულფასოვანი სამხედრო ბაზა რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედებდა. და, რომ არა რუსეთის ზეწოლა აშშ-ისა და მის მარიონეტ ხელისუფლებაზე ბიშკეკში, ამერიკელთა სამხედრო ბაზა დღესაც იქ იქნებოდა, რადგან ყირგიზეთი და დემოკრატია ერთმანეთთან მარად შეუთავსებელი ცნებებია და იქ სსრკ-ის დანგრევის შემდეგ ე.წ. კლანური მმართველობაა. ზემოთ „ბოლოს წინა" რევოლუცია ვახსენე იმის აღსანიშნავად, რომ ბოლო რევოლუციის (უფრო ზუსტად, მასობრივი არეულობის, ნგრევის, მაროდიორობის) შედეგად აშშ-ზე ორიენტირებული ყირგიზეთის მმართველი კლანი რუსეთის მიერ კონტროლირებულმა კლანმა ჩაანაცვლა და, როგორც ჩანს, სამუდამოდაც, რადგან რუსეთმა ხმამაღლა განაცხადა პოსტსაბჭოთა სივრცეზე მისი გავლენის აღდგენის შესახებ.

ზემოთქმული მორიგი „ავი მუსაიფის" შესავლად მქონდა განზრახული, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო იმ განზრახვის შესრულება ვეღარ შევძელი და, როგორც აღმოჩნდა, ძალიანაც კარგი, რადგან შეძლების შემთხვევაში ის „ავი მუსაიფი" კარგად ნაცნობი „უცნობის" მცირე მხარაჭერის უნებლიე გაგრძელება გამომივიდოდა; მხარდაჭერის, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს" გვერდებზე ჩემს ბოლო წერილში (სათაურით „დღევანდელი საქართველო ერეკლესდროინდელზე უარეს დღეშია") ავანსად (თუ ასე თქმა შეიძლება) გამოვუცხადე. რის გამოც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რომ არა ჩემი შეუძლოდ ყოფნის გამო „იმ „ავი მუსაიფის" „ჩავარდნა", დღეს მკითხველის წინაშე თავის მართლება მომიწევდა — „ამხანაგური სასამართლო", რომელსაც თუ ვერ მოვიგებდი, არც წავაგებდი, რადგან „ადვოკატებად" საკუთარი უანგარობა და ნაცნობი-„უცნობისთვის" იმ ბოლო „ავ მუსაიფში" გაკეთებული შეთავაზება მეყოლებოდა. იმ „ავი მუსაიფის" P.S.-ში „უცნობს" დიდი **ილიას** ცნობილი წერილი მივანოდე, რომელიც საქართველოს უგვირგვინო მეფემ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ **სერაფიმე?**

1898 წელს მისწერა. წერილში ილია მართალი, ჩვენი რუსოფობი ხელისუფლება-ოპოზიციისგან განსხვავებით, რომლებიც ერთმორწმუნე რუსეთის ლანძღვა-გინებაში ალამ-ათენებენ, რუსეთს მადლობას უხდის ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. საკმაოდ ვრცელი წერილი კი (დღეს, ალბათ, ანდერძიც შეიძლება ვუწოდოთ) დიდი ილიას მოწოდებით მთავრდება: „დიდი რუსეთის გარეშე არ არსებობს საქართველოს და ქართველი ერის ხსნა!" **„ნაცნობო-„უცნობო" — გაბედავ დიდი ილიას ამ წერილის შენი „კიდობანის" პირდაპირ ეთერში წაკითხვას?**

როგორც აღმოჩნდა, რიტორიკული კითხვით დამისრულებია ზემოთ ხსენებული „ავი მუსაიფი". დიახ, როგორც აღმოჩნდა, რადგან „უცნობმა" პირდაპირ ეთერში წაიკითხა კი არადა, ჩვენ შორის „შუამავალი", ჩემი კარგი ნაცნობი ჯაპანაც, იმ წერილის შემდეგ ჩემი რადარებიდან უკვალოდ გაქრა. არადა, „უცნობო," რისი ან ვისი გეშინია პოლიციის ეზოში გმირულად (ყოველგვარი ირონიის გარეშე) გადამხტარმა კაცმა, ილიას სიტყვების ციტირება ვერ გაბედე? თუ ვინმესი გეშინია, ისევ ილიას მოიშველიებ — რა ვქნა, ყველაფერი ილიას ბრალია, მისი წერილი წავიკითხე, საკუთარი ლექსები ხომ არაო. თუ უფრო მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე? როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.'

რაც შეეხება, საზოგადოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის ფაქტებს, ჩემი იძულებითი „შემოქმედებითი" პაუზის განმავლობაში კიდევ ერთი 9 აპრილი „ვიზეიმეთ" ნაცნობ-უცნობის რეჟისურით. იქამდეც კი, რომ ლამის ახალი დღესასწაულიც კი გააჩინა კედლის კალენდარზე ნაცნობმა „უცნობმა"...

**„ქართველების მარადისობის დღე"?** — რომელი მარადისობის, მარად ვაზელინი რომ გვისვია და 30 წელიწადია დასავლელ „მეგობრებს", ლგბტ-პედერასტების, ტრანსგენდერების დამცველ ნატოს უშედეგოდ რომ ვეტენებით? თუ ის არის ქართველთა მარადისობა, 100 ათასი მოწამის ადგილზე მდუმარე აქციას რომ ვაწყობთ და პარალელურად, მიშნაცების მიერ გაშლილი კარვების ფონზე **გიგა ბოკერია** ცინიკურად რომ არიგებს ხმაურიან ინტერვიუებს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის სიწმინდეზე და იქვე „ვენოკით" ხელში ნიანგის ცრემლებს რომ აღვარღვარებენ საქართველოში აკრედიტებული დიპმისიის წევრები აშშ-ის ელჩის მეთაურობით? „უცნობისტებს" (ვაჰ, მგონი, ახალი ტერმინი დავამკვიდრე ქართულ მასმედიაში) პასუხად ერთი „რკინისებური" არგუმენტი აქვთ, — სისხლი დაიღვრება, „ისინიც ქართველები არიან"...

პატარა „გრეჩიხამ" ჟურნალისტ **მერაბ მეტრეველს**, პრაქტიკულად, აღიარებითი ჩვენება მისცა — როდესაც იპოდრომზე ასიათასობით ქართველი იყინებოდა, იმ მომენტში თურმე „უცნობი" შავნაბადაზე მიშას ევაჭრებოდა — ხალხს დავშლი, თუ ტელევიზიას მომცემო. ხალხი დავშალეთ, მიშამ კი გადამაგდოო, — წუხდა „გრეჩიხა". რაც შეეხება სისხლს — დიდი საქმეები თეთრი ხელთათმანებით არ და ვერ კეთდება. იმხანად მიშას ინაუგურაცია რომ ჩაგვეშალა, სისხლი დაიღვრებოდა, მაგრამ არა იმდენი და თანაც უაზროდ, რამდენიც ჩაუშლელი ინაუგურაციის შედეგად გაჩაღებულ აგვისტოს ომში დაიღვარა. არაფერს ვიტყვი დაკარგულ სოხუმ-ცხინვალზე, რაც სამწუხარო მოცემულობაა. რაც შეეხება ფრაზას — „ისინიც „ქართველები არიან", **ქართველობა და, საზოგადოდ, ნებისმიერი ეროვნების კუთვნილება, მხოლოდ სისხლით ერთობას კი არა, უწინარესად, თვითმყოფადობას, ცხოვრების წესს და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების აღიარებას ნიშნავს, რაც თავისუფალი ინსტიქტია და, როგორც სამშობლოს ფენომენი, გენეტიკურად გადაეცემა თაობიდან თაობებს.**

რა თქმა უნდა, როგორც ჩვენში იტყვიან, „კაი გვარისშვილობა" ჯანსაღი სიამაყის (და არა მდაბალი ყელყელაობის) სასიამოვნო საფუძველია.

ეგ არის და ეგ „სუფთა ქართველობის" უპირატესობა, ამიტომაც ბოკერიების, უგულავების, მერაბიშვილების, ახალაიებისა და ა.შ. მანქურთი მიშნაცების სახელი ლეგიონია და მათ ქართველებად ვერ მივიჩნევ, მათთან ერთად, რომ იტყვიან, პურს არ გავტეხ... ვისაც რა უნდა, ის მიწოდოს, მაგრამ ყალბი გულჩვილობის გარეშე ერთ რამეს მაინც ვიტყვი — დასაღვრელი სისხლი უნდა დაიღვაროს და ასეთ შემთხვევაში, დაე, პირველი ჩემი სისხლი იყოს! და კიდევ ერთი — „უცნობის" 9 აპრილს, სამხედრო ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, მძლავრი საარტილერიო მომზადება უძღოდა წინ — ეკლესიას, პატრიარქს, ქართულ ტრადიციებს ებრძვიანო და სხვა მორალურ-ზნეობრივი განცხადებები ისმოდა „უცნობის" ტელეკიდობნიდან და შემდეგ იგივე გულისამაჩუყებელი განცხადებები გააკეთა მდუმარე აქციაზე. ამის შემხედვარეს, **ვასო გოძიაშვილის** არშაკა გამახსენდა „ძველი ვოდევილებიდან" — „ვსიო გავარიტ, ვსიო გავარიტ, ნა შოტ სვინი, ნიჩევო ნე გავარიტ"...

შე კაი კაცო, ეკლესიას, პატრიარქს, ოჯახის ინსტიტუტს და ა.შ. კარვებში შეყუჟული მანქურთი ნაცაქტივისტები ებრძვიან თუ ოკეანის გაღმიდან მართული **ბოკერიები, უგულავები** და სხვა მსხვილი ღლავები? ამიტომ, ნაცნობო „უცნობო", ხალხი რომ დასძარი საპატრიარქოსკენ, პატრიარქი უნდა დავიცვათო, მისამართი ხომ არ შეგეშალათ? ეგ ხალხი აშშ-ის საელჩოსთან უნდა მიგეყვანა, რადგან „ძია სემი" ებრძვის ეკლესიას, პატრიარქს და ყველაფერ ქართულსა და ტრადიციულს. სხვათა შორის, მთელ მსოფლიოში ებრძვიან იმას, რაც ადამიანს განასხვავებს ცხოველისგან. 15 ათასი ტრანსგენდერი ჰყავთ პენტაგონის არმიაში.

და, საერთოდ, იქნებ მიიხედ-მოიხედოთ, რა ხდება მსოფლიოში — შავ ზღვაში 2 ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი შემოვიდა ვითომ რუსეთის შესაშინებლად... ლუგანსკ-დონბასში კი მოკლე ხანში, დიდი ალბათობით, სრულმასშტაბიანი ომი დაიწყება, რომელიც უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, გაქრობით დამთავრდება და მერე ამიერკავკასიის, ე.ი., საქართველოს ჯერიც დადგება — რუსეთმა ყარაბაღში თავისი ჩექმა ამიერკავკასიაში საკუთარი გავლენების აღსადგენად ჩადგა...

ნაცნობო-„უცნობო", იმ დღეს ლექსად რომ ბრძანე, — ბოდიში, პატრიარქო, ვერ გაგიგეთო, აი ციტატა პატრიარქის ერთ-ერთი ქადაგებიდან და წაიკითხე, რა არის აქ გაუგებარი: **„რუსეთთან უნდა აღდგეს ძმური ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება მალე!"**

**დავით მხეიძე**



**შე კაი კაცო, ეკლესიას, პატრიარქს, ოჯახის ინსტიტუტს და ა.შ. კარვებში შეყუჟული მანქურთი ნაცაქტივისტები ებრძვიან თუ ოკეანის გაღმიდან მართული ბოკერიები, უგულავები და სხვა მსხვილი ღლავები? ამიტომ, ნაცნობო «უცნობო», ხალხი რომ დასძარი საპატრიარქოსკენ, პატრიარქი უნდა დავიცვათო, მისამართი ხომ არ შეგეშალათ? ეგ ხალხი აშშ-ის საელჩოსთან უნდა მიგეყვანა, რადგან «ძია სემი» ებრძვის ეკლესიას, პატრიარქს და ყველაფერ ქართულსა და ტრადიციულს**

**«ქართველების მარადისობის დღე»? — რომელი მარადისობის, მარად ვაზელინი რომ გვისვია და 30 წელიწადია, დასავლელ «მეგობრებს», ლგბტ-პედერასტების, ტრანსგენდერების დამცველ ნატოს უშედეგოდ რომ ვეტენებით? თუ ის არის ქართველთა მარადისობა, 100 ათასი მოწამის ადგილზე მდუმარე აქციას რომ ვაწყობთ, და პარალელურად, მიშნაცების მიერ გაშლილი კარვების ფონზე გიგა ბოკერია ცინიკურად რომ არიგებს ხმაურიან ინტერვიუებს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის სიწმინდეზე? და იქვე «ვენოკით» ხელში ნიანგის ცრემლებს რომ აღვარღვარებენ საქართველოში აკრედიტებული დიპმისიის წევრები აშშ-ის ელჩის მეთაურობით**

## ილუზია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი, ღმერთმა არ ქნას, კიევი კვლავ გააჩაღებს ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას დონბასში, დასავლური პრესა კვლავ რუსეთს დაადანაშაულებს ყველაფერში: „გახსოვთ, ძვირფასო მკითხველო, მაყურებელო, როგორ გადაისროლა მზაკვარმა მოსკოვმა თავისი ტანკები „უკრაინის საზღვართან?" შემდეგ კი კვლავ თვალს დახუჭავენ მასობრივ მსხვერპლზე მოქალაქეებს შორის და წააქეზებენ კიევს, „ბოლო უკრაინელ ჯარისკაცამდე ებრძოლს რუსეთს". და უკრაინელებმა ილუზიებს თავი უნდა დაანებონ: დასავლეთში უკრაინისთვის სიკვდილს ნამდვილად არავინ აპირებს!"**

# «ამერიკა ჩვენთანაა!» — უკრაინამ კვლავ დაიჯერა, რომ ამერიკა მისთვის იომებს

**„ამერიკა კვლავ უკრაინასთანაა!" — ასეთია ბოლო დღეებში კიევში გაკეთებული განცხადებებისა და გამოქვეყნებული წერილების ძირითადი არსი. თავდაპირველად ემოციების ტალღა გამოიწვია ცნობამ უკრაინის თავდაცვის მინისტრ ანდრეი ტარანსა და მის ამერიკელ კოლეგა ლოიდ ოსტინს შორის სატელეფონო საუბრის შესახებ.**

„ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინას მარტო არ დატოვებს რუსეთის აგრესიის ესკალაციის წემთხვევაში", — გაავრცელა სატელეფონო საუბრის შინაარსი უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა ვებგვერდმა. უკრაინის მასმედიის რეაქციაც შესაბამისი იყო: **„აშშ ჩვენთანაა!" — სიხარულით აუწყებდნენ მკითხველს გამოცემები, მაგრამ ამ გამოცემების თანამშრომლებს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევიათ იმისთვის, რომ თავდაცვის მინისტრების სატელეფონო საუბარი 1 აპრილს გაიმართა და შეიძლება, გათამაშება ყოფილიყო სიტყვები, რომ ოსტინს განზრახული აქვს კიევის მხარდაჭერა, რადგან გამოხატა „გულწრფელი შეშფოთება რუსეთის მცდელობების გამო, გაამწვავოს ვითარება უკრაინის გარშემო".**

ისე, შეშფოთების გამოხატვა მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

შემდეგ ამას მოჰყვა აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** ნანინანატრი ზარი **ვლადიმერ ზელენსკისთან.** კიეველი პოლიტიკოსების აღტაცების აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. კიდევ ცოტაც და ამ „ისტორიული საუბრის" პატივსაცემად უკრაინაში ბაიდენის სახელობის დღეს დააწესებენ. **თვითონ ზელენსკიმ ამის გამო სასწრაფოდ ჩაწერა სპეციალური ვიდეომიმართვა, რომლის ძირითადი აზრიც ასეთი იყო: „პრეზიდენტმა ბაიდენმა დამარწმუნა, რომ უკრაინა არასოდეს დარჩება ერთი ერთზე რუსეთის აგრესიასთან".** ეს „დარწმუნება" ბოლო დღეებში რეფრენად გასდევს უკაინელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების კომენტარებს. მხოლოდ ერთეულები მოუწოდებენ, რომ ამ დაპირებებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებენ: მაგალითად, უკრაინის პარლამენტის დეპუტატი **სერგეი რახმანინი** წერს: **„ჩვენ ნაცვლად არავინ იომებს".** ეს საყოველთაო აღტაცების ფონზე საკმაოდ მკრეხელური თვალსაზრისია.

სამწუხაროდ, უკრაინისთვის მიცემულმა „გარანტიებმა" და წაქეზებამ დონბასში კონფლიქტი გაამწვავა და უკვე ორი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა — **დონეცკის გარეუბანში სნაიპერმა 71 წლის პენსიონერი მოკლა, ბაიდენისა და ზელენსკის სატელეფონო საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ კი დასახლება ალექსანდროვსკოეში ნაღმზე აფეთქდა 5 წლის ბიჭი. თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მილიციის განცხადებით, „აფეთქება გამოიწვია უკრაინელი უპილოტო საფრენი აპარატიდან გადმოყრილმა საბრძოლო მასალებმა.** ტრაგედიის მიზეზებისა და დამნაშავეთა დადგენას რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი შეუდგა. რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერ **დიმიტრი პესკოვის** განცხადებით, „თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ გავრცელებულ მონაცემებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს".

ამასთანავე, დასავლელი პოლიტიკოსები და პრესა თავიანთ განცხადებებში გამუდმებით მიუთითებენ 26 მარტს 4 უკრაინელი გამნაღმველის დაღუპვაზე. არავის აშფოთებს ის ფაქტი, რომ უკრაინელ სამხედროებს მომხდარზე განსხვავებული ვერსია აქვთ. **ზელენსკის ნათქვამი არ ჰქონდა, ტრაგედიის გამოძიება არმიის ხელმძღვანელს დაავალეო, რომ დასავლელმა პოლიტიკოსებმა უკვე იცოდნენ, ვინ არის დამნაშავე. მაგალითად, უკრაინაში ბრიტანეთის ელჩმა მელინდა სიმონსმა გამნაღმველთა დაღუპვიდან რამდენიმე საათის შემდეგ განაცხადა, რომ ისინი ნაღმსატყორცნებიდან ცეცხლის გახსნის შედეგად დაიღუპნენ".** თავისი „ბლიცგამოძიების" ბოლოს კი სიმონსმა დასძინა: „ერთი დაკარგული სიცოცხლეც კი ძალიან ბევრია". აღსანიშნავია, რომ არც **სიმონსსა და არც სხვა დასავლელ პოლიტიკოსებს სიტყვაც არ დაუძრავთ დონეცკელი პენსიონერისა და ბავშვის დაღუპვაზე. ნატოს წევრების აზრით, მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე მნიშვნელოვანი არ არის. ეს ადასტურებს იმას, რომ უკრაინის მოკავშირეებმა, რომლებიც მას აქტიურად აწვდიან შეიარაღებას, შესანიშნავად იციან, ვინ კლავს სამოქალაქო პირებს ამ რეგიონში.**

ზუსტად ასე აშუქებს უკრაინის ბოლოდროინდელ მოვლენებს დასავლური მედიაც. ოთხ დაღუპულ გამნაღმველზე სტატიები თითქმის ყველა გამოცემაში დაიბეჭდა, ბავშვის დაღუპვაზე კი მხოლოდ რამდენიმემ დაწერა. **სოროსის მიერ დაფინანსებულმა დეზინფორმაციის გამავრცელებელმა რესურსებმა ბავშვის დაღუპვა ფეიკად მონათლეს. ბავშვის დაკრძალვის ამსახველი ვიდეორეპორტაჟებს კი, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქციეს.**

ანალოგიური სქემით არის აგებული ცნობები „რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების უკრაინის საზღვართან გადასროლაზე". **დასავლეთის, პრაქტიკულად, არც ერთ მედიასაშუალებას „არ შეუნიშნავს" უკრაინული ჯავშანტექნიკის ეშელონებით გადაზიდვა დონბასში დაპირისპირებული მხარეების ე.წ. შეხების ხაზზე. არადა, ეს თებერვლის ბოლოს დაიწყო და რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, თანაც აქტიურად განიხილებოდა სოციალურ ქსელებში როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში.** ოფიციალური კიევი ამბობდა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გადაადგილება საშინაო საქმეა და ამ პროცესს „სამხედრო ძალების როტაციას" უწოდებდა, მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა რუსეთის ტერიტორიაზე რუსული ჯავშნიანი ტექნიკის გადაადგილების კადრები, მყისვე აურზაური ატეხა. **The times-ი, ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით, იუწყებოდა, რომ უკრაინის საზღვართან გადაისროლეს 4 ათასი რუსი სამხედრო. თითქოს ეს სამხედრო მოსამსახურეების მნიშვნელოვანი რაოდენობაა სერიოზული შეტევითი ოპერაციის განსახორციელებლად.** უცებ აღმოჩნდა, რომ რუსეთის სამხედრო შენაერთების რუსეთისვე ტერიტორიაზე გადაადგილება უკვე აღარ არის რუსეთის საქმე. **დასავლელ კომენტატორებს „დაავიწყდათ", რომ მინსკის შეთანხმების მიხედვით, რუსეთი კი არ არის შეზღუდული სამხედრო ტექნიკის გადაადგილებაში, არამედ უკრაინა, რომელიც აშკარად არღვევს ზემოაღნიშნულ შეთანხმებას, როცა თავისი ტანკები გადაჰყავს დაპირისპირების ზონაში.**



ბაიდენი მიესალმება კიევის მცხოვრებლებს. 2009 წლის ივლისი

**სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ნედ პრაისმა უკვე რამდენიმე ბრიფინგი მიუძღვნა ამ თემას და გამუდმებით ლაპარაკობდა «რუსეთის აგრესიის ესკალაციაზე უკრაინის აღმოსავლეთში», თუმცა გასაგებად ვერ უპასუხა კითხვას: რატომ არის რუსი სამხედროების გადაადგილება რუსეთის ტერიტორიაზე «უკრაინის შეშინების» ნიშანი? და, როდესაც ჩიხში მოამწყვდიეს თხოვნით, განემარტა ვაშინგტონის პოზიცია, მან უპასუხა: «ეს მოიცავს იმ შეფასებებსაც, რომლებიც ბევრ შემთხვევაში გამყარებულია არასაჯარო ინფორმაციით». ე.ი., «ჰაიკლი ლაიკლი» («სავარაუდოდ»), რა გაეწყობა, ასე მოსახერხებელია**



ბევრი ევროპელი და ამერიკელი მედიასაშუალება გამოეხმაურა უკრაინის შეიარაღებული ძალების სარდლის, გენერალ **რუსლან ხომჩაკის** გამოსვლას უზენაეს რადაში, რომ რუსეთმა თავისი სამხედრო ქვედანაყოფებით ლამისაა ალყაში მოაქციოს უკრაინა. ეს გამოსვლა ისეთი პანიკური იყო, რომ ზელენსკის პარტიის დეპუტატების შესაბამისი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია ხომჩაკის სიტყვებისთვის, რომელიც რადაში მან ამ გამოსვლამდე ზუსტად ერთი დღით ადრე თქვა, რომ მის შტაბს რუსეთის მხრიდან თავდასხმისთვის მზადების არც ერთი ნიშანი არ აღმოუჩენია. ზუსტად კი ასე თქვა: „დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ უშუალო საფრთხეს". სობჩაკს „დაავიწყდა" ეს სიტყვები, როცა დეპუტატების წინაშე წარდგა.

ევროპელი მკითხველი ვერასოდეს შეიტყობს, რომ ხომჩაკმა რამდენიმე კვირით ადრე აღიარა უკრაინის არმიის მზადება „შეტევითი მოქმედებებისთვის ურბანიზებულ ტერიტორიაზე". მარტივად რომ ვთქვათ, დიდ ქალაქებზე შტურმისთვის და განსაცვიფრებელია: დასავლურ მედიას, ხომჩაკის სიტყვის გარჩევისას „რუსეთის აგრესიაზე", გამორჩა, რომ უკრაინის პარლამენტის იმავე სხდომაზე, გენერლის გამოსვლის შედეგების მიხედვით, დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება **„უკრაინა-რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციის შესახებ".** პარტია „ხალხის მსახურის" დეპუტატ **ირინა ვერეშჩუკს** არც დაუმალავს, რას ნიშნავს ეს: **„ჩვენ დადგენილებაში ომს პირველად ვუწოდეთ ომი". გამოდის, უკრაინის უზენაესმა რადამ, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ ვერც ეს შენიშნეს დასავლეთში და აგრესიულ ზრახვებში ადანაშაულებენ არა უკრაინას, არამედ რუსეთს.**

**ეს „ვერ შენიშნეს" აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშიც, რომელიც, ბოლო დღეებია, შადრევანივით აფრქვევს განცხადებებს „აგრესიულ რუსეთზე".**

სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა **ნედ პრაისმა** რამდენიმე ბრიფინგი მიუძღვნა ამ თემას და გამუდმებით ლაპარაკობდა „რუსეთის აგრესიის ესკალაციაზე უკრაინის აღმოსავლეთში". მაგრამ გასაგებად ვერ უპასუხა კითხვას, რატომ არის რუსი სამხედროების გადაადგილება რუსეთის ტერიტორიაზე „უკრაინის შეშინების" ნიშანი. და, როდესაც ჩიხში მოამწყვდიეს თხოვნით, განემარტა ვაშინგტონის პოზიცია, მან უპასუხა: „ეს მოიცავს იმ შეფასებებსაც, რომლებიც ბევრ შემთხვევაში გამყარებულია არასაჯარო ინფორმაციით", ე.ი., კვლავ დაუმტკიცებელი „ჰაიკლი ლაიკლი" (სავარაუდოდ), რა გაეწყობა, ასე მოსახერხებელია.

**აი ასე აგებენ საინფორმაციო პოლიტიკას უკრაინის კონფლიქტზე. არც ერთი სიტყვა მსხვერპლზე მშვიდობიან მოსახლეობაში, არც ერთი სიტყვა უკრაინის ჯავშნიანი ტექნიკის გადასროლაზე, არც ერთი სიტყვა უკრაინის პარლამენტის მიერ რუსეთისთვის ომის გამოცხადებაზე და, თუკი, ღმერთმა არ ქნას, კიევი კვლავ გააჩაღებს ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას დონბასში, დასავლური პრესა კვლავ რუსეთს დაადანაშაულებს ყველაფერში: „გახსოვთ, ძვირფასო მკითხველო, მაყურებელო, როგორ გადაისროლა მზაკვარმა მოსკოვმა თავისი ტანკები „უკრაინის საზღვართან?"** შემდეგ კი კვლავ თვალს დახუჭავენ მასობრივ მსხვერპლზე მოქალაქეებს შორის და წააქეზებენ კიევს, „ბოლო უკრაინელ ჯარისკაცამდე ებრძოლს რუსეთს". უკრაინელებმა ილუზიებს თავი უნდა დაანებონ: დასავლეთში უკრაინისთვის სიკვდილს ნამდვილად არავინ აპირებს!"

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ვლადიმერ ზელენსკის ლტოლვა მისი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისკენ, რომელშიც ის „დონბასში კონფლიქტის დასრულების ერთადერთ გზას" ხედავს, დიდი შანსია, ნულოვანი შედეგით დასრულდეს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზელენსკი ცდილობს, ნატოს ხელიდან გამოჰგლიჯოს ინიციატივა და შეცვალოს წესი, რომლის თანახმად ალიანსი თვითონ ირჩევს მომავალ წევრებს და ნებისმიერ მსურველს არ შეუძლია, უბრალოდ, ფეხი ჩადგას კარში და ჩათვალოს, რომ ის უკვე შიგნით შეუშვეს.

Quo Vadis?
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# JUNGE WELT: ქართული სცენარი უკრაინისთვის

## «ჰიბრიდული ომები ისეთია, რომ მასში მოკვდებიან უკრაინელები, სარგებელს კი აშშ მიიღებს!»



**სანამ დონბასში კონფლიქტს სამხედრო გზით მოაგვარებს და ასე გაუხსნის გზას უკრაინას ნატოსკენ, ზელენსკიმ, სჯობს, ყურადღება მიაპყროს და გაითვალისწინოს სააკაშვილის გამოცდილება, რომელიც თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. იმხანად დასავლეთი თბილისის „ურყევ მხარდაჭერაზე" ისეთი პათოსით ლაპარაკობდა, რომლითაც დღეს ლაპარაკობს კიევის მიმართ, თუმცა შედეგი ცნობილია: საქართველო დღეს კიდევ უფრო შორსაა ალიანსისგან, ვიდრე აგრესიამდე იყო, — წერს გერმანული გამოცემა Junge Welt-ი.**

ისტორია, ზუსტად დეტალებში თუ არა, ზოგჯერ საერთო მონახაზში მეორდება ხოლმე. **უკრაინის გარშემო ამჟამად შექმნილი დაძაბულობა ფატალურად ჰგავს იმ დაძაბულობას, რომელიც საქართველოს იმჟამინდელმა პროდასავლურმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შექმნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარშემო. ამერიკელთა მაღალფარდოვან მხარდამჭერ დაპირებებს მინდობილი სააკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ განსაკუთრებული რისკის გარეშე დაიბრუნებდა იმ რეგიონებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსწყდა საქართველოს, მაგრამ, როგორც ამჟამად ცნობილია, რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა.** როცა საქართველომ დაბომბა რუსეთის სამშვიდობო ძალები, ამით ისარგებლა რუსეთმა და სამხედრო ინტერვენცია განახორციელა.

დღეს საქართველო იმაზე ახლოს არ არის ნატოს წევრობასთან, ვიდრე მანამდე იყო.

უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის ლტოლვა მისი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისკენ, რომელშიც ის „დონბასში კონფლიქტის დასრულების ერთადერთ გზას" ხედავს, დიდი შანსიაქ, ნულოვანი შედეგით დასრულდეს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზელენსკი ცდილობს, ნატოს ხელიდან გამოჰგლიჯოს ინიციატივა და შეცვალოს წესი, რომლის თანახმად ალიანსი თვითონ ირჩევს მომავალ წევრებს და ნებისმიერ მსურველს არ შეუძლია, უბრალოდ, ფეხი ჩადგას კარში და ჩათვალოს, რომ ის უკვე შიგნით შეუშვეს.

აქამდე მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც ნატოს წევრობის კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს მოუგვარებელი კონფლიქტები. დასავლური სამხედრო ბლოკი ასე იზღვევს თავს შესაძლებლობისგან, იქცეს წერტილოვანი, მაგრამ სტრატეგიულად უმნიშვნელო ტერიტორიული კონფლიქტების მძევლად. სტრატეგიული თვალსაზრისით, დონბასი არ არის გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე 1914 წელს იყო სარაევო, ამიტომ ზელენსკი ცდება, როცა „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ურყევ მხარდაჭერაზე" **ჯო ბაიდენის, ანგელა მერკელის, იენს სტოლტენბერგისა** და ნატოს სხვა წამყვანი პირების განცხადებს ჭეშმარიტებად მიიჩნევს. მსგავსი განცხადებების შინაარსი ასეთია: **სანამ თქვენ არ მოაგვარებთ სასაზღვრო კონფლიქტებს, ნატოს წევრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ეს არასანუგეშოდ ისმის, ამიტომ კონფლიქტის ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზე უკრაინელი სტრატეგები სხვადასხვა სცენარს ამუშავებდნენ: თუ ნატო თავისი წესებისა და ერთსულოვნების პრინციპის გამო „ლაჩრულად"** (უკრაინის პარლამენტში ზელენსკის ფრაქციის ხელმძღვანელ **დავით არახამიას** ფორმულირება) მოიქცევა ალიანსში უკრაინის მიღების საკითხის მიმართ, კიევს შეუძლია წავიდეს ორმხრივ კავშირზე აშშ-თან. ასე მოიქცა, მაგალითად, ისრაელი. ამის გამო მადლიერი ვაშინგტონი კიევს თითქოს ლოკალური ომების წარმოების უფლებას მისცემს, მაგრამ აქ უკრაინამ გადაჭარბებით შეაფასა თავისი პოზიციები, უწინარესად, ერთი მიმართულებით: **ჰიბრიდული ომები ისეთია, რომ მასში მოკვდებიან უკრაინელები, სარგებელს კი აშშ მიიღებს.**

**Junge Welt-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

junge Welt







**უკრაინის გარშემო ამჟამად შექმნილი დაძაბულობა ფატალურად ჰგავს იმ დაძაბულობას, რომელიც საქართველოს იმჟამინდელმა პროდასავლურმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შექმნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარშემო. ამერიკელთა მაღალფარდოვან მხარდამჭერ დაპირებებს მინდობილი სააკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ განსაკუთრებული რისკის გარეშე დაიბრუნებდა იმ რეგიონებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსწყდა საქართველოს, მაგრამ, როგორც ამჟამად ცნობილია, რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. როცა საქართველომ დაბომბა რუსეთის სამშვიდობო ძალები, ამით რუსეთმა ისარგებლა და სამხედრო ინტერვენცია განახორციელა**

# რუსეთის არმია სერიოზულად ემზადება უკრაინის აგრესიის მოსაგერიებლად

**მოსკოვი აძლიერებს თავის სამხედრო ქვედანაყოფებს უკრაინის საზღვართან. უკრაინის საზღვრისპირა ზოლში განლაგებული სამხედრო ქვედანაყოფების მზადყოფნა შეამოწმა რუსეთის ფედერაციის დასავლეთის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჟურავლიოვმა.**

მან შეაფასა სამხედრო ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადება ბრიანსკში, ბელგოროდსა და ვორონეჟის ოლქებში, აგრეთვე, საბრძოლო სროლები ტანკებიდან (Т-72Б3) და ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან (БМП-2: БТР-82А).

ამასთანავე, **მოსკოვის, ნიჟგოროდის, სმოლენსკის, იაროსლავსკისა და ივანოვოს ოლქებში მანევრები დაიწყო სატანკო გვარდიული არმიის 15 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ. სულ პოლიგონზე გავიდა მოტომსროლელთა, სადაზვერვო, საზენიტო-სარაკეტო, საარტილერიო და სარაკეტო ქვედანაყოფების 2 ათასზე მეტი სპეციალური სამხედრო ტექნიკა.**

რუსეთის სამხრეთში გააძლიერეს სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება. **კასპიის ზღვიდან მდინარე ვოლგის, შემდეგ ვოლგა-დონის არხის, მდინარე დონის, აზოვის ზღვისა და ქერჩის სრუტის გავლით შავ ზღვაში გადაიყვანეს ათეულობით სადესანტო და საარტილერიო კატერი და გემი.**

გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის — **იური ნეტკაჩოვის** აზრით, რუსეთი ადეკვატურად აფასებს დონბასის გარშემო შექმნილ ვითარებას:

„ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელები განიხილავენ კიევის მხრიდან დონბასსა და ყირიმზე აგრესიის შესაძლებლობას და ამ შემთხვევაში სამხედრო ნაწილების გადასროლა რუსეთის სამხრეთ-დასავლეთით არის არა მხოლოდ რუსეთის არმიის ძალის დემონსტრაცია, არამედ მისი რეალური მომზადება უკრაინის შეიარაღებული ძალების მხრიდან შესაძლო აგრესიის შემთხვევაში", — განაცხადა ნეტკაჩოვმა.

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# პუშილინი: «იარაღის ჟღარუნი» უკრაინას ძვირი დაუჯდება

## დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის თქმით, კიევი ფართომასშტაბიანი ომისთვის ემზადება

თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ლიდერ დენის პუშილინის განცხადებით, კიევი სრულმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტისთვის ემზადება.

პუშილინის განცხადებით, დონბასისა და კიევის დაპირისპირება მწვავე ფაზაში შევიდა. ახლა ე.წ. დაპირისპირებული მხარეების შეხების ხაზთან უკრაინის შეიარაღებული ძალების უამრავი სამხედრო ტექნიკაა თავმოყრილი, რაც არ ყოფილა დიდი ხნის განმავლობაში.

პოლიტიკოსის განცხადებით, მოლაპარაკებების წინ ეს „იარაღის ჟღარუნი" უკრაინას ძვირი დაუჯდება, რადგან ამ ქვეყნის ეკონომიკა ისედაც საშინელ დღეშია და საომარი მოქმედებების დაწყება ქვეყანას საბოლოოდ გაანადგურებს.



თებერვლიდან ვითარება დონბასის გარშემო სულ უფრო იძაბება. დონბასისა და უკრაინის საზღვართან გადასროლილია უკრაინის შეიარაღებული ძალები. იყო ცეცხლის გახსნის შემთხვევებიც.

**topnews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარქსი ყურადღებით აკვირდებოდა ყირიმში მიმდინარე ომს, სადაც იკვეთებოდა სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ცხადი იყო ერთი: აგრესორი იყო თურქეთი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ინგლისი და საფრანგეთი და რომლებსაც უპირობოდ უჭერდა მხარს მარქსი. ყირიმში საბრძოლო მოქმედებები დაწყებული არ იყო, რომ მარქსი ოცნებობდა თურქეთ-ინგლის-საფრანგეთის კოალიციის გამარჯვებაზე ამ ომში, რომელსაც მიუძღვნა სტატია „აღმოსავლეთის ომი“ და ჩამოაყალიბა თავისი გეოპოლიტიკური დოქტრინა.**

# სტალინი, მარქსი და მარქსიზმი

**კარლ მარქსს, მიუხედავად იმისა, რომ სრული წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი სახელმწიფო უნდა აშენებულიყო მისი ღრმა ფილოსოფიურ-პოლიტიკური ნაშრომების საფუძველზე, მის შრომებში არის მარგალიტები, რომლებიც წინასწარმეტყველური გათვლებით არის სავსე და რომლებიც კაცობრიობის განვითარების გრძელ და რთულ გზას ეხება. ის თითქოს ხედავს დღევანდელი მსოფლიოს ხალხთა ყოფას და საზოგადოებრივ წყობასა თუ ეკონომიკურ განვითარებას.**



**ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია «ბი-ბი-სის» მიერ ჩატარებული მასშტაბური გამოკითხვის შედეგად. უდიდესი მოაზროვნეების სიაში პირველი ადგილი კარლ მარქსმა დაიკავა, მეორე — ალბერტ აინშტაინმა, მესამე კი — ისააკ ნიუტონმა**

მაინც რა როლი მიუძღვის მარქსს რუსულ რევოლუციურ მოძრაობაში და რა ადგილს იკავებს იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, რომლის კლასიკოსად, გზის მაჩვენებლად და ხატად არის წარმოდგენილი.

კარლ მარქსს გულზე არ ეხატებოდა რუსეთი და რუსი ხალხი. იგი მოუწოდებდა, „დაეწვათ ოდესა და დაენგრიათ სევასტოპოლი“ და ამით ხელფეხმოჭრილი დარჩებოდა გოლიათი, რომელიც ასე აშინებდა მსოფლიოს.

იმპერიის დედაქალაქს მარქსი მოსკოვიას უწოდებს და განიხილავს მონის როლში. რუსეთს ის ბარბაროსების ქვეყნად მიიჩნევს, არწმუნებს მსოფლიოს, რომ: „ჩვენ გველოდება ბრძოლა ველურ ტომებთან — ავსტრიელებსა და რუსებთან“. მერე მარქსი კვლავ უბრუნდება რუსეთის საკითხს და ამბობს: **„რუსეთი მსოფლიო რეაქციის საყრდენი ბურჯია“; „თავისუფალი სამყაროსათვის უდიდესი საშიშროება“; „ერთადერთი მიზეზი ევროპის მილიტარიზაციისა“; „რუსეთში ხდება მსოფლიო რევოლუციის მტრების კონცენტრაცია“.** მარქსს ვერც კი წარმოუდგენია, რომ „რუსეთში შეიძლება მოხდეს პროლეტარული რევოლუცია, იქ შეიძლება მხოლოდ მოეწყოს ბუნტი, რომლისგანაც ავარდება გერმანული რევოლუციის ხანძარი, რევოლუცია კი რუსეთში არასდროს მოხდება“.

**ამ სიტყვების შემდეგ მარქსი გაკვირვებული იყო, რატომ იყო ის რუს ხალხში ეგზომ პოპულარული და რატომ ითარგმნებოდა ასე აღტაცებით და ვრცელდებოდა მისი ნაშრომი „კაპიტალი“.**

„მოსკოვია (კვლავ დასცინის მარქსი იმპრიის დედაქალაქს) აღიზარდა მონღოლთა ურდოს ხელში და მონობის უღლისგან გათავისუფლების შემდეგაც განაგრძობდა მორგებული ამ უღლის ტარებას ადგილობრივ მოხელეთა ხელში. ამიტომ იყო, რომ პეტრე I, მსგავსად ჩინგის-ხანისა, ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე“.

**სწორედ ამ იდეებითა და პროგრამით შევიდა დალუქული ვაგონითა და თავისი მრევლით, აგრეთვე, გერმანული მარკებით დატვირთული ვლადიმერ ლენინი გერმანიიდან რუსეთში, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გემით გადმოსხა არანაკლებ დაფინანსებული და რუსეთისათვის არატრადიციული აზრებით დატვირთული ტროცკი თავისი ამალით.** მარქსი ყურადღებით აკვირდებოდა ყირიმში მიმდინარე ომს, სადაც იკვეთებოდა სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ცხადი იყო ერთი: აგრესორი იყო თურქეთი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ინგლისი და საფრანგეთი და რომლებსაც უპირობოდ უჭერდა მხარს მარქსი. ყირიმში საბრძოლო მოქმედებები დაწყებული არ იყო, რომ მარქსი ოცნებობდა თურქეთ-ინგლის-საფრანგეთის კოალიციის გამარჯვებაზე ამ ომში, რომელსაც მიუძღვნა სტატია „აღმოსავლეთის ომი“ და ჩამოაყალიბა თავისი გეოპოლიტიკური დოქტრინა: „რუსეთის შევიწროება აზიის საზღვრებამდე.“ მარქსს გული სწყდებოდა, რომ ეს ვერ მოახერხა **ნაპოლეონმა.** იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ბრიტანეთს მომავალ ომში. **„ბრიტანეთს აქვს საშუალება, დაარტყას რუსეთს მტკივნეულ (სუსტ) ადგილებში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამან შეიძლება აიძულოს შვედეთი, დაიბრუნოს ფინეთი; მას (ბრიტანეთს) აუცილებლად სჭირდება პეტერბურგისა და ოდესის ფლოტები, რომელთა გარეშეც რუსეთი იმ გიგანტს დაემსგავსება, რომელსაც ხელ-ფეხი აქვს წართმეული“.**

მარქსი მხარს უჭერდა ინგლისის ექსპანსიას, ხოლო ხალხებს, რომლებიც ბრიტანეთს წინ აღუდგებოდნენ, რეაქციონერებს უწოდებდა.

მარქსი რუსეთს იმ ქვეყნად განიხილავდა, რომელიც დიდ ბრიტანეთს ვაჭრობაში უშლიდა ხელს აზიის ქვეყნებში. ის მოუწოდებდა ბრიტანეთს, შეევიწროებინა რუსეთი შავ ზღვისპირეთში და ამით გზა გაეხსნებოდა ბრიტანეთის გემებს დარდანელის სრუტეში. მარქსი ვერ იტანდა რუსეთის შექებას. იგი გაოცებული წერდა, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები ვერ ხედავდნენ რუსეთიდან მოახლოებულ საფრთხეს. „შემცირდა თუ რა საფრთხე რუსეთიდან?“ — სვამდა კითხვას მარქსი და თავადვე სცემდა პასუხს — „არა!“ „გონებრივი სიბრმავე დასევლეთი ქვეყნების მთავრობებისა, უკიდურეს ზღვარზეა მისული. რუსეთის მეთოდები, ტაქტიკა, ქცევები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მთავარი მიზანი მათი პოლიტიკისა, რომ ის იყოს მსოფლიოს მბრძანებელი, უცვლელია“.

ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რა ნიშნებით აღიარეს კარლ მარქსი მეორე ათასწლეულის ადამიანად. **ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია „ბი-ბი-სის“ მიერ ჩატარებული მასშტაბური გამოკითხვის შედეგად, უდიდესი მოაზროვნეების სიაში პირველი ადგილი კარლ მარქსმა დაიკავა, მეორე — ალბერტ აინშტაინმა, მესამე კი — ისააკ ნიუტონმა.** გამოკითხულთა შორის არ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც 70 წლის განმავლობაში მარქსისტულ-ლენინურ პროპაგანდას ახვევდნენ თავს. ასე რომ, გამოკითხულთა შეფასება მისაღებია. უფრო მეტიც, მარქსის შრომები — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და „კაპიტალი“ — შეტანილია იუნესკოს მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ჩამონათვალში. ეს ნაშრომები, რომლებიც მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში 100 ენაზე გამოიცა (რამდენიმე ათეული მილიონი ტირაჟით), მოთხოვნის თვალსაზრისით, ბიბლიაზე მოთხოვნას შეიძლება შევადაროთ. თუმცა მატერიალისტი მარქსი რელიგიის მიმართ სკეპტიკურად კი იყო განწყობილი, მაგრამ ისიც აღიარა, რომ რელიგიას აქვს ერთგვარი „თერაპიული“ სარგებელი. **„რელიგია გულქვა სამყაროს გულია, ჩაგრულ ადამიანთა სუნთქვაა. რელიგია ხალხისთვის ოპიუმია“,** — მარქსის ეს განცხადება თითქმის ყველა საბჭოთა ადამიანმა იცოდა. რელიგიის ირონიას ისტორიამ ირონიითვე უპასუხა — შეიცვალა დამოკიდებულება მარქსის შრომების მიმართ რუსეთში. რუსეთი უკიდურესად უნიკალური ქვეყანაა. მას სჩვევია უკიდურესობიდან უკიდურესობაში გადავარდნა. მონარქიის დამხობის შემდეგ ხალხმა ერთგვარი შვება იგრძნო და ამ შვებით „გაბრაზებულებმა“ დაიწყეს ყველას და ყველაფრის განადგურება, მათ შორის ეკლესიებისაც. მსგავსი რამ მოხდა მარქსის მოძღვრების მიმართაც. **მისი ციტატები, რომლებიც იძულებით თითქმის სიტყვასიტყვით იცოდა ყველამ, ანათემას გადაეცა და დავიწყებას მიეცა... რუსეთში დიდ ყურადღებას არ აქცევენ მარქსის იუბილეს, რასაც ვერ ვიტყვით გერმანიასა და საფრანგეთზე. ამ ქვეყნებში ხშირად ტარდება კონფერენციები, იწერება წერილები და გამოიცემა წიგნები. ეს გასაკვირი არ არის, რადგან მარქსი ყველა დროისა და ხალხის ყველაზე ციტირებული ეკონომისტი და მოაზროვნე ფილოსოფოსია.** სხვათა შორის, მარქსის გამონათქვამებზე, შეიძლება ითქვას, საუკუნოვანი კამათიც კი მიმდინარეობს. მაგალითად, **ვის ენიჭება წამყვანი როლი ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში — დასაქმებულებს თუ დამსაქმებლებს?** (შეფასების ეს პრიორიტეტი იცვლებოდა და იცვლება). გთავაზობთ ექსკურსს იმ პერიოდში, როდესაც ფეოდალიზმს, ანუ თვითკმაყოფილი ადამიანების ეპოქას ჩაენაცვლა სამეწარმეო საქმიანობის ეპოქა, სიხარბის ეპოქა. ამ ეპოქამ შვა კაპიტალიზმი, რომელიც, თავდაპირველად, არც კანონებით რეგულირდებოდა და არც საზოგადოებრივი ცნობიერებით. მაგალითად, რაღაც მომენტში წარმოების მფლობელებმა, მიუხედავად იმისა, მცირე გასამრჯელოს უხდიდნენ მშრომელებს, იფიქრეს, რომ მაინც ბევრს გასცემდნენ და გადაწყვიტეს, ჩაენაცვლებინათ კაცები ქალებით, რადგან ეს უკანასკნელნი უფრო მშვიდნი და მორჩილნი არიან და ნაკლებ ანაზღაურებაზეც იმუშავებენ. ანალოგიური რამ მოხდა ბავშვების მიმართაც. „11-12 წლის გახდი? აბა, სამუშაოდ! შახტა, კონვეიერი, მაღარო და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს საშინელება იყო“, — ამბობს ეკონომიკის დოქტორი. სწორედ ამის მომსწრე იყო მარქსი. მას ესმოდა, რომ კაპიტალიზმი უპერსპექტივო, სასტიკი სისტემა იყო და დაიწყო ამ სისტემის შესწავლა, რომ ეპოვა კოშმარიდან გამოსასვლელი გზები.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დასრულდა, ჩვენი ქვეყანა სხვა მიმართულებით წავიდა. იგი თავისუფალი ბაზრისკენ შებრუნდა, შებრუნდა **ადამ სმიტისკენ.** ამ ფონზე მარქსი გამოჩნდა ადამიანად, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა ეს „საძულველი“ საბჭოთა ხელისუფლება. სრულიად ნათელი იყო, რომ მარქსს საერთო არაფერი ჰქონდა ჩვენს სოციალიზმთან, მაგრამ, რადგან ეს ყველაფერი მის სახელს უკავშირდებოდა, ამის დავიწყება შეუძლებელი იყო; შეუძლებელი იყო მისი გამიჯვნა საბჭოთა სოციალიზმისგან. მარქსი, უბრალოდ, საძულველი ადამიანი შეიქნა. მის შესახებ უამრავი რამ იწერებოდა: რომ ის შვილს აჩენინებდა ქალებს და შემდეგ ტოვებდა მათ, რომ ნასესხებ ფულს არ აბრუნებდა, რომ აუტანელი ხასიათი ჰქონდა და ა.შ. მას **ჰიტლერსაც** ადარებდნენ... **რაში არის მარქსის იდეების, მისი წიაღსვლების სიძლიერე თანამედროვე ცხოვრებაში? რატომ არის ის საინტერესო დღეს?**

როდესაც ჩვენში შემოიჭრა თავისუფალი კაპიტალიზმი (უფრო ზუსტად, ველური კაპიტალიზმი — გ.ო.) და ფესვები გაიმაგრა, ყველას გაახსენდა კარლ მარქსი. და რა გაახსენდათ? გაახსენდათ ის, რომ მარქსი კაპიტალიზმის ნებისმიერი მოდელის ბრწყინვალე ანალიტიკოსია. მე გამოვყოფ რამდენიმე საკითხს, რომლებიც დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია.

საოცარი წინასწარმეტყველება — მარქსის გამჭრიახობა:

*** თავისუფალ ბაზარს ავტომატურად მივყავართ კაპიტალის კონცენტრაციამდე, ანუ ბაზრის მონოპოლიზაციამდე, თუ ის არ რეგულირდება. ბაზრის მონოპოლიზაცია კი დაუშვებელია, რადგან მონოპოლისტი მხოლოდ სიტყვით უჭერს მხარს საბაზრო თავისუფლებას, მაგრამ სინამდვილეში მომხმარებელს სთავაზობს იმას, რაც მხოლოდ მის ინტერესშია.** ფასებს კი ასე უყურე- ▶

კარლ მარქსი ცოცხალია და მისი შრომები ცოცხლობს, ცოცხლობს ევროპაში, რადგან მათ ესმით მარქსის და პატივს სცემენ; ისინი ფიქრობენ ახლის შექმნაზე; ალბათ, სამოქალაქო საზოგადოება იქ უფრო განვითარებულია. რაღაც რომ უნდა გაკეთდეს, ფაქტია, რადგან მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია შრომითი და სოციალური უთანასწორობის ზრდისა ყველა მიმართულებით.

**მარქსის შრომები — «კომუნისტური პარტიის მანიფესტი» და «კაპიტალი» — შეტანილია იუნესკოს მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ჩამონათვალში. ეს ნაშრომები, რომლებიც მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში 100 ენაზე გამოიცა (რამდენიმე ათეული მილიონი ტირაჟით), მოთხოვნის თვალსაზრისით, ბიბლიაზე მოთხოვნას შეიძლება შევადაროთ. მატერიალისტი მარქსი რელიგიის მიმართ სკეპტიკურად კი იყო განწყობილი, მაგრამ ისიც აღიარა, რომ რელიგიას აქვს ერთგვარი «თერაპიული» სარგებელი. «რელიგია გულქვა სამყაროს გულია, ჩაგრულ ადამიანთა სუნთქვაა. რელიგია ხალხისთვის ოპიუმია», — მარქსის ეს განცხადება თითქმის ყველა საბჭოთა ადამიანმა იცოდა**

◀ ბენ: „გსურს? — შეიძინე! არ გსურს? — ნუ შეიძენ!“. ეს ძალიან მაგონებს ჩვენს ისტორიას. სახელმწიფო სამინისტროების მონოპოლიების ნაცვლად, რომელთა კონტროლი და რეგულირებაც შეიძლებოდა, ჩვენ მივიღეთ კერძო რეგიონული მონოპოლიები, რომელთათვისაც, პრაქტიკულად, არ არსებობს კანონი“.






* თუ არ მოხდა თავისუფალი ბაზრის დარეგულირება, შედეგი შემოსავლების რადიკალური პოლარიზება იქნება და მივიღებთ რამდენიმე მდიდარ ადამიანსა და მილიონობით ღარიბს. და ასეც მოხდა. სულ სხვა საქმეა ის, რომ ამ ყველაფერს ხალხი, რბილად რომ ვთქვათ, მიეჩვია. კონფუცი, რომელიც არ იყო სოციალისტი, სავსებით სამართლიანად წერს: „სირცხვილია, იყო მდიდარი ღარიბ ქვეყანაში და სირცხვილია, იყო ღარიბი მდიდარ ქვეყანაში“". ჩვენ კი არაფრის გვრცხვენია“.

*** ეკონომიკის რეალური სექტორი შევიწროვდება, თუ არ მოხდება ბაზრის დარეგულირება. ეს სწორედ ის არის, რასაც დღეს ვიმკით, ანუ მოგება წარმოების გარეშე. მარტივად რომ ვთქვათ, ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ფულს შოულობენ მათგან, ვისაც ეს დროებით არ სჭირდება და ასევე შოულობენ ფულს სესხის გაცემით, ვისაც ეს დროებით სჭირდება.**

...ჩნდება კითხვა: როგორ მიიღეთ ეს მოგება, თუ ეკონომიკა ეცემა? როგორ შეიძლება ეს იყოს? მე არ ვარ შეთქმულების თეორიის მომხრე, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს მსოფლიოს ფინანსური ნომენკლატურა თავისი ოფშორული კომპანიებით, საკუთარი ინტერესებით. მოკლედ, მსოფლიოში ფულის დიქტატურაა გამეფებული, რაზეც მარქსმა პირველმა დაწერა. **ფარდობითი და აბსოლუტური გაღარიბება ხალხისა — რა არის ეს დღევანდელ ენაზე?** ვთქვათ, თქვენმა შემოსავალმა მილიონი ლარით მოიმატა, ჩემმა კი — ხუთასი ათასით, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩემთვის უსიამოვნო ფაქტია, რომ თქვენ მეტი გაქვთ, ვიდრე მე, თუმცა ამას ვეგუები და არ ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ, როდესაც თქვენი შემოსავალი გაიზარდება, ჩემი კი შემცირდება, ეს უკვე არასასიამოვნოა. აი, ეს არის ის პოლარიზაცია, რომელზეც მარქსი წერდა თავის ნაშრომში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გლობალიზაციაა, როცა იხსნება ყველა ბარიერი, ყველა ერთ დიდ სოფელში ვცხოვრობთ და ეროვნული ეკონომიკები ერთი დიდი მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი ხდება, რაც უამრავ პრობლემას იწვევს და რაზეც მარქსმა ასევე დაწერა. დასასრულ, ვფიქრობ, **ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც მარქსმა თქვა კომუნიზმზე, რომ მსოფლიოში ეს ყველაზე სამართლიანი სისტემა დადგება არა მაშინ, როდესაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია (რაც თავისთავად ცხადია), არამედ, როდესაც მოისპობა ადამიანების დამთრგუნველი შრომის დანაწილება.** კვლევების თანახმად, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 15%-ია კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ყოველი 100 ადამიანიდან 85 დაკავებულია საქმით, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, მათ ძალიან არ მოწონთ, მაგრამ იძულებულნი არიან, აკეთონ ეს საქმე, რათა ჰქონდეთ საარსებო წყარო. მარქსი რევოლუციის მომღერალი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ადამიანებმა პროფკავშირები შექმნეს და დაიწყეს კაპიტალისტების „მართვა“. პარალელურად მიმდინარეობდა მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და შრომის პროდუქტიულობის ზრდის პროცესები და **ორმოცდაათიანი, სამოციანი, სამოცდაათიანი წლები — ეს ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქაა რევოლუციის გარეშე.**

ჩნდება კითხვა: რა უნდა ვილონოთ? რა თქმა უნდა, მარტივი არ არის სოციალიზმში დაბრუნება, მაგრამ რაღაც უნდა ვილონოთ. რუსეთში ხშირად ისმის მოწოდებები დაბეგვრის პროგრესული სკალის დაარსების შესახებ (прогрессивная шкала налогообложения), რაც მმართველი ძალის ინტერესებში არ შედის. გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება და მიიღებთ მეტს — ასეთია პასუხი დამქირავებლისა, მაგრამ როგორ უნდა გაიზარდოს პროდუქტიულობა, თუ მაღაროელები 1930-იანი წლების იარაღებს ხმარობენ? აპირებს კი დამქირავებელი, განაახლოს ტექნიკა? არა! მას ეს არ აინტერესებს, რადგან არ არის დარწმუნებული ხვალინდელ დღეში.

მოკლედ, **კარლ მარქსი ცოცხალია და მისი შრომები ცოცხლობს, ცოცხლობს ევროპაში, რადგან მათ ესმით მარქსის და პატივს სცემენ; ისინი ფიქრობენ ახლის შემნაზე; ალბათ, სამოქალაქო საზოგადოება იქ უფრო განვითარებულია. რაღაც რომ უნდა გაკეთდეს, ფაქტია, რადგან მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია შრომითი და სოციალური უთანასწორობის ზრდისა ყველა მიმართულებით.**

ორი წლისწინანდელი კვლევების თანახმად, რუსების 65% თვლიდა, რომ ხელისუფლებამ ეკონომიკური კურსი უნდა შეცვალოს. ჩვენთანაც, ჩვენს საზოგადოებაშიც მატულობს ცვლილებების მოთხოვნა. **გადავა თუ არა სამყარო მისი განვითარების ახალ-ძველ ციკლში, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ კაპიტალიზმის თავზე ღრუბლები უფრო და უფრო რომ შავდება, ფაქტია, რომელიც მსოფლიოს გლობალიზაციის პოლიტიკით არის გამოწვეული.** გაგაცნობთ პროფესორ ვახტანგ გურულის ისტორიულ დასკვნას ოქტომბრის რევოლუციაზე, რომელიც ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“:

**„ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს“.** 1923 წლის 14 მარტს სტალინმა გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნა სტატია „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ არც ლენინს და არც ტროცკის ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდათ, რომ სტალინი სულ სხვა გზით მიდიოდა, რაც პირდაპირი გამოწვევა იყო არა მხოლოდ ლენინისა და ტროცკის, არამედ კომუნისტური პარტიისა თავიანთი კლასიკოსებით, ეს მომდევნო ყრილობამ დაადასტურა. **მარქსიზმი სტალინისათვის ის სამუხრუჭე სითხე იყო, რომლის მოქმედებითაც განაცვიფრებდა დიპლომატებისა და პოლიტიკოსების დიდ არმიას მოთმინებისა და შეუვალობის ხარჯზე, ხოლო ლენინიზმი — ის წითელი დროშა, რომლითაც მოქმედებისკენ უბიძგებდა მსოფლიოში მცონარობით (სიზარმაცით) ცნობილ რუს „მუჟიკს“.**

რა მეთოდებით მოახერხა სტალინმა ღმერთამდე მისასვლელი ხარაჩოს აგება და ამის მეშვეობით მზის კოშკის აშენება, ამას მომავალ სტატიაში უფრო ზუსტად მოგახსენებთ.

**ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც მარქსმა თქვა კომუნიზმზე, რომ მსოფლიოში ეს ყველაზე სამართლიანი სისტემა დადგება არა მაშინ, როდესაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია (რაც თავისთავად ცხადია), არამედ, როდესაც მოისპობა ადამიანების დამთრგუნველი შრომის დანაწილება**




**ყურადღება!**

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეპლიკა**

**პრეზიდენტი ზელენსკი, რომელმაც პირწმინდად დაივიწყა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები, დიდი მონდომებით ცდილობს, „ევროპის რამდენიმე მარგინალური ქვეყნის პოზიცია ნატოში უკრაინის გაერთიანების შესახებ დასავლეთის პოზიციად გაასაღოს. არა მხოლოდ გერმანია, არამედ საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი არასოდეს დაუჭერენ მხარს ნატოში უკრაინის გაწევრებას“.**

# მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი იდიოტის შთაბეჭდილებას ტოვებს... ანუ ორჯერ ორი, დიდი-დიდი, ხუთია

**ორი ჭეშმარიტება არსებობს, რომლებიც იმთავითვე ვირწმუნეთ, ვენდეთ და მივყვებით. ორჯერ ორი არის ოთხი და ომს იწყებს ან ერთი დაპირისპირებული მხარე, ან — მეორე. მესამეზე ლაპარაკი არ არის.**
**თუმცა — რა ვიცი! მაგალითად, პოპულარული ანეკდოტის ავლაბრელმა პერსონაჟმა შვილის შეკითხვას, რამდენია ორჯერ ორიო, უპასუხა: — დიდი-დიდი, ხუთი! საომარ კონფლიქტს რაც შეეხება, ექსპერტების გარკვეული ნაწილის აზრით, გამორიცხული არ არის მესამე მხარის აქტიური ინიციატივა.**
**მესამის.**
**ამაზეა წერილი, რომელსაც გთავაზობთ და რომელიც, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის მაპროვოცირებელ ძალას შეეხება.**

ლაპარაკობენ უცხოელი ანალიტიკოსები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები. განიხილავენ საჩოთირო სტრატეგიულ საკითხს, რომელსაც საქართველოში დელიკატურად გვერდს უვლიან.

გარკვეული სტრატეგიული მოსაზრების გამო.

ყარს მიჩუმათების, საზოგადოებრივი აზრის „შეცდომაში შეყვანის“ მცდელობის პოლიტიკა, როგორც განსხეულებული პარიზის ისტორიული კლოაკა — ორ თვალსაჩინო ადგილზე („ლოკაციაზე“) თბილისის ცენტრში: ერთი — პარლამენტის წინ, სადაც კარვის ქალაქი დასცა ყველაფრის მკადრებელმა ოპოზიციამ; მეორე — ტრადიციული ტელერადიოკომიტეტის („საზმაუს“) შენობის წინ, ერთი გიჟი ქალის მიერ მითვისებული „საოფისე ფართი“, ნაგვის ყუთებიდან ამოკრეფილი ცელოფანის პარკების გალავანშემორტყმული.

ვეგუებით.

არც რუსთაველზე გამაგრებული ოკუპანტები აპირებენ ადგილიდან დაძვრას...

საქმეზე გადავიდეთ.

სათქმელზე.

## იმ ნატოში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა

ჩვენს მეგობარ და ჩვენ დღეში მყოფ უკრაინაში ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის წევრობის პერსპექტივას კრიტიკული თვალით შეხედეს:

**„ყველას კარგად ესმის, რომ ნატოს გარეშე ვერც ერთ ომს ვერ მოვიგებთ. პირველი შეკითხვა: ნატოში თუ ვიქნებით, გაბედავს კი ნატო რუსეთის წინააღმდეგ ომს? საეჭვოა. უთუოდ — არა. მეორე, ყველაზე უფრო საინტერესო შეკითხვა: ნატოში რომ ვიყოთ, უნდა გავიმარჯვოთ დონბასისთვის ომში, მაგრამ, პატივცემულებო, ვაღიაროთ, რომ არავინ მიგვიღებს ნატოში, არავინ დაგვიცავს ქვეყანაში ისეთ ვითარებაში, როცა არ გვაქვს ერთიანი სახელმწიფო, სრულად ვერ ვმართავთ ქვეყნის ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტებს. უარესი დაგვემართება, თუ, მაგალითად, ნატოს მარჯვენა ნაპირზე შევიყვანთ, შემდეგ ისინი გვეტყვიან, როგორც საქართველოში იყო, ისე: ბოდიშს გიხდით, ჩვენ უკან ვიხევთ. დაიხევენ და უკან დაგვრჩება ხარკოვის, დონეცკის, ხერსონის, ნიკოლაევის ოლქები“.**

სალი აზრია. იციან, რასაც ამბობენ, რადგან ფლობენ სიტუაციას და აქვთ გაანალიზების უნარი.

პოლიტიკოსების გარკვეულ ნაწილს მაინც.

ნიშნავს თუ არა ასეთი პოზიციის გასაჯაროება, რომ უკრაინა რაღაც სიახლის რეალიზაციაზე ფიქრობს თუ მხოლოდ ლაპარაკობს? სათქმელს ამბობს და ამით კმაყოფილდება?

ამით იგი ცდილობს, დაიმკვიდროს თავისი ადგილი საერთაშორისო კოორდინატების სისტემაში. დაგვარწმუნოს, რომ იბრძვის საკუთარი იდენტურობის დასაცავად. სამწუხაროდ, რეალობა ამას არ ადასტურებს. მაშასადამე, საპოვნია ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებსაც, როგორც წესი, საკუთარი რეალობის მიღმა ეძებენ და პოულობენ. ასევე, როგორც ყველგან და ყოველთვის ამგვარი შემთხვევების დროს, — რუსეთის ფედერაციის სახით, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაში, რომლის ნეიტრალიზაცია უპირველესი ამოცანაა.

როგორ და რა გზით?

ომით, საომარი ოპერაციებით! პრეზიდენტი ზელენსკი, ამბობენ, წინააღმდეგია. აშშ — უბიძგებს. არიან საამისო ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, საკუთრივ ამერიკაში. შემდეგ ხელი რომ დაიბანოს და სხვას გადააბრალოს — იმას მოჰკითხეთო. როგორც საქართველოს შემთხვევაში მოხდა 2008 წლის ტრაგიკული მოვლენების კვალზე: ამერიკა ნეიტრალური დარჩა. ჯოხი საქართველოზე გადატყდა.

**ექსპერტები ახლა იმაზე კამათობენ, თუ რატომ სურს კანადას, ლიეტუას, პოლონეთს, ესპანეთს უკრაინის ნატოში შეთრევა მაშინ, როცა გერმანიას ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა ნაადრევად მიაჩნია.**

თუმცა საკითხი „დღესავით არის ნათელი“: ლიეტუვა და პოლონეთი ყოფილი კომკავშირივითაა: „პარტია იტყვის — საჭიროა! კომკავშირი უპასუხებს — არის!“. გერმანია კი ცდილობს, ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს როლი ითამაშოს.

**პრეზიდენტი ზელენსკი, რომელმაც პირწმინდად დაივიწყა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები, დიდი მონდომებით ცდილობს, „ევროპის რამდენიმე მარგინალური ქვეყნის პოზიცია ნატოში უკრაინის გაერთიანების შესახებ დასავლეთის პოზიციად გაასაღოს. არა მხოლოდ გერმანია, არამედ საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი არასოდეს დაუჭერენ მხარს ნატოში უკრაინის გაწევრებას“.**



ზელენსკი ჯავშანჟილეტით ფრონტის წინა ხაზზე

**«როგორც ჩანს, ბაიდენის ადმინისტრაცია მზად არის, დაუშვას ახალი შეცდომები. ასეთ მიდგომას მოჰყვება ორი სავალალო შედეგი. ყველაზე უფრო მოსალოდნელია ქართული სცენარის გამეორება. ამ შემთხვევაში აშშ წარმოჩნდება, როგორც უვარგისი და უპასუხისმგებლო სახელმწიფო, მაგრამ მეორე შედეგი უარესია. არის იმის საშიშროება, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ განახორციელოს თავისი საიდუმლო ვალდებულებანი, რომლებიც უკრაინასთან ნაკისრი ვალდებულებებია, და დაიწყოს სამხედრო მოქმედება რუსეთსა და უკრაინას შორის გაჩაღებული კონფლიქტის საპასუხოდ. ეს იქნება არნახული სიგიჟე, რადგან ყველაფერი შეიძლება ბირთვული ომით დამთავრდეს»**

ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველო, რომელსაც, რამდენი წელიწადია, კვებავენ არაფრისმთქმელი „ასპირანტი ქვეყნის“ სახელის მინიჭებით და „მაპზე უკეთესი“ შესაძლებლობის პერსპექტივით.

მოვლენები ისე ვითარდება, რომ ევროატლანტიკური პერსპექტივა იმგვარ მიუწვდომელ და არამატერიალურ სიცრუედ ტრანსფორმირდება, როგორც **ხრუშჩოვის** დაპირება, რომ 20 წელიწადში საბჭოთა კავშირი შევიდოდა კომუნისტურ სამოთხეში.

**უკრაინამ საქართველოს შეცდომებიდან რატომ უნდა გამოიტანოს საჭირო დასკვნები, როცა ჩვენ თვითონ არაფერი გვისწავლია?!**

თითქოს ჩვენი უახლესი ისტორიის კატასტროფული მომენტები სხვა ქვეყნის ისტორიის სახელმძღვანელოდან ამოკრებილი ფაქტები იყოს და არა ჩვენს თავს დატეხილი უბედურება.

**თითქოს გვახსოვს, რომ 2006-2007 წლებში აშშ-ის ემისრები არწმუნებდნენ საქართველოს ავანტიურისტ ხელმძღვანელებს, რომ რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში გარანტირებული გვექნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების „უძლეველი არმადის“ მხარდაჭერა; რომ ნატო ისევეა საჭირო საქართველოსთვის, როგორც საქართველოა საჭირო ნატოსთვის. თუ რაღაც ამგვარი რიტორიკა! რა გამოდნა ამ კეთილი სურვილებიდან, ესეც ხომ ვიცით.**

დღევანდელი გადმოსახედიდან გავერკვიეთო იმჟამინდელ სიტუაციაში, — თავს იმართლებენ ანალიტიკოსები. მაშინ ძნელი იყო ზუსტი დიაგნოზის დასმა.

**ვითომ?! უპასუხებენ მოწინააღმდეგეები და შეახსენებენ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის პოზიციას ნატოში საქართველოს (და უკრაინის) მიწვევის პერსპექტივის შესახებ ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე:**

„უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაერთიანების შესახებ მიმაჩნია, რომ, თუ მოცემულ მომენტში სახელმწიფოებს, რომლებიც გარეული არიან საშინაო და რეგიონულ კონფლიქტებში, არ შეიძლება ჰქონდეთ ნატოს წევრობის პრეტენზია. ნატო იმ სახელმწიფოთა კავშირია, რომლებსაც აერთიანებთ უსაფრთხოების საერთო ინტერესები და არა ისეთ სახელმწიფოთა კავშირი, რომლებიც დაკავებულები არიან თავიანთი შიდა პრობლემებით. ამ სახელმწიფოთა მთავრობებს მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივი **სამხედრო ძალითა და საშუალებით.**

კონკრეტულად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

არაფრით არ დახმარებია.

**პრინციპული ოპონენტები აცხადებენ, რომ არც საქართველოს, არც უკრაინას ნატოში არ მიიღებენ იმ თვალსაწიერ დროში, რომლის წარმოდგენაც დღეს შეგვიძლია. ეს ნათელია ყველა სერიოზული ექსპერტისთვის ევროპასა და, მით უფრო, ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

მაგრამ აცხადებენ და იმეორებენ, რადგან პიარის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტის პიარის. სერიოზულ დონეზე, „ცალკეული შეშლილის“ გარდა, ამ საკითხს არავინ განიხილავს.

ახლა კი მოვიშველიებ ვრცელ ციტატას იმ პოლიტიკური ტე-

მოსახლეობის უმრავლესობამ და არა მხოლოდ პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა ფენამ“.

## რა მოჰყვა მერკელის ამ განცხადებას?

**— რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, — ამბობს ამერიკელი ექსპერტი. რუსეთი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას.**

**ევროკომისიის დასკვნაში კი სრულიად საპირისპირო წერია — საქართველო თავს დაესხაო ცხინვალს.**

გადავდოთ ეს თემა — ვინ ვის დაესხა თავს — სამომავლოდ, რადგან დღეს განვიხილავთ სხვა საკითხს: **როგორ და რა მასშტაბით დაეხმარა ნატო საქართველოს, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მხარში უნდა ამოდგომოდა შესაბამისი**

# პრინციპული ოპონენტები აცხადებენ, რომ არც საქართველოს, არც უკრაინას ნატოში არ მიიღებენ იმ თვალსაწიერ დროში, რომლის წარმოდგენაც დღეს შეგვიძლია. ეს ნათელია ყველა სერიოზული ექსპერტისთვის ევროპასა და, მით უფრო, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**რეპლიკა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლეშოუდან, რომელსაც საოქმო ჩანაწერთან მიახლოებული სტილით მივყვები, და წარმოგიდგენთ კოვიდ-19-ის პანდემიის მიზეზით გაზეთის მყიდველთა შემცირებულ რაოდენობას.

ანუ ჭეშმარიტად ერთგულ მკითხველებს.

„იმ მომენტში შლეგის როლში იყო საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც ლეჭავდა ჰალსტუხებს, ძალიან სურდა ნატოს წევრობა და რომელსაც მიუკიბ-მოუკიბავად უთხრეს: ნატოში არ იქნებიო. და მან გადაწყვიტა ამ უფლების მოპოვება ომით.

**შეკითხვა:** — რამდენია უკრაინაში, თქვენი აზრით, ადამიანი, რომლებიც დღეს გაჰყვებიან ზელენსკის ამ გზაზე?

**პასუხი:** — ყველგან და ყოველთვის არიან „ცალკეული შეშლილები", რომლებიც ასე მოიქცევიან.

**რეპლიკა:** — დიმიტრი ნეკრასოვი, ალბათ, ერთადერთი კაცია ანალიტიკოსთა შორის, რომელთა ამგვარად მოხსენიება თუ შეიძლება, ვისაც მიაჩნია, რომ უკრაინა ხუმრობს, როცა ნატოსკენ ისწრაფვის. თუმცა თავად უკრაინა ეჭვის ნატამალსაც არ ტოვებს, რომ მართლაც ასეა, რადგან კონსტიტუციაშიც კი ჩაწერა.

**ოპონენტი:** — თუ კონსტიტუციაში ჩავწერთ, რომ ხუთ წელიწადში იუპიტერზე გავფრინდებით, განა ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მართლა ვაპირებთ იუპიტერზე გაფრენას?

**პასუხი:** — იუპიტერზე გაფრენაზე ჩანაწერს კონსტიტუციაში მხოლოდ თქვენ აკეთებთ".

მხატვრული სახეებით ემოციური კამათიდან სერიოზულ ტონალობაში გადასასვლელად აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ამერიკული გამოცემა „ნეშენელ ინტერსის" მიერ ამ თვის დასაწყისში გამოქვეყნებული სტატია **„ბაიდენის პოლიტიკა უკრაინაში იმის გამეორებაა, რაც ჯორჯ ბუშმა საქართველოში გააკეთა"**. ერთი ამონარიდი:

**„ბაიდენის** ადმინისტრაცია რისკავს, გაიმეოროს **ჯორჯ ბუშის** კატასტროფული პოლიტიკა, რომელმაც დაარწმუნა საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი,** რომ მისი ქვეყანა არის შეერთებული შტატების ღირსეული მოკავშირე და რომ აშშ ნატოსთან ერთად დაეხმარება საქართველოს, თუ მას ჩაითრევენ რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში.

მხარდაჭერის მრავალგზის გამოხატვის მიუხედავად, შეერთებულმა შტატებმა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა არ გარისკეს ბირთვულ სახელმწიფოსთან საშიშ და გაუთვალისწინებელ კონფრონტაციაში ჩართვა მცირე წრისთვის ცნობილი საკამათო ტერიტორიის გამო. აშშ-ისა და ნატოს ჯარები ყაზარმებში დარჩნენ. სააკაშვილი კი იძულებული შეიქნა, დათანხმებოდა დამამცირებელ სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის გამოც სამხრეთ ოსეთი და კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონი რუსეთის მტკიცე ხელისუფლებას დაექვემდებარა".

ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ საქართველოს საომარი აგრესიის გეგმები მნიფდებოდა ჯერ კიდევ 2006 წელს, როცა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მოლაპარაკებას აწარმოებდა სააკაშვილთან და არწმუნებდა მას, რომ პოტენციური სამხედრო კონფლიქტის დროს საქართველო ყოველმხრივ იქნება მხარდაჭერილი, ხოლო 2008 წლის ომში უკრაინამაც ისახელა თავი იმით, რომ საქართველოს მხარეს შეიარაღებას აწვდიდა.

## მცირე სამხედრო კონფლიქტი – ზელენსკის მაშველი რგოლი

**ანალიტიკოსები განსჯიან, რომ მცირე სამხედრო კონფლიქტი, რომელსაც უკრაინა, რა თქმა უნდა, წააგებს, ხელს შეუწყობს შტატებს რუსეთისთვის სანქციების დასაკისრებლად, მათ შორის, ჩრდილოეთის ნაკადზე. ფიქრობენ, რომ ისევ და ისევ ომისა და აგრესიის ფონზე შეიძლება გაუჩნდეს ზელენსკის პოლიტიკური მომავლის რამენაირი შანსი.**

იდეალური მომენტია პროვოკაციის განსახორციელებლად, ჩვენთვის კი სერიოზულად დასაფიქრებლად და სხვის შეცდომებზე საკუთარი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, მით უფრო, როცა პერსპექტივა მაინცდამაინც დიდი იმედების მომცემი არ ჩანს.

იგივე მასმედიური წყარო, რომელიც ზემოთ ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ, წერს: **„როგორც ჩანს, ბაიდენის ადმინისტრაცია მზად არის, დაუშვას ახალი შეცდომები. ასეთ მიდგომას მოჰყვება ორი სავალალო შედეგი. ყველაზე უფრო მოსალოდნელია ქართული სცენარის გამეორება. ამ შემთხვევაში აშშ წარმოჩნდება, როგორც უვარგისი და უპასუხისმგებლო სახელმწიფო, მაგრამ მეორე შედეგი უარესია. არის იმის საშიშროება, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ განახორციელოს თავისი საიდუმლო ვალდებულებანი, რომლებიც უკრაინასთან ნაკისრი ვალდებულებებია, და დაიწყოს სამხედრო მოქმედება რუსეთსა და უკრაინას შორის გაჩაღებული კონფლიქტის საპასუხოდ. ეს იქნება არნახული სიგიჟე, რადგან ყველაფერი შეიძლება ბირთვული ომით დამთავრდეს".**

ბევრს არ სჯერა ასეთი სცენარით მოვლენების განვითარების. ბირთვული ომის შესაძლო დაწყებით ადამიანებს, რა თქმა უნდა, საგანგებოდ აპანიკებენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ გამოჩნდნენ ცხელი თავები, რომლებიც ამ მეთოდს საკუთარი რადიკალური მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებენ, როგორც ეს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა 2008-ის აგვისტოში.

ასეთი მოტივაცია შეიძლება უკრაინასაც ალმოაჩნდეს. სააკაშვილს ხომ ალვიქვამთ, როგორც იდიოტს, მაგრამ საკმარისად ჭკვიანია და 13 წლისწინანდელი სიტუაცია სათავისოდ გათვალა. ავანტიურაზე წავიდა. შედეგად დაილუპნენ ადამიანები, ასობით ადამიანი შეეწირა ამერიკელების მიერ მისთვის ნაკარნახევ სტრატეგიას.

თუმცა ურმის გადაბრუნების შემდეგ **კონდოლიზა რაისი** ხელებს ასავსავებდა: ჩვენ ვურჩევდით სააკაშვილს, არ დაეწყო ომი, მაგრამ მან ყური არ გვათხოვაო. ამ წაყრუების შემდეგ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სრულიად განსხვავებული რჩევა-დარიგების უპირობოდ განხორციელების შედეგად, **„სააკაშვილმა საბოლოოდ მოკვეთა სამხრეთ ოსეთი საქართველოს. ოსეთიც და აფხაზეთიც".**

დებატების მონაწილე ერთმა პოლიტიკოსმა კოლეგებს შეახსენა, რომ ზუსტად კონფლიქტის დაწყების წინ „ბატონი სააკაშვილი საჯაროდ განიხილავდა რუსეთის არმიის ღირსება-ნაკლოვანებებს. ამბობდა, რომ რუსეთის არმია სრულად დაიჟანგა, მთლიანად ჩაბარდა წარსულს მისი შესაძლებლობანი და ტრადიციები...

**„დღეს ბაიდენის ადმინისტრაციაში და მის გარშემო საკმარისად არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთი თიხის ფეხებზე დგას, რომ რუსეთს დიდი პრობლემები აწუხებს და ამიტომ ვერ გაბედავს რისამე გაკეთებას.**

**— არავინ ამბობს ამას!**

**— ობამამ თქვა ახლახან!**

**— ბევრნი წერენ და ამტკიცებენ, რომ რუსეთი, თიხის ფეხებზე მდგარი ეს კოლოსი, აილებს და თავისით დაიშლება".**

ესეც ბევრის მიმანიშნებელი ამონარიდი პოლიტიკური თოკშოუდან, რომელიც, მგონი, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

* * *

**გასულ კვირადღეს თბილისში კოკისპირულად წვიმდა. იქნებ წვიმამ მაინც ჩარეცხოს რადიკალური უწმინდურობა, რომელიც ყარს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ. ხოლო შეშლილ ქალს, რომელსაც ოკუპირებული აქვს ტროტუარის ტერიტორიის ნაწილი კოსტავას ქუჩაზე, ვერავინ ხელს რომ ვერ ახლებს, წლებია, შეგუებულები ვართ.**

ა.ს.

**ანალიტიკოსები განსჯიან, რომ მცირე სამხედრო კონფლიქტი, რომელსაც უკრაინა, რა თქმა უნდა, წააგებს, ხელს შეუწყობს შტატებს რუსეთისთვის სანქციების დასაკისრებლად, მათ შორის, ჩრდილოეთის ნაკადზე. ფიქრობენ, რომ ისევ და ისევ ომისა და აგრესიის ფონზე შეიძლება გაუჩნდეს ზელენსკის პოლიტიკური მომავლის რამენაირი შანსი**



თავგაწირული მთავარსარდალი

**«ბაიდენის ადმინისტრაცია რისკავს, გაიმეოროს ჯორჯ ბუშის კატასტროფული პოლიტიკა, რომელმაც დაარწმუნა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომ მისი ქვეყანა არის შეერთებული შტატების ღირსეული მოკავშირე და რომ აშშ ნატოსთან ერთად დაეხმარება საქართველოს, თუ მას ჩაითრევენ რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში»**



იქნებ წვიმამ ჩარეცხოს

**«მხარდაჭერის მრავალგზის გამოხატვის მიუხედავად, შეერთებულმა შტატებმა და მისმა ევროპელმა მოკავშირეებმა არ გარისკეს ბირთვულ სახელმწიფოსთან საშიშ და გაუთვალისწინებელ კონფრონტაციაში ჩართვა მცირე წრისთვის ცნობილი საკამათო ტერიტორიის გამო. აშშ-ისა და ნატოს ჯარები ყაზარმებში დარჩნენ. სააკაშვილი კი იძულებული შეიქნა, დათანხმებოდა დამამცირებელ სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის გამოც სამხრეთ ოსეთი და კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონი რუსეთის მტკიცე ხელისუფლებას დაექვემდებარა»**

«კოჭლი იხვები»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფორმალურად ლაპარაკია მხოლოდ „პანდემიის საწინააღმდეგო მოქმედებების მსოფლიო შეთანხმებაზე", მაგრამ რემარკის თანმხლები კოლექტიური წერილიდან ჩანს, რომ ავტორების ამბიციები გაცილებით დიდია. კორონავირუსის პანდემიას ისინი უწოდებენ „1940-იანი წლების შემდგომ უდიდეს გამოწვევას მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის" და შემოთავაზებულ შეთანხმებას პირდაპირ უკავშირებენ 1945 წლის (ე.ი., იალტის) ხელშეკრულებას.**

# ევროკავშირის ლიდერებმა მსოფლიო მთავრობაში ყოფნა მოისურვეს

**რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ბორის ჯონსონის, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის, „როტშილდების პრეზიდენტ" ემანუელ მაკრონის, ჯანმოს გენდირექტორისა და ათამდე ევროპული ქვეყნის ლიდერის ერთობლივი განცხადება. აღნიშნულმა პირებმა კონსტატაციის შემდეგ, რომ ეროვნულმა მთავრობებმა ვერ შეძლეს პანდემიის შედეგებთან გამკლავება, კაცობრიობისგან მოითხოვეს, სასწრაფოდ გადავიდეს მსოფლიო მთავრობის მმართველობაში, რომელშიც, როგორც ჩანს, უკვე დღესვე ცდილობენ, დაჯავშნონ თბილი ადგილები.**



ფორმალურად ლაპარაკია მხოლოდ „პანდემიის საწინააღმდეგო მოქმედებების მსოფლიო შეთანხმებაზე", მაგრამ რემარკის თანმხლები კოლექტიური წერილიდან ჩანს, რომ ავტორების ამბიციები გაცილებით დიდია. კორონავირუსის პანდემიას ისინი უწოდებენ „1940-იანი წლების შემდგომ უდიდეს გამოწვევას მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის" და შემოთავაზებულ შეთანხმებას პირდაპირ უკავშირებენ 1945 წლის (ე.ი., იალტის) ხელშეკრულებას...

ადამიანურად ეს ინიციატივა გასაგებია. **ჯონსონი, მერკელი** და, შესაძლოა, **მაკრონიც** კლასიკური „კოჭლი იხვები" არიან. ფრაუ კანცლერი პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე დეკემბრიდან აღარ იქნება. მაკრონის პერსპექტივა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ძალიან ბუნდოვანია. ინგლისელთა დიდ ნაწილს არ სურს **ბორის ჯონსონის ხილვა** პრემიერმინისტრის პოსტზე... მაგრამ ზემოჩამოთვლილ პირებს სურთ, კვლავ ატრიალონ ძალაუფლების საჭე. გაუგებარია სხვა რამ — რას შესთავაზებენ ეს „ჩამოგდებული მფრინავები" მსოფლიოს? მართვის თავიანთ გამოცდილებას? მაგრამ თავიანთი ქვეყნების დონეზეც კი ისინი ძალიან ცუდად მართავდნენ, უაზრო ლოკდაუნებმა გააკოტრა უამრავი საშუალო და მცირე ბიზნესი, მოკლა ტურისტული სექტორი. **ბარაკ ობამას** თქმით, ევროპის ეკონომიკა „ნაფლეთებად იქცა".

**ვაქცინაციას დაუსრულებელი სკანდალები მოჰყვა. ნევროზიანი მოსახლეობა რეგულარულად გამოდის ქუჩაში, აწყობს არეულობებს და უპირისპირდება ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს, ხელისუფლებები კი კიდევ უფრო აძლიერებენ წნეხს — აწესებენ დრაკონულ ჯარიმებს, აშკარად სეგრეგაციულ კოვიდპასპორტებსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის ფასად უარს ამბობენ რუსულ ვაქცინაზე.**

ის ქვეყნები კი, რომლებსაც ზიზღით უწოდებდნენ „განვითარებადს", წარმატებით უმკლავდებიან კორონავირუსს — ყიდულობენ რუსულ ვაქცინას და ევროპელი პარტნიორების აქტივობის შემცირების ფონზე ავითარებენ თავიანთ ეკონომიკებს.

**ევროპის ლიდერებისთვის გასული წელი ძალიან ცუდად წარიმართა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოებოდიშებინათ და პენსიაზე გასულიყვნენ, უცებ გადაწყვიტეს, თავიანთი თავი მსოფლიო მთავრობაში დაენიშნათ. კონსპიროლოგები, რა თქმა უნდა, გვაფრთხილებდნენ, მაგრამ არ უთქვამთ, რა სიგიჟე იქნებოდა ეს ყველაფერი.**

მსოფლიოს მართვის პრეტენდენტები სიამაყით გვამცნობენ, რომ მათ მიერ მართულმა ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არნახული კრახი განიცადეს. არადა, ეს კრახი პირადად მათ მიერ იყო ორგანიზებული — ვერანაირი კორონავირუსი ამას მარტო ვერ შეძლებდა. შედეგად მოსახლეობა დარჩა სამუშაოს, პერსპექტივის გარეშე და მთავრობისგან რაღაც სოციალური დახმარებების იმედად.

ამ „შესანიშნავმა" ხელმძღვანელებმა გასულ წელს სომარი მოქმედებები წამოიწყეს თავიანთი ხალხების წინააღმდეგ. მილიონობით ადამიანი სიღარიბის ზღვარზე აღმოჩნდა, მაგრამ ევროპის ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ ვითარება მათ აძლევთ კარტ-ბლანშს „ახალ იალტაზე" — **„ფეიკური ომის შედეგების მიხედვით მსოფლიოს გადავანაწილებთ ჩვენს სასარგებლოდ, გაერო არაფრად აღარ ვარგა".**

იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებიც წარმატებით გაუმკლავდნენ კორონავირუსს, უკვე არაერთხელ გააკრიტიკეს ანგლოსაქსურ პრესაში, როგორც საშინლად რეპრესიული ხელისუფლებები. ეს კი პოლიტიკაში ტივტივის შანსს აძლევთ ევროპის ლუზერ პოლიტიკოსებს.

**შემოთავაზებულ მსოფლიო მთავრობაში მთავარია ის, რომ იქ არავინ არავის არ აირჩევს. ამერიკულმა და ინგლისურმა მედიამ უკვე აგვიხსნა, როგორ აპირებენ ამ ყველაფრის გაფორმებას.**

მაგალითად, ჟურნალი The Week-ი გვთავაზობს, მსოფლიოს სათავეში დავსვათ ერთი ადამიანი და მივანიჭოთ მას ტიტული — „იმპერატორი". შესაძლოა, იმპერატორის ნაცვლად შეიქმნას „პოლიტბიურო", მაგრამ ბრიუსელის ბიუროკრატიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენს აზრს არავინ გაითვალისწინებს. უბრალოდ, შეიკრიბებიან პატივსაცემი ადამიანები და დანიშნავენ მას, ვისაც მოისურვებენ, და სადაც მოისურვებენ, და ეს „მოღვაწეები" მანამდე იქნებიან თავიანთ პოსტებზე, სანამ არ მობეზრდებათ. დემოკრატია? არჩევნები? არა, ასეთი რამ არც სმენიათ!

**ჯონსონი, მერკელი და, შესაძლოა, მაკრონიც კლასიკური «კოჭლი იხვები» არიან. ფრაუ კანცლერი პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე დეკემბრიდან აღარ იქნება. მაკრონის პერსპექტივა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ძალიან ბუნდოვანია. ინგლისელთა დიდ ნაწილს არ სურს ბორის ჯონსონის ხილვა პრემიერმინისტრის პოსტზე... მაგრამ ზემოჩამოთვლილ პირებს სურთ, კვლავ ატრიალონ ძალაუფლების საჭე**



**მსოფლიო მთავრობის პოტენციური წევრები თავიანთი მოქმედების პროგრამაზე საჯაროდ არ ლაპარაკობენ. მხოლოდ ის განაცხადეს, რომ პანდემიის ტალღები ერთმანეთის მიყოლებით წამოვა და ამიტომ ვაქცინაცია და კოვიდპასპორტები მუდმივად ჩვენთან იქნება.**

„დიდ გადატვირთვასაც" ზუსტად ადამიანები ლობირებენ, რომლებსაც სურთ, მსოფლიო მთავრობა დაგვინიშნონ. ცხადია, რომ ევროპის ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯერ არ დასრულებულა. მსოფლიო ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს, საბოლოოდ გაანადგუროს მრეწველობა. ეს ევროპის ხალხებს მასობრივ უმუშევრობასა და სიღარიბეს მოუტანს. სულიერ საკვებად კი დარჩებიან ტრანსგენდერები და ლგბტ პირები. ქრისტიანულ ეკლესიებს საბოლოოდ დახურავენ, როგორც ვირუსების გამავრცელებლებს.

**გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, როგორ იგეგმება თითქოს 8 მილიარდი ადამიანის გადასვლა მსოფლიო მთავრობის მმართველობაში, როგორი იქნება იძულების აპარატი, ვინ დაეხმარება გაულაიტერებს ადგილებზე, ვინ გაწმენდს ტყეებს პარტიზანებისგან, აწამებს ამბოხებულებს სპეციალურ ბანაკებში. ვინ? — გაეროს ყოფილი სამშვიდობო ძალები ნატოს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად გერმანიისა და საფრანგეთის გაერთიანებული არმია, რომლის შექმნაზეც, ამდენი ხანია, ლაპარაკობენ მერკელი და მაკრონი? პასუხი ჯერ არ არის.**

კმაყოფილებას მოგანიჭებთ ამ ტრაგიკომიკური განცხადების ხელმომწერთა ჩამონათვალის წაკითხვა. სიაში არ არის არც **აშშ**, არც **ჩინეთი**, არც **რუსეთი**, არც **ინდოეთი**, არც **ბრაზილია**, არც **მექსიკა**, არც **კანადა** და არც **იაპონია**. საერთოდ, ამ სიაში არ არის გაეროს წევრი 170 სახელმწიფო. სამაგიეროდ, მსოფლიო მთავრობის წევრებს შორის ნახავთ ისეთ „გეოპოლიტიკურ ტიტანებს", როგორიც არის **ფიჯი**, აგრეთვე, **ტრინიდადი და ტობაგო**. სიის ბოლოში მოულოდნელად ნახავთ **უკრაინას**. ის იქ არის „ვოლოდიმირ ზელენსკის" ხელმოწერის გასწვრივ. **უნებლიეთ გიჩნდება აზრი, რომ, სახელდობრ, უკრაინისთვის შეიქმნა მსოფლიო მთავრობის ეს ფანტასმაგორია. ევროპისთვის, რომელიც თავისი მოქმედებით სიღარიბისკენ მიექანება, ისეთი ტერიტორია, როგორიც არის უკრაინა, ცუდი კოლონია არ იქნება. იქ არის შავმიწა ნიადაგები, ვაშლები, „სალო", იაფი და უპრეტენზიო სამუშაო ძალა. სხვა საქმეა, შეძლებენ თუ არა ისინი ამ ტერიტორიის მუდმივად დამორჩილებას.**

შვიდი წლის წინათ მიამიტ უკრაინელებს გადაუგდეს სატყუარა „ევროკავშირის წევრობის" სახით. ამ ქიმერისთვის რუსების მონათესავე ერმა დაანგრია თავისი სახელმწიფო და აფრიკული ქვეყნის ცხოვრების დონემდე დაეშვა. უკრაინელებს თანდათან შეეპარათ ეჭვი, რომ ევროკავშირის წევრობას მოიპოვებდნენ. ბევრმა უკრაინელმა ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთს მიაშურა...

და უცებ უკრაინელებს ეძახიან მსოფლიო მთავრობაში, რუსებს კი — არა. და ეს სატყუარა ახალია, დიდი! მის დევნაში უკრაინა, ალბათ, კიდევ 10 წელიწადს გაატარებს. შემდეგ კი ევროპაში პატივსაცემი ადამიანები უკრაინელებისთვის კიდევ რაღაცას მოიფიქრებენ.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**«დიდ გადატვირთვასაც» ზუსტად ადამიანები ლობირებენ, რომლებსაც სურთ, მსოფლიო მთავრობა დაგვინიშნონ. ცხადია, რომ ევროპის ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯერ არ დასრულებულა. მსოფლიო ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს, საბოლოოდ გაანადგუროს მრეწველობა. ეს ევროპის ხალხებს მასობრივ უმუშევრობასა და სიღარიბეს მოუტანს. სულიერ საკვებად კი დარჩებიან ტრანსგენდერები და ლგბტ პირები. ქრისტიანულ ეკლესიებს საბოლოოდ დახურავენ, როგორც ვირუსების გამავრცელებლებს**

სკამების დიპლომატია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპა აფორიაქებულია იმ ეპიზოდის შემდეგ, როცა ერდოღანმა ასე დაამცირა ურსულა ფონ დერ ლაიენი და მასთან ერთად ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, რომელმაც ვერ გაბედა იმის გაკეთება, რაც საჭირო იყო — დაეთმო ადგილი ევროკომისიის ხელმძღვანელისთვის და ამით განემუხტა უხერხული ვითარება.**

# ერდოღანმა ურსულა ფონ დერ ლაიენს ადგილი მიუჩინა

## სკანდალი ევროკავშირსა და თურქეთს შორის

**ევროკავშირის კომისიის ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი ანკარაში ოფიციალურ შეხვედრაზე დაამცირეს — მას დასაჯდომად სკამი არ შესთავაზეს. „დიქტატორი!“ — აღშფოთდნენ ევროკავშირში, გულისხმობენ თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს.**

თურქეთის პრეზიდენტისგან ყველაფერია მოსალოდნელი. პრობლემა ევროკომისიის თავმჯდომარის რეაქციაა: ერდოღანის აღმაშფოთებელი თავხედობის პასუხად რატომ არ მიატოვა იქაურობა და მორჩილად „გადაყლაპა“ დამცირება, — წერს ბერძნული გამოცემა Ta Nea-ს მიმომხილველი **ვასილის კანელისი.**

ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ორგანოს ხელმძღვანელმა, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „ევროკავშირის პრემიერმინისტრმა“ თურქეთის პრეზიდენტის მხრიდან ასეთი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ურეაქციოდ მიიღო.

ევროპა აფორიაქებულია იმ ეპიზოდის შემდეგ, როცა ერდოღანმა ასე დაამცირა **ურსულა ფონ დერ ლაიენი** და მასთან ერთად ევროსაბჭოს პრეზიდენტი **შარლ მიშელი,** რომელმაც ვერ გაბედა იმის გაკეთება, რაც საჭირო იყო — დაეთმო ადგილი ევროკომისიის ხელმძღვანელისთვის და ამით განემუხტა უხერხული ვითარება.

სიმართლე უნდა ითქვას, **ბევრი სხვაგვარ საქციელს არც ელოდა თურქეთის პრეზიდენტისგან. მან დაამტკიცა, რომ ლიდერია (თავისი ქვეყნისთვის) და ქედს არავის მოუხრის. აჩვენა, რომ შეუძლია, ყველა დაამციროს ისე, როგორც მოესურვება, და ამაზე რეაქცია არავის ექნება,** ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ გააკეთა **ემანუელ მაკრონმა,** რომელმაც თურქეთის პრეზიდენტის შეტევა უპასუხოდ არ დატოვა. **ერდოღანმა, თავისი ძალისა და ძალაუფლების წარმოჩენის გარდა, რაც მან ურსულა ფონ დერ ლაიენთან შეხვედრისას გამოავლინა, თურქული კულტურის აუდიტორიაზეც ითამაშა. ეს კულტურა კი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთის ცხოვრების წესისგან. ის ღრმად კონსერვატიულია, საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიულ თავაზიანობასთან, თანამოსაუბრის პატივისცემასთან, როცა ის მოწინააღმდეგეა.** და, რაც მთავარია, განსხვავებაა ქალის პატივისცემაში. ევროპის კომისიის ხელმძღვანელი არის ქალი, რომელსაც არ გაუპროტესტებია მასპინძლის ულირსი საქციელი.

**შეხვედრის კადრებმა მსოფლიო შემოიარა. დარბაზში, რომელიც მომზადებულია თურქეთის პრეზიდენტისა და ევროკავშირის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებებისთვის, შედის სამი პირი — თვითონ ერდოღანი, ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკომისიის ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი,** მაგრამ იქ სულ ორი სკამია. ერდოღანი დაჯდა თავის სავარძელში თურქეთის დროშასთან, მეორე სავარძელი ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაიკავა შარლ მიშელმა, ლაიენი კი იძულებული იყო, ობოლივით დამჯდარიყო დივანზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს წინ.

თავმჯდომარე ევროპის **საბჭოსი,** რომელშიც შედიან ევროკავშირის ქვეყნების მთავრობის მეთაურები, ბრიუსელის უმაღლესი წარმომადგენელია საერთაშორისო არენაზე, მაგრამ მას ძალიან ცოტა უფლებამოსილება აქვს. ის თურქეთის პრეზიდენტ-სულთანმა, როგორც ტოლი, ისე მიიღო.

**ევროკომისიის ხელმძღვანელი,** ასე ვთქვათ, მთავრობის თავმჯდომარეა საპარლამენტო რესპუბლიკაში და უამრავი უფლებამოსილება აქვს. ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდა ერდოღანმა, მაგრამ ურსულა ფონ დერ ლაიენის დამცირების სურვილმა სძლია.

შარლ მიშელმა ვითარების გამოსწორება სცადა და მომხდარს „პროტოკოლური შეცდომა“ უწოდა, რომელიც გამოწვეული იყო მიმღები მხარის სწრაფვით, ყველაფერი მართებულად გაეკეთებინა, მაგრამ მას ჩავუშოღლუმ უპასუხა, რომ ამ შეხვედრაზე „ყველაფერი საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებითა და ჩვეულებრივი პროტოკოლით გაკეთდა“.

იტალიის პრემიერმინისტრი **მარიო დრაგი** გამოესარჩლა ფონ დერ ლაიენს და ერდოღანს დიქტატორი უწოდა. დრაგის არ სჯერა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. შეიძლება ვინმემ იფიქროს: ეს იყო ერდოღანის შურისძიება, რომ თურქეთი, უკვე 20 წელია (უფრო 34 წელი, თუ განაცხადის შეტანის მომენტიდან ავითვლით), ამაოდ აკაკუნებს ევროკავშირის კარზე. ფორმალურად ევროკავშირისა და თურქეთის მოლაპარაკებები ინტეგრაციაზე დღესაც მიმდინარეობს და ორივე მხარისთვის ნათელია, რომ წარმატებით ვერ დასრულდება. ეს იცის ერდოღანმა.

სულთან-რეზიდენტი პრეტენზიას აცხადებს ისლამური და თურქული სამყაროს ლიდერობაზე. ოდესღაც (დიდი ხნის წინათ) ერდოღანი ევროკავშირში შესვლის მთავარი მომხრე იყო და თანამემამულეებს ჰპირდებოდა, რომ ამას აუცილებლად მოახერხებდა. მას შემდეგ თურქეთში ელექტორატი შეიცვალა — ისლამისტების ნაწილი ყველაფერში მხარს უჭერს სულთან-პრეზიდენტს, ვესტერნიზებული ქალაქები კი (უწინარესად, სტამბოლი, რომლის მერიც იყო ერდოღანი) მარიო დრაგის ეთანხმებიან, მაგრამ ამომრჩეველთა დიდ ნაწილს კვლავ სურს ევროკავშირში ინტეგრაცია. ამას ერდოღანი ითვალისწინებს. თავის მხრივ, **ევროკავშირი არ ტოვებს მოლაპარაკებების მაგიდას „დასავლეთისთვის თურქეთის შენარჩუნების“ სტრატეგიის გამო და, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ხარჯზე ევროკავშირის გაფართოებას გაცილებით მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მომხრე.** ბრიუსელი იმედოვნებს, რომ თურქული ვირი წავა იმ სტაფილოსკენ, რომელიც ცხვირწინ აქვს ჩამოკიდებული.

ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერდოღანმა, ევროკავშირი კი არა, პირადად ურსულა ფონ დერ ლაიენი დასაჯა, რომელიც, შარლ მიშელისგან განსხვავებით, ხშირად აკრიტიკებს თურქეთს (ე.ი., მის სულთანს) მილიტარიზმისა და ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. **ერდოღანისა და ფონ დერ ლაიენის ურთიერთობა გაცილებით ადრე გაფუჭდა, როცა ფრაუ ურსულა გერმანიის თავდაცვის მინისტრი იყო და ანკარასა და ბერლინს შორის ურთიერთობა დაიძაბა — ლაიენმა უარი უთხრა თურქეთს იარაღის შესასყიდად რამდენიმე კონტრაქტის გაფორმებაზე. ამის საპასუხოდ ერდოღანმა გერმანელები სამხედრო ბაზა „ინჯირლიყიდან“ გააძევა.**



**ის სიმწვავე, რომლითაც ფონ დერ ლაიენი ერდოღანს აკრიტიკებს, მიუთითებს, რომ მას ძველი წყენა არ დავიწყებია, მით უმეტეს — ერდოღანს, რომელიც არასდროს არაფერს ივიწყებს და არავის არაფერს მიუტევებს. აქედან გამომდინარეობს სკამების კაზუსიც: სულთანმა დემონსტრაციულად მიუთითა ევროკომისიის მეთაურს (და მასთან ერთად ბევრ თურქ ქალს, რომლებსაც არ მოსწონთ ერდოღანის პროპაგანდა), რომ მისი ადგილი მეორე რიგშია, ამასთანავე, ისლამისტების მსოფლმხედველობიდანაც არ გადაუხვევია**





ის სიმწვავე, რომლითაც ფონ დერ ლაიენი ერდოღანს აკრიტიკებს, მიუთითებს, რომ მას ძველი წყენა არ დავიწყებია; მით უმეტეს — ერდოღანს, რომელიც არასდროს არაფერს ივიწყებს და არავის არაფერს მიუტევებს. აქედან გამომდინარეობს სკამების კაზუსიც: სულთანმა დემონსტრაციულად მიუთითა ევროკომისიის მეთაურს (და მასთან ერთად ბევრ თურქ ქალს, რომლებსაც არ მოსწონთ ერდოღანის პროპაგანდა), რომ მისი ადგილი მეორე რიგშია, ამასთანავე, ისლამისტების მსოფლმხედველობიდანაც არ გადაუხვევია, მაგრამ **მთავარი საკითხი ამ ვითარებაში არის არა ის, რატომ მოიქცა ერდოღანი ასე, არამედ ის, რა მოხდება ამის შემდეგ.** პასუხი მარტივია — არც არაფერი. და ეს იცის ერდოღანმა, რომლის ხელშიც ევროკავშირზე ზემოქმედების ძლიერი ბერკეტია — თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილთა ბანაკები, რის გამოც ევროკავშირი ფულს იხდის. თუ თურქეთი გადაწყვეტს მისთვის საზღვრების გახსნას, ევროკავშირი უმწვავეს მიგრაციულ კრიზისს მიიღებს, რაც, ადრინდელი კრიზისების გათვალისწინებით, ძალიან არ სურთ ბრიუსელსა და ბერლინს, მით უმეტეს, რომ ეს კიდევ უფრო გაზრდის ევროსკეპტიკოსების რაოდენობას. **ეს ვითარება სულთან-პრეზიდენტს კიდევ უფრო მეტ სივრცეს აძლევს, ითამაშოს ჯარიმის ზღვარზე და დაამციროს ის, ვინც აწყენინა, და ისიც, რასაკვირველია, ასე განაგრძობს ასე მოქმედებას.** ევროპელი ექსპერტების აზრით, ერდოღანს თავს გაუვიდა და მისგან ყოველწლიურად ახალი სიურპრიზებია მოსალოდნელი, მაგრამ არავინ ჩანს, ვინც მას გონზე მოიყვანს.

**რა სკამი, რის ურსულა, მას მთიან ყარაბაღში ომის გაჩაღების გამოც არავინ მოსთხოვა პასუხი.**

regnum.ru- სა და vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა

**გიორგი გაჩეჩილაძე**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ — ბრძანებს წმ. ილია მართალი. ჩვენ, ჩვენ რანი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას, როცა სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი უამრავი შეცდომაა და დარღვეულია ქართული ენის სალიტერატურო ნორმები?

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# 14 აპრილი დედაენის დღეა

## «ენაი ესე შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა»

1990 წლიდან 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. ეს ჩვენი ერის წმიდათაწმიდა დღესასწაულია, რადგან „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. უფალი თითქოს გვაფრთხილებს დიდი ილიას პირით: „ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო“, მაგრამ მრავალგანსაცდელგამოვლილ ენას, სამწუხაროდ, დღეს სათანადოდ არ ვუფრთხილდებით; მაშინ, როცა „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ — ბრძანებს წმ. ილია მართალი.

ჩვენ, ჩვენ რანი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას, როცა სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი უამრავი შეცდომაა და დარღვეულია ქართული ენის სალიტერატურო ნორმები? ამაზე სხვა დროს გავაგრძელოთ საუბარი კონკრეტული მაგალითებით, ამჯერად კი იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ გავიხსენოთ, რომელშიც ნათქვამია, რომ **ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე, როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე „რომელი უყვარდა იესოს“ და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი.**

ცნობილია, რომ იოანე ზოსიმე X საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. X საუკუნიდან კი იწყება ქართული ენისა და ლიტერატურის, ერის სულიერი ცხოვრების, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება, იწყება საქართველოს გაერთიანება. ზვიად გამსახურდიას აზრით, „აი, ეს არის აღდგომა ქართული მოდგმისა, რომელიც „ქებაის“ ავტორს წარმოუდგენია მეორედ მოსვლის წინა პერიოდში“.

გავიხსენოთ პირველივე წინადადება: **„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.**

ამის თაობაზე ბატონი ზვიად გამსახურდია აღნიშნავს: „ამ სიტყვებს და, კერძოდ, სიტყვა „ენას“ იგებენ მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მნიშვნელობით. სინამდვილეში საკმარისია, ღრმად ჩავუკვირდეთ წინადადების შინაარსს და ნათელი გახდება ამგვარი ინტარპრეტაციის ცალმხრივობა, ვინაიდან „ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას, მოდგმას.

**...იოანეს აპოკალიპსისში ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ერი, ყოველი ქვეყანა როდი მიაღწევს უფლის მეორედ მოსვლამდე.** მაგალითად, ღვთის რისხვის მეშვიდე ლანკნის დანთხევისას *(გამოცხ. 16, 17)*, რომელიც მეორედ მოსვლასა და მკვდართა აღდგომაზე გაცილებით ადრე ხდება, აღწერილია ბაბილონისა და სხვა წარმართთა და ენათა (ერთა) განადგურება. ბაბილონი იქ სიმბოლურ-კრებითი სახეა ყველა იმპერიისა, რომელზედაც შეგვიძლია ვთქვათ აპოკალიპსისისა და „ქებაი“ გაგებით, რომ ეს „ენა“ არ არის დამარხულ დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა: „დაეცა ბაბილონი დიდი და იქმნა სამკვიდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისავე სულისა არაწმიდისა და საყოფელ ყოვლისა მფრინველისა არაწმიდისა და მოძულებულისა“ *(გამოცხ. 18. 2)*. ეს ყოველივე კი მოხდა მეორედ მოსვლაზე ადრე.

ასე რომ, **იოანე-ზოსიმე წინასწარმეტყველებს: ქართველი ეროვნება, ქართული მოდგმა მიაღწევს მეორედ მოსვლამდე.** მხოლოდ ენის მიღწევას კი არ დასჭირდებოდა არავითარი წინასწარმეტყველება.

აპოკალიპსისის ფინალში ჩვენ ვხედავთ, რომ ერები, ანუ ენანი ორად არიან განყოფილნი. ერთნი არიან ვითარცა წყალნი, რომელზედაც დგას ბაბილონი, ე. ი. წარმოადგენენ ბაბილონის იმპერიის დასაყრდენს: „წყალნი იგი რომელ იხილენ, ერნი არიან და წარმართნი და ენანი“ *(გამოცხ. 17. 15)*. ისინი დაინთქმიან ქვესკნელში ბაბილონთან ერთად. ხოლო მეორენი იშვებენ ცათა შინა, კრავის ქორწილზე: „შემდგომად მესმა, ვითარცა ხმაი დიდი ერისა მრავლისაი ცათა შინა, რომელნი იტყოდეს: ალელუია, მაცხოვრებაი და ძალი და დიდებაი ღმრთისა ჩუენისაი“ *(გამოცხ. 19. 1)*. ვინ არის ამ დროს იგი, ვინც სწამებს იესოსათვის? ამის პასუხად ანგელოზი ეუბნება იოანეს: „და დავვარდი წინაშე ფერხთა მისთა თაყვანისცემად მისა, და მრქუა მე: „იხილე ნუ, შენ თანა მონაი ვარ მე და ძმათა შენთა, რომელთა აქუს წამებაი იესოისი; ღმერთსა თაყუანის ეც, რამეთუ წამებაი იესოსი არს სული იგი წინასწარმეტყველებისაი“ *(გამოცხ. 19. 10)*.

ესე იგი, **ისინი, ვინც სწამებენ იესოსათვის, არიან ძმანი იოანე მოციქულისა, რომელიც სწამებს აგრეთვე მათთან ერთად და მათაც აქვთ სული წინასწარმეტყველებისაი, ანუ სულიწმიდა. აი, როგორ ჭვრეტს იოანე-ზოსიმე ქართული მოდგმის მომავალს, რომელიც „დამარხულ არს საწამებლად მისა“:** მას ექნება სული წინასწარმეტყველებისაი, სულიწმიდა, ისევე როგორც იოანეს და მის ძმებს, ანუ მართალთ, რომელნიც იშვებენ კრავის ქორწილზე ღვთის სასუფეველში ისრაელის 12 მუხლის რჩეულებთან ერთად. თუმც ეჭვგარეშეა, რომ იოანე-ზოსიმე ამგვარ ქართველებში ჭეშმარიტ ქრისტიან ქართველებს გულისხმობს, რომელთაც უნდა „სწამონ“ ქრისტესათვის. მხოლოდ ასეთნი შეიძლება გაუთანაბრდნენ აპოკალიპსურ „ძმებს“ იოანესას. იოანეს ეს ძმები, ამავე დროს, მამხილებელნი არიან ყველა ენათა და წარმართთა, რასაც აპოკალიპსისში სიმბოლური ზეციური თეთრტაიჭოსანი მხედრის სახით ვხედავთ: „და ვიხილენ ცანი განხუმულნი და აჰა ცხენი სპეტაკი და მჯდომარესა მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნოი და ჭეშმარიტი და სიმართლით სჯის და იბრძვის. და თუალნი მისნი იყვნეს, ვითარცა ალი ცეცხლისაი, და თავსა ზედა მისსა გვირგვინნი მრავალნი, რომელთა ზედა წერილ იყო სახელები და სახელი წერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა მან თავადმან. და ემოსა სამოსელი შელებული სისხლითა და წოდებულ არს სახელი მისი: სიტყუაი ღმრთისაი და მხედრობანი ცათანი შეუდგეს მას, მსხდომარენი ცხენთა ზედა სპეტაკთა, შემოსილნი ბისონითა სპეტაკითა და ბრწყინვალითა და პირისა მისისაგან გამოვიდოდა მახვილი ორპირი ალლესული, რაითა მით მოსრნეს წარმართნი და იგი ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაითა“ *(გამოცხ. 19. 11–15)*.

„ორპირი მახვილი ალლესული“ არის სიმბოლურად „მახვილი მხილებისა“, საღმრთო მხილება კაცობრიობის ცოდვათა, „რკინის კვერთხით მწყემსვა“ კი არის გასამართლება ცოდვილ წარმართთა (კვერთხი სიმართლის სიმბოლოა). აი, რომელ ესქატოლოგიურ სახეს უკავშირდება იოანე-ზოსიმესეული გაგება ქართული მოდგმის, ქართული ეთნოსის მომავალი მამხილებელი მისსიისა!

**...იოანე-ზოსიმეს ოთხი დღის მკვდარი ლაზარე მიჩნია ქართული ენის სიმბოლოდ, რომელიც არს „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული“.** თანაც იგი იქვე იმოწმებს დავით წმიდა წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობს: „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“.



ხატი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“
ხატმწერი: ირაკლი ცინცაძე

**...იოანე-ზოსიმეს გაგებით „ყოველი საიდუმლო“ ქართულ მოდგმაში და მის ენაში „დამარხულ არს“ ჯერ კიდევ იმ პრეისტორიული ხანიდან, როდესაც ქართული ენა იყო მოგვთა ენა, პირველადი მისტერიების ენა ღმერთებთან ურთიერთობისათვის შექმნილი. ამიტომაც არის შემონახული მისტერიების „ყოველი საიდუმლო“** ქართულ ენაში, ქართულ კულტურაში. **ამიტომ ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე „რომელი უყვარდა იესოს“ და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი, იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი.**

...როდესაც ქვეყნად მოვიდა იესო ქრისტე, დადგა ქრისტიანული ერა. აღორძინების სტიმული მიეცათ რასებს, ერებს, ადამიანებს. ყოველივე დამდაბლებულისა და დაწუნებულის აღდგომისა და ამაღლების საწინდარი გახდა ქრისტეს იმპულსი. იოანე ნათლისმცემლის სიტყვისამებრ: „ყოველი ხევნები ამოივსოს და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდნენ“ *(ლუკა IV. 5)*. ყველაზე მეტად დამდაბლებულ და დაწუნებულ ქართულ მოდგმას, ქართულ ენას მიეცა სტიმული აღდგომისა ლაზარეს მსგავსად. **ისევე, როგორც ჯვართან მდგარ ლაზარე-იოანეს ჯვარცმულმა მაცხოვარმა ანიშნა ღვთისმშობელზე და უთხრა: „აჰა, დედაი შენი“, ხოლო ღვთისმშობელს უთხრა: „აჰა ძე შენი“ *(იოანე 19. 26-27)*,**

ასევე გახდა საქართველო, იბერია, ღვთისმშობლის წილხვდომილი აღდგომიდან მეერგასისე დღეს, მარტვილიას. ასე რომ, ლაზარე-იოანე და საქართველო თითქმის ერთდროულად იშვილა ღვთისმშობელმა მაცხოვრის ნებისამებრ. აი კიდევ რატომ ჰქვია ქართულ ენას ლაზარე სახარებასა შინა!

**... „და ენაი ესე შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა“ კურთხეულია ჯერ კიდევ ბიბლიაში, დაბადების წიგნში, სადაც შექებულია სემისა და იაფეტის კეთილშობილება, მშობლის პატივისცემა, რომელთაც დაფარეს თავიანთი ნასმურევი მამის, ნოეს სირცხვილი, რისთვისაც შეჩვენებულია ქამის მოდგმა, ქანაანი** *(დაბად. 9. 32, 33)*.

**...რომელი მოდგმის ხალხები უნდა ჩაითვალონ წამყვანად ქრისტიანობის განვითარებაში?**

**იოანე-ზოსიმეს კონცეფციით, ეს ხალხებია ქართველური და ინდოევროპული (ბერძნული) მოდგმის ხალხები, ვინაიდან სემიტურმა ხალხებმა პირველ საუკუნეშივე შეასრულეს თავიანთი როლი ქრისტიანობის აღმოცენებასა და დაფუძნებაში, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში მათი მისსია აღარ გაგრძელებულა ამ მიმართულებით. ქართველური მოდგმის ხალხებმა კი იტვირთეს ძირითადი როლი როგორც ეგზოტერული, ასევე ეზოტერული ქრისტიანობის, როგორც თეოლოგიის, ისე თეოსოფიის განვითარებაში.** აღმოსავლეთის ეკლესიის უდიდესი ბურჯები: წმ. გიორგი კაპადოკიელი, წმ. ნიკოლოზ მირონ-ლუკიელი (ლიკიელი); კაპადოკიელი მამები: ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და მრავალნი სხვანი იაფეტური, ქართველური მოდგმისანი იყვნენ. ხსენებული მამების ბერძნულენოვნება კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს ქართული ენის „დამდაბლება-დაწუნებაზე“ იმ ეპოქაში. ქრისტიანული თეოლოგიისა და თეოსოფიის უდიდესი ბურჯი იყო პეტრე იბერი, არეოპაგიტული ტრაქტატების ავტორი. ეს ტრაქტატები საფუძვლად დაედო როგორც აღმოსავლეთის, ისევე დასავლეთის ეკლესიების ღვთისმეტყველებას, მისტიკას, აგრეთვე ეზოტერულ ქრისტიანობას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მისიონერული მოღვაწეობაც კაპადოკიელ და ქართველ ქრისტიანებს უფრო ახასიათებთ, ვიდრე ბერძნებს.

**...იოანეს სახარებამ და აპოკალიპსისმა იგავურად გამოაცხადა, ხოლო იოანე იოანე-ზოსიმემ განმარტა, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა შემკულია და კურთხეული სახელითა უფლისაითა, ლაზარე ერთა და ენათა შორის, ოთხი დღის (4 ათასი წლის) მკვდარი, დამდაბლებული და დაწუნებული, რომელმაც უნდა აღასრულოს ქრისტესათვის არნახული მოწამეობა, მომავალში აღდგება, დაიბრუნებს უნივერსალურ პოზიციას კაცობრიობის სულიერი მოძღვრისას, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლისას გახდება მამხილებელი (მსაჯული) ცოდვილი კაცობრიობისა, რითაც აღასრულებს ქრისტე-მიქაელის და სულიწმიდა-გაბრიელის მისსიას, რასაც სიმბოლურად ასახავს დავითის VI ს. სტელლებზე გამოსახული მიქაელისა და გაბრიელის მიერ ქართული ანბანის ამაღლება-განდიდება.**

«ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე «რომელი უყვარდა იესოს» და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი, იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი»

„ღვთის ნებით, ქართული ენა მკვდრეთით აღდგენილ წმინდა ლაზარესთან არის გაიგივებული, ხოლო მის ჭირისუფლად შერაცხულია მთელი ქართველი ერი, რომელიც ვალდებულია, დღენიადაგ უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს მისთვის, ვითარცა მართალი იოსები იფარავდა მტერთაგან ჩვილ ყრმას, მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს“.

მწვანე სიმართლე
ერთიანი გეოგრაფიული საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის – ილია II-ის ქადაგებებიდან:

* „ქართული ენა — ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი“.

* „ჩვენ ვართ იმ მიწა-წყლის შვილები, სადაც ინახება მთელი ქრისტიანობის სანუკვარი სიწმინდე — კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც დაინთხა სისხლი მრავალი ათასი მოწამისა, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად დღემდე შემოგვინახეს ჩვენი ენა და რწმენა“.

* „ჩვენი ერი ჯვარცმული ერია. ჩვენი ქვეყანა აერთებს ევროპასა და აზიას. ბევრს სურდა ჩვენი დაპყრობა, მოსპობა, მაგრამ მტერმა ვერ წაგვართვა ის, რაც ყველაფერზე ძვირფასია — სული. ვერ წაგვართვა ნიჭი, ვერ წაგვართვა ჩვენი ქართული ენა... დღეს ზეციური და მიწიერი საქართველო ერთითა პირითა და ერთითა გულით მადლობას სწირავს შემოქმედს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა ჟამთა სიავის ორომტრიალში, რომელმაც შეგვინარჩუნა რწმენა, ტკბილი ენა და კულტურა“.

* „საოცარი და ენით უთქმელი წყალობაა — მაშინ, როცა მთელი ქვეყნიერება სარწმუნოებას დაკარგავს, საქართველო, როგორც ეს ღვთისმშობელმა ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ბერს, გაბრიელს, აუწყა, გაბრწყინდება. ჩვენი ერის მიმართ უფლის განსაკუთრებულ წყალობაზე მრავალი ნიშანი მეტყველებს: მაცხოვრის კვართის ჩამობრძანება, ღვთისმშობლის წილხვდომილობა და სხვა. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ იოანე-ზოსიმეს სიტყვები — მეორედ მოსვლის ჟამს კაცობრიობა ქართულითა ენითა განისჯება. ეს იქნება, ალბათ, ჯილდო იმისათვის, რომ საქართველო, თვით უკანასკნელ ჟამსაც კი, შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და სიყვარულს“.

* „განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო. ჩვენ სისხლით და ხორცით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმინდა მიწაში. ნუ დაივიწყებთ, ვინ ხართ, სადაურნი ხართ, გახსოვდეთ ღვთისაგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხი ქართული ტრადიციები“.

* „ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმინდა ილია მართალი, სამი მძლავრი ფესვი ასაზრდოებს: საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული. მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან, თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ ჭეშმარიტებისა, გადამრჩენელ ბილიკს ვერასდროს მივაგნებთ“.

* „ჩვენი მხნე, სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილით აღვსილი ხალხი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ, უნიკალურ ენას. ამ ენაზე შეიქმნა უძველესი ჩვენი მწერლობა, ამ ენაზე დაიწერა „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“, მთელ მსოფლიოში უსაჩინოესი „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი სხვა. ამ ენაზე მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ეს ენა ჟღერდა სინას მთაზე, წმინდა ათონზე და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ ენაზე ქმნიან თავიანთ შრომებს ჩვენი ბრძენი მეცნიერები ჩვენს სახელოვან მეცნიერებათა აკადემიაში და ჩვენს კურთხეულ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში. ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“ (გრიგოლ ორბელიანი), ამიტომ უყვართ თავისი ენა საქართველოს გულკეთილ შვილებს“.

* „ჯერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცეს“.

* „რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა, თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრებისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები ილებდნენ სულიერ ძალებს — ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა ენა, რომლის შესახებ ღირსმა მამამ, იოანე ზოსიმემ, თქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

* „არის ღირებულებანი, რომელნიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნება და ყალიბდება და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებელი სარწმუნოება, მოციქულთაგან ბოძებული; მუსიკა, ყველას რომ აღაფრთოვანებს; ჩვენი ენა და მწერლობა, იდუმალებით სავსე და დიდებული; გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა; ჩვენი მშვენიერი წეს-ჩვეულებანი. აღმოსავლეთის ან დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება მათ? სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ“.



**«ქართული ენა — ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი»**




* „სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის მეცადინეობა ყოველი ჩვენგანის ვალია, რათა „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის, წმიდით საყდარით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათებული!“ ეს ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, როგორც სულიერს, ისე მატერიალურს, პირველ ყოვლისა, ეს ეხება ქართულ ენას.

ძველქართული პოეზიის ბრწყინვალე ძეგლის, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“, ავტორი, ღირსი მამა იოანე ზოსიმე ამბობს: **„და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“.**

წმინდა ოთხთავის მიხედვით, ლაზარე მეგობარი იყო ქრისტესი. იგი მკვდრეთით აღადგინა მაცხოვარმა, ხოლო მის დებს, როგორც ძმის ჭირისუფლებს, სამარადისო ცხოვრება აღუთქვა. აზრი ნათელია, **ღვთის ნებით, ქართული ენა მკვდრეთით აღდგენილ წმინდა ლაზარესთან არის გაიგივებული, ხოლო მას ჭირისუფლად შერაცხულია მთელი ქართველი ერი, რომელიც ვალდებულია დღენიადაგ უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს მისთვის, ვითარცა მართალი იოსები იფარავდა მტერთაგან ჩვილ ყრმას, მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს.**

მადლობა უფალს, ჩვენს კურთხეულ მიწა-წყალზე წინაპართა ნაკვალევი სანთლით საძებარი არა გვაქვს. მიწიერი საქართველოს მთა და ბარიდან 15 ათასზე მეტი ისტორიული ძეგლი შელაღადებს ზეციურ საქართველოს!.. ყოველი მათგანის მდიდარ ისტორიას მხოლოდ ძუნწი წარწერა გვამცნობს. დგას ქართველი კაცი დიდებული ქართული ტაძრის წინაშე და რაოდენ სავალალოა, რომ მასზე ამოტვიფრულ წარწერას ვერ კითხულობს... გვახსოვდეს, რომ ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დამწერლობის ხმარებიდან განდევნით ჩვენივე ნებით ვაშენებთ ყრუ კედელს წარსულსა და მომავალს შორის. თანამედროვე ქართველი კაცისთვის თანდათან უცხო და გაუგებარი ხდება უძველესი ქართული გამოცემები, თუმცაღა ისინი იმავე ღვთიური მადლით გასხივოსნებული, დინჯი და დარბაისლური ქართულით გვიამბობენ ერის გარდასული ცხოვრების ჭირსა და ლხინებას. ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენს დიდ წინაპრებს მთელი სიღრმით შეუცვნიათ მშობლიური ენის საღვთისმეტყველო ბუნება და რელიგიური ძალისხმევა: „დამარხულ არს ენა? ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რა?თა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა“. ღვთის შთაგონებით ასეთი განუზომელი მისია დააკისრეს ქართულ ენას ქრისტიანობის შესანიშნავმა აპოლოგეტებმა, რაიც ავალებს ყოველ ქართველს უძველეს ანბანთა — ასომთავრულისა და ნუსხურის ცოდნას... ყოველმა საშუალოსკოლადამთავრებულმა უნდა იცოდეს ასომთავრული და ნუსხა-ხუცური წერა-კითხვა. ამ საშვილიშვილო საქმეში დაუფასებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ ძველი ქართული ენის მასწავლებლებს.

დღეს წმინდა ეკლესია ერთადერთი სავანეა, სადაც მოკრძალებით შეფარებულია და ყოველდღიურად იკითხება ძველქართული დამწერლობა, რამეთუ ყველა საეკლესიო წიგნი ხუცურადაა დაბეჭდილი...

ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა. არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ანამ, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ“.

„ესა თუ ის ხალხი საუკუნეთა მანძილზე აყალიბებს თავის კულტურას, ენას ხასიათს; ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის... დონე მისი გენიის მაჩვენებელია. მაგრამ ერის სულის ყველაზე ნათელი გამოხატულება მაინც ენაა. იგია იდუმალი და აუხსნელი საუნჯე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება.

ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო... გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ქართული ენის უჩვეულო სილამაზეს იმთავითვე გრძნობდნენ ჩვენი მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი უძღვნეს შესამკობად. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქება? და დიდება? ქართულისა ენისა?“; ნუ დავივიწყებთ, რომ ენას — ღვთიბოძებულს ამ საგანძურს სასოებით დაცვა და გაფრთხილება უნდა, როგორც ერთ-ერთ საწინდარს ჩვენი ბედნიერებისას.

ღვთივკურთხეულნო ივერნო, ძენო და ასულნო უფლისანო, დადგა ჟამი დალოცვისა; დაგბედებოდეთ ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცე, ენის სიწმინდე, სულის სინათლე, მრავალშვილიანობა, უხვი და ბარაქა. მშვიდობა სუფევდეს თქვენს გულში, ოჯახსა და სამშობლოში... ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გადაგაფაროთ დედობრივი კალთა, დაგიცვათ და დაგიფაროთ“.

**„არის ღირებულებანი, რომელნიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნება და ყალიბდება და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებელი სარწმუნოება, მოციქულთაგან ბოძებული; მუსიკა, ყველას რომ აღაფრთოვანებს; ჩვენი ენა და მწერლობა, იდუმალებით სავსე და დიდებული; გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა; ჩვენი მშვენიერი წეს-ჩვეულებანი. აღმოსავლეთის ან დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება მათ? სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ“**

## კოსმონავტიკის დღე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იყო დრო, როცა ქართველი მეცნიერები, ინჟინრები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ექიმები აქტიურად იყვნენ ჩართული კოსმოსის ათვისების საქმეში — არა მასობრივად, ცხადია. კორიფეების დონეზე.**

# სამწუხაროა, რომ იური გაგარინის სურვილს ახდენა არ უწერია

**12 აპრილს საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ეკიპაჟმა დედამიწელებს მოგვილოცა კოსმოსში პირველი ადამიანის გაფრენის 60 წელი. იური გაგარინმა პირველმა შეაღო კოსმოსის კარი კაცობრიობის სასიკეთოდ. ორბიტაზე მან 108 წუთი დაჰყო და დროის ეს მონაკვეთი სამარადისოდ ჩაიწერა ჩვენი პლანეტის ისტორიაში.**

12 აპრილს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საზეიმოდ აღნიშნეს ადამიანის გონების ეს ტრიუმფი.

გარდა საქართველოსი.

მიზეზი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ როდიდან გახდა პოლიტიკა მეცნიერული მიღწევების ორიენტირი და მიღწევების მამოძრავებელი ძალა?!

რაღაც ისე აირია დღევანდელ მსოფლიოში (ჩვენთანაც — საქართველოში), დანიის სამეფოში რომც ვერ წარმოიდგენდნენ...

**ეკიპაჟის წევრების მისალმება კოსმოსიდან გადმოგვცა კოსმონავტ-მა გამომცდელმა პეტრე დუბოვმა:**

„მეგობრებო, ამ საზეიმო და საიუბილეო დღეს მივესალმებით და მივულოცავთ ყველას, ვინც თავისი ცხოვრება სამყაროს შესწავლას მიუძღვნა, მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველას, ვინც მუშაობდა და განაგრძობს საქმიანობას კაცობრიობის მიერ კოსმოსის უფრო და უფრო სიღრმისეულად ათვისების მიმართულებით".

ამ დღეს მიეძღვნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც მოსკოვში გაიმართა; მათ შორის — ტრადიციული, გრანდიოზული კონცერტი და ამ „კოსმიურ ღონისძიებაში" ჩვენი თამარ გვერდწითელიც მონაწილეობდა.

იყო დრო, როცა ქართველი მეცნიერები, ინჟინრები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ექიმები აქტიურად იყვნენ ჩართული კოსმოსის ათვისების საქმეში — არა მასობრივად, ცხადია. კორიფეების დონეზე.

გვყავდნენ ასეთები.

დღეს რა ხდება, ვერ გეტყვით, რადგან მაშინ შეგვეძლო, ქართველ ჟურნალისტებს დავკავშირებოდით (და დავმეგობრებოდით) კოსმონავტების პირველი ლეგენდარული კოჰორტის წევრებს.

ყველა კარი ღია იყო ჩვენთვის. მათაც ეხალისებოდათ ჩვენთან ურთიერთობა, ჩვენთან და რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი იყო **რესან კონცელიძე,** შემდგომში თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე.

განსაკუთრებით დაგვიახლოვდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი **ნიკოლაი რუკავიშნიკოვი,** რომელიც ყველგან, ყველასთან და ყველა დონეზე ამბობდა, რომ საქართველოში ჰყავდა ორი მეგობარი — რესან კონცელიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ეამაყებოდა.

**ბატონი რესანი ჟურნალისტებს მაინცდამაინც არ გვწყალობს, მაგრამ ამჯერად დამთანხმდა ბლიცინტერვიუზე... რუკავიშნიკოვის ხათრით:**

— საოცრად გულწრფელი კაცი იყო, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, — იხსენებს ბატონი რესანი, — ბაკურიანიც ნახა, მცხეთაში წავიყვანეთ, ჯვარზე ავედით, ყაზბეგშიც. გაგიჟებული იყო კაცი. ასეთი სილამაზე და დიდებულება რომ არსებობდა, ვერც წარმომედგინაო. არ იყო ეს მასპინძლების გულის მოსაგებად ნათქვამი სიტყვები, გამიზნულად გათამაშებული სცენა.

ერთხელ ასეთი რამ მითხრა: „კოსმოსიდან ჩვენს პლანეტას რომ გადმოვხედე, ისეთი ლამაზი სივრცე დავინახე, ისეთი ღვთაებრიობა, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. ახლა ვხვდები, რომ ამ ხიბლს საქართველო ანიჭებს ჩვენ მშობლიურ დედამიწას — დედასავით ულამაზესსა და განუმეორებელს".

**— ყველა კოსმონავტი, რომლებსაც ვიცნობდი, შინაგანად პოეტი იყო, მხატვრული სახეებით მოაზროვნე.**

— დაგემოწმები, რომ მართალს ამბობ. მაგრამ ეს ერთი მხარეა. ნიკოლაი რუკავიშნიკოვი რეალისტიც იყო ამასთანავე, რადგან ზუსტად აფასებდა ადამიანებს მიწიერი სამოთხის დროებითობასა და წარმავლობას. დედამიწას რომ ვუყურებდი, ამაში დავრწმუნდიო. ქარიშხალს, ცუნამის, ქარბორბალას, ვულკანის ამოფრქვევას და სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებს თვალის დახამხამებაში შეიძლება შეეწიროს ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე. ხელის გულზე დადებულივით ჩანს ეს ყველაფერი კოსმოსიდან, თანაც მუსონების პერიოდში, რომელსაც ერთ-ერთი ჩვენი გაფრენა დაემთხვა.

ე.ი., არ არის ადამიანის კოსმოსში გაშვება რიგითი ექსპერიმენტი, მეცნიერების ორდინარული მიღწევა. ბუნების ძალებთან თანაზიარებაა და თვისობრივად ახალი ეტაპი, განუმეორებელი.

ამასაც ამბობდა ნიკოლაი რუკავიშნიკოვი და იური გაგარინი ჭეშმარიტ გმირად მიაჩნდა. კოსმონავტის კოსმოსური ოდისეა არ არის, ჩაგსვეს რაკეტაში, გაგაფრინეს, კოსმოსურ სადგურში გამოიძინე და უკან დაგაბრუნეს. უმნიშვნელოვანესი საქმეა და მასშტაბური ექსპერიმენტი: ამასთან ერთად, არა მარტო შენ აკვირდები, აანალიზებ, ასრულებ დავალებას, არამედ თვითონ ხარ დაკვირვების საგანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და მოაზროვნე არსება.

ვერ დაითვლიდი, იმდენი „დატჩიკი" მქონდა გაკეთებული და იმდენი ტესტი უნდა გამეარა. ამაყობდა, რომ ამას თავი გაართვა.

**— ქართული სუფრა ხომ არ მობეზრდა ჩვენს მეგობარს?**

— სულ ორჯერ გავშალეთ სუფრა, მაგრამ ისეთი ბიჭები იყვნენ, ისეთ სიმღერებს ამბობდნენ, ისე გალობდნენ, რომ, მობეზრდა კი არა, აღრფოთვანებას ვერ მალავდა.

ერთხელ საჭაშნიკეში მივიწვიეთ, ბარათაშვილზე. რჩეული ბიჭები იყვნენ ჩვენი მეინახენი: **შოთიკო ჭუბაბრია** (არაჩვეულებრივად უკრავდა გიტარაზე), **ოთარ შარაბიძე, ლერი გამრეკლიძე, თამაზ დალაქიშვილი, ლევან ჯაფარიძე** — ყველანი ან პროფესორები, ან წარმოების ხელმძღვანელები, ან არქიტექტორი, ან მასწავლებელი და ქართული მრავალხმიანი გალობის დიდოსტატები. მათ შესრულებულ რუსულ სიმღერებზე გაგიჟდა რუკავიშნიკოვი: Мы не умеем, так хорошо, как вы поете!

**ვოლკოვიც** იყო ჩამოსული, **სლავა.** საბჭოთა კავშირის გმირი. დაიწვა. არნახული ბიჭი, სასწაული! მახსენდება მისი ერთი წინადადება, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა. შევეკითხე, აპირებ თუ არა კოსმოსში მესამედ გაფრენასმეთქი. მიპასუხა:

— არ მინდა, მაგრამ დაგანებებენ თავს?

დაიღუპა!

* * *

არნახული თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ პირველი რაზმის კოსმონავტები. თბილისში ჩამოსული ნიკოლაი რუკავიშნიკოვი, წესისამებრ, თავდაპირველად პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მივიყვანეთ. ცხადია, მოეწონა. იმდროინდელი სასახლე მართლაც ბრილიანტის თვალივით ბრწყინავდა კავშირის მასშტაბით. გაიხარეს ბავშვებმა — **რუკავიშნიკოვი პირველი კოსმონავტი იყო, რომელიც მათ ეწვია. სასახლის სასწავლო პლანეტარიუმისთვის მისი სახელის მინიჭების ნებართვა სთხოვეს.**

ძალიან ეუხერხულა. დიდი მადლობა უთხრა პატარა ასტრონომებს, მაგრამ ისე, რომ, ჯერ ერთი, არ სწყენოდათ ინიციატორებს; მეორეც, გასაგები და მისაღები ყოფილიყო მათთვის:

— ძალიან გაგიჭირდებათ თქვენც და თქვენი პლანეტარიუმის სტუმრებს ჩემი გვარის წარმოთქმა: „რუკავიშნიკოვის სახელობის პლანეტარიუმი". გაუგეს. დათანხმდნენ. რუკავიშნიკოვმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

* * *

**1965 წლის გვიან შემოდგომაზე მოსკოვში, სასტუმრო „იუნოსტში" პოლიტექნიკური ინსტიტუტების შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული სტუდენტების საკავშირო შეკრება გაიმართა. მაშინ პირველად ვნახე იური გაგარინი, ბლიცინტერვიუ ჩამოვართვი, სურათიც გადავიღეთ ქართველ სტუდენტებთან ერთად. ეს ფაქტი ქართულ პრესაში რამდენჯერმე აღინიშნა. შარშანაც კი.**

გამეორებით თავს არ შევაწყენ ჩვენს მკითხველებს. აი, გაგარინის მისალმებას ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისადმი სიამოვნებით გავიმეორებ:

„გულწრფელად მივესალმები საქართველოს ახალგაზრდობას და ვუსურვებ წარმატებებს სწავლასა და შემოქმედებაში. კოსმოსში მომავალ შეხვედრამდე. თქვენი იური გაგარინი".

სამწუხაროა, რომ ამ სურვილს ახდენა არ უწერია.

**არმაზ სანებლიძე**



იური გაგარინი






პირველი კოსმონავტების რაზმი



ნიკოლაი რუკავიშნიკოვი



ვლადისლავ ვოლკოვი

**პრეზიდენტი კარგად უნდა დაფიქრდეს, რა შედეგს მოიტანს მისი ინიციატივა — იგი უფრო გააღრმავებს ნაპრალს ქართველი საზოგადოების შიგნით, დაძაბავს ვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სამეზობლოში.**

SOS

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# პრეზიდენტ ზურაბიშვილის სახიფათო ინიციატივა

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავის ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე შემდეგი შინაარსის ინიციატივა გამოაქვეყნა: „შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ასწლიან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ერთიანი მემორიალი ვაკის პარკში, რომლის რეაბილიტაცია დღეს მიმდინარეობს“.**

**ვაკის პარკში (უწინ — გამარჯვების პარკი) მშვენივრად არის ინტეგრირებული უცნობი ჯარისკაცის მონუმენტი. ეს არის ერთადერთი ძეგლი თბილისში, რომელიც ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას ასახავს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ფაშიზმისგან სამშობლოსა და მსოფლიოს გადასარჩენად. არასგზის არ შეიძლება ამ თემით მანიპულირება და მისი დაკავშირება ვითომ «ასწლიან ომთან»**

ვფიქრობთ, პრეზიდენტის ინიციატივას საერთო არაფერი აქვს საქართველოს დამოუკიდებლობა-ერთიანობისთვის დალუპულთა ხსოვნასთან. პრეზიდენტის ინიციატივა აშკარად გარედან არის შემოგდებული და პროვოკაციულ ხასიათს ატარებს.

დედაქალაქში, გმირთა მოედანზე, არის შესაბამისი მონუმენტი — მართალია, ბევრის აზრით, ესთეტიკურად უშნო და ნაკლებ ფასეული, მაგრამ მაინც არის. **ვაკის პარკში (უწინ — გამარჯვების პარკი) მშვენივრად არის ინტეგრირებული უცნობი ჯარისკაცის მონუმენტი** (თუკი არ ჩავთვლით 1991 წელს ჩადენილ „პატრიოტულ აქტს“, როდესაც მონუმენტიდან რამდენიმე ფიგურისა და წარწერების დემონტაჟი მოხდა). **ეს არის ერთადერთი ძეგლი თბილისში, რომელიც ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას ასახავს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ფაშიზმისგან სამშობლოსა და მსოფლიოს გადასარჩენად.** არასგზის არ შეიძლება ამ თემით მანიპულირება და მისი დაკავშირება ვითომ „ასწლიან ომთან“.

მადლობა ღმერთს, ბოლო ასი წლის განმავლობაში საქართველომ არა მხოლოდ ომები გადაიტანა, არამედ მეტწილად მშვიდობიანად და ეკონომიკურად კარგად ცხოვრობდა, ბოლო 30 წელიწადს თუ არ ჩავთვლით. პრეზიდენტი კარგად უნდა დაფიქრდეს, რა შედეგს მოიტანს მისი ინიციატივა — იგი უფრო გააღრმავებს ნაპრალს ქართველი საზოგადოების შიგნით, დაძაბავს ვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სამეზობლოში.

**პორტალ „დიდი სამამულოს“ რედაქცია,**
**მოძრაობა „საქართველოს უკვდავი ჯარი“**

didisamamulo.ge

# სიმართლე «ლენდ-ლიზის» შესახებ — ვის და რატომ ეხმარებოდა ამერიკა



**ამერიკული პროპაგანდა დღემდე ჩაგვჩიჩინებს, რომ საბჭოთა კავშირმა ნაცისტურ გერმანიას მხოლოდ ამერიკული დახმარებით, „ლენდ-ლიზის“ პროგრამის საშუალებით, გაუძლო. ამ პროპაგანდას აყოლილი საზოგადოების ნაწილს არ აწყენდა ზოგიერთი ელემენტარული ფაქტის ცოდნა.**

დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირისთვის დახმარების პროგრამა თვითონ შეერთებული შტატების ინტერესებში შედიოდა, ვინაიდან მისი მთავარი მოკავშირის, დიდი ბრიტანეთის, ბედი სწორედ გერმანია-სსრკ-ის ომში წყდებოდა. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის დღეს, 1941 წლის 22 ივნისს, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა რადიოს საშუალებით განაცხადა:

„საფრთხე, რომელიც რუსეთს ემუქრება, ჩვენც და შეერთებულ შტატებსაც გვემუქრება“, ამიტომაც ჩერჩილმა საჯარო პირობა დადო, რომ დიდი ბრიტანეთი „რუსეთს და რუს ხალხს ყველანაირად დაეხმარება“.

24 ივნისს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, **ფრანკლინ დელანო რუზველტმა,** გამოაცხადა საბჭოთა კავშირისთვის ამერიკის მხრიდან „ყველანაირი შესაძლო დახმარების“ შესახებ. ამ დახმარების მთავარი მიმღები არა საბჭოთა კავშირი, არამედ დიდი ბრიტანეთი გახლდათ. „ლენდ-ლიზის“ პროგრამით გამოყოფილი 46 მილიარდი დოლარიდან 1941-1945 წლებში ბრიტანეთის იმპერიას 30 269 მლნ დოლარი მოხმარდა, საბჭოთა კავშირს კი — 9 800 მლნ (დანარჩენი თანხა საფრანგეთზე, ჩინეთზე, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და სხვებზე გადანაწილდა).

ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა დაიწყეს საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაწევა და ომის მსვლელობისას მას მართლაც მიაწოდეს უამრავი დასახელების პროდუქცია, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხასიათის — ტექნიკა-შეიარაღება, საკვები პროდუქტები. ასე ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მოთავეობით. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ამ დახმარების წილი საბჭოეთის მთლიან წარმოებაში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიერ წარმოებული შეიარაღებების მიმართ ამერიკულ-ბრიტანული შეიარაღებები, ძირითად პოზიციებზე, 10%-ს შეადგენდა თვითმფრინავებზე, 12%-ს — ტანკებზე, 2%-ს — ქვემეხებზე. სამაგიეროდ, უფრო მაღალი წილი ჰქონდა „ლენდ-ლიზის“ დახმარებას საბჭოთა კავშირში წარმოებული კვების პროდუქტების მიმართ – ტონაჟის მიხედვით, 30%. რაც მთავარია, **ეს ყველაფერი არ იყო საჩუქარი. „ლენდ-ლიზი“ ნიშნავს სესხებას: LEND – „სესხად გაცემა“ და LEASE – „გაქირავება“, „არენდა“. ვალის დაბრუნება საბჭოთა კავშირის და შემდგომ უკვე რუსეთის მხრიდან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და 2006 წელს დასრულდა.** ასეა თუ ისე, „ლენდ-ლიზი“ ნამდვილად არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიერ ნაცისტური გერმანიისა და მისი მრავალრიცხოვანი ევროპელი მოკავშირეების დამარცხებაში. როგორც აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის უახლოესმა თანაშემწე **ჰარი ლოიდ ჰოპკინსმა** თავის დროზე აღნიშნა:

„ჩვენ არასოდეს მიგვაჩნდა, რომ „ლენდ-ლიზით“ გაწეული დახმარება მთავარი ფაქტორია აღმოსავლეთის ფრონტზე მოსკოვის მიერ ჰიტლერის დამარცხებაში. ეს მიღწეული იქნა რუსეთის არმიის გმირობითა და სისხლით“.

აღსანიშნავია, რომ 1941 წლის ჩათვლით, სანამ აშშ და გერმანია ერთმანეთთან ომის მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, გერმანული ინდუსტრია ქმედით დახმარებას იღებდა შეერთებული შტატებიდან. ყველაზე ცნობილი ამერიკული გიგანტი-კონცერნები – GM, Ford, IBM და Standard Oil აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანიის საომარ მზადებებში. „ფორდისა“ და „ოპელის“ თანამშრომლობა ნაცისტების ხელში ჩავარდნილი ტყვეებისა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეულთა შრომის გამოყენებაზე იყო აგებული, რომლებიც ვერმახტის სამტონიანი მუხლუხიანი მანქანებისა და საშუალო სიდიდის სატვირთო ავტომანქანების წარმოებაში იყვნენ ჩართულნი. ამერიკელ მეწარმეებს შესანიშნავი პიროვნული ურთიერთობები ჰქონდათ გერმანული „რაიხის“ ხელმძღვანელობასთან. **ჰენრი ფორდმა** და IBM-ის შეფმა **ტომ უოტსონმა** „მესამე რაიხისთვის“ გაწეული დამსახურებებისთვის გერმანული არწივის ორდენიც მიიღეს.

ეს არის ფაქტები, რომლებსაც გვერდს მხოლოდ საქართველოში უვლიან.

didisamamulo.ge

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ






**რვა წლის უკრაინელი მოდელი მილანა მარანეცი ახლახან სერიოზული სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა 13 წლის ტიკტოკერ ბიჭთან — პაშა პელისთან ურთიერთობის გამო. ამ პატარა გოგონამ ბრალი დასდო სოციალურ სამსახურებს, რომ ისინი საყვარელ ადამიანს ართმევენ. თავისი გულისტკივილი მან „ინსტაგრამში" გაამჟღავნა.**

ეს ლლაპი ბლოგერი აქტიურად ყვებოდა ინტერნეტში **ᲞᲐᲨᲐ ᲞᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ** რომანის ამბებს. გამოქვეყნებულ კადრებში ბავშვები დემონსტრაციულად „კოცნაობდნენ" კამერის წინ, ეხვეოდნენ ერთმანეთს და ერთ საწოლში იძინებდნენ. ამ ყველაფერს სოციალურ ქსელში აქვეყნებდნენ. სკანდალურ კონტენტს ყურადღება მიაქციეს ზრდასრულმა მომხმარებლებმა და იჩივლეს ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების გამო. შედეგად, მილანას შინ მიაკითხეს მეურვეობის ორგანოების წარმომადგენლებმა.

სექსუალური გადახრის მქონე ამ ბავშვმა განაცხადა, რომ პაშას მშობლებმა კატეგორიულად აუკრძალეს შეყვარებულთან ურთიერთობა, მაგრამ დროებით თუ საერთოდ, არ იცის. მას ისიც არ მოსწონს, რომ სოციალური სამსახურები შინაც არ ასვენებენ და აღშოთებულია არსებული სიტუაციით, როცა აღნიშნული სამსახურები „ხელს უშლიან, იცხოვროს ისე, როგორც სურს". „სად იყვნენ ეს სამსახურები მაშინ, როცა ხუთი წლის ვიყავი და დედასთან ერთად იატაკზე გვეძინა, რადგან საწოლის ყიდვის საშუალება არ გვქონდა? ადრე უნდა ეფიქრათ დახმარებაზე. საყვარელი ადამიანების ჩამოცილება დახმარება არ არის", — განაცხადა „სოცქსელების ვარსკვლავმა".

ამ განცხადებაში გოგონას დედის ხელი რომ ურევია, აშკარაა. მშობელმა სპეკულაციურად გამოიყენა ბავშვის პოპულარობის ფაქტი (მილანა და პაშა პოპულარულები გახდნენ საბავშვო ვიდეორგოლებში ერთობლივი მონაწილეობის წყალობით) და, როცა პატარების „რომანი" უხამსობაში გადაიზარდა, გადაწყვიტა, მერკანტილური მიზნებისთვის გამოეყენებინა.

სამართალდამცავებმა საქმე აღძრეს, დედა დაკითხვაზე დაიბარეს.





# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐᲛ ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲘᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ



**მენტალობის დარღვევა ნორმიდან თანდათან ნარკოდამოკიდებულებად ყალიბდება — ასეა დღევანდელ „განათლებულ" დასავლეთში. პედერასტიის ოჯახის განადგურების, ფემინისტი დედაკაცების, რასიზმის კვალზე პედოფილებმა მოგვიკაკუნეს კარზე, ლეგალიზაცია და „მორიგ უმცირესობად" თავიანთი აღიარება მოითხოვეს.**

ამ თავხედობას 10 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. ამერიკის ტელეარხ ABC-ზე გამოჩნდა ინსტრუქცია, რომელიც კრძალავს დანაშაულზე წასწრებულ პედოფილს ვუწოდოთ პედოფილი, რადგან „არაჰუმანურობად" ჩაგვითვლიან, რომლითაც დავაზიანებთ იმ ცხოველის „ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას", რომელიც აუპატიურებს ბავშვებს.

დღეს არავის უკვირს ნიუ იორკის სკოლა Grace Church School-ის მიერ მოსწავლეებისთვის გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც უკრძალავს ბავშვებს, წარმოთქვან სიტყვები: დედა, მამა, გოგონა, ბიჭი, ქალიშვილი, საყვარელი, ასევე — შავკანიანი და თეთრკანიანი.

არავის ზარავს გასაბერი კლიტორი პარიზის ცენტრში, ტროკადეროს მოედანზე. არავინ აღშფოთებულა იმის გამო, რომ აშშ-ში 8 მარტს ქალთა საზეიმო დღეს ულოცავდნენ „პოლიაბოლურ ოჯახს", რომელიც სამი პედერასტისგან შედგებოდა და რომელმაც იშვილა პატარა ბიჭი: სამივე ნაკაცარმა დოკუმენტებში დედად წარმოუდგინა თავი საზოგადოებრიობას. ამ საზიზღარი ფაქტის შესახებ დიდი ზარზეიმით იუწყებოდა ამერიკული მედია.

ასე ხდება ყოველთვის, როცა ჯოჯოხეთური ჯაბნის ადამიანურს. ამერიკაში პედერასტების მომრავლების გამო აღარავინ წუხს, უმცირესობად აღარ მიიჩნევენ, ფემინისტი ქალები ყელში ამოუვიდათ, ზანგები შარშანდელი თოვლივითაა, მათმა აქტივობამ დაღალა ხალხი, მაშასადამე, მოსაძებნია ახალი „ჩაგრულები", ისეთები, რომლებიც სძულთ „შავრაზმელებს", ყველა რელიგიის ბნელეთის მოციქულებს და რომელთა გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე საბოლოოდ დაანგრევს ტრადიციულ საზოგადოებრიობას.

პედოფილები ზედგამოჭრილები არიან ახალი „ჩაგრული უმცირესობის" როლის შესასრულებლად, რომლის ლეგალიზებაც დაიწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მაგალითად, ამერიკულ მედიაგიგანტ ABC-ს ხელმძღვანელობამ მიუთითა თავის თანამშრომლებს, არ გამოიყენონ სიტყვა „პედოფილი" მაშინაც კი, როცა საქმე ეხება ბავშვების გამაუპატიურებელ რეციდივისტებს.

ამ აკრძალვის არგუმენტად მედიაბოსებმა მოიშველიეს პედოფილ **ᲯᲔᲘᲛᲡ ᲒᲠᲘᲤᲘᲜᲘᲡ** თვითმკვლელობის ფაქტი, რომელმაც სიცოცხლე მოისწრაფა 2019 წლის ოქტომბერში, როცა სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო ბავშვებზე არაერთგზის სექსუალური ძალადობის ბრალდებით. 69 წლის ჯეიმს ჯეფრი გრიფინი სამი ათწლეულის განმავლობაში აუპატიურებდა თავის მცირეწლოვან მსხვერპლთ. ამასთან, 2001 წლიდან ლონსესტონის საერთო პროფილის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში ექიმად მუშაობდა.

პროკურატურის განმარტებით, გრიფინმა თავი მოიწამლა ნარკოტიკების დიდი დოზით, იუწყება ბრიტანული Daily Mail.

სახენათელ დასავლეთში დაიწყო პედოფილიის გათეთრება — „ტოლერანტული და ჰუმანური" პრესა მთავარ გამამართლებელ მეთოდად პრობლემისადმი სამედიცინო მიდგომას იყენებს, რომლითაც თავის დროზე ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაციის პროცესი განახორციელეს, რაც ნიშნავს: საზოგადოებრივ სივრცეში ტრანლირდება თეზისი, რომ არ შეიძლება დაავადებულთა მარგინალიზაცია საზოგადოებრივი ობსტრუქციით.

არავითარი სტიგმატიზაცია!

სხვაგვარად „ისინი ვერ დაუბრუნდებიან ნორმალურ ცხოვრებას" და განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას.

ეს ერთი.

მეორე — უარი უნდა ვთქვათ პედოფილიის, როგორც ფსიქიკური დაავადების განსაზღვრაზე. პედოფილია ამიერიდან ფსიქიკური პათოლოგია კი არ არის, არც დაავადება, ნორმის ნაირგვარობაა(!).



დღეს ამით იწყებენ, ხვალ კი ციხეში გამოამწყვდევენ ყველას, ვინც კი ცუდის თქმას გაბედავს მათზე, „ვინც ყველას არ ჰგავს", ვინც „სექსპროსვეტის" გაკვეთილებზე თავიანთ შვილებს აუკრძალავს დასწრებას.

„ნორმალურობის რიგში" პედოფილიის ჩაყენება, წლებია, მიმდინარეობს აშშ-ის „მეცნიერების" გარკვეული ჯგუფის მიერ.

პედოფილიის ნორმალიზებას იმავე ალგორითმით ცდილობენ, როგორითაც ტრანსგენდერობა ჩანერგეს. ჯერ ფსიქიკური დაავადების რიგიდან ამოშლიან, ნორმალურ სექსაუალურ ორიენტაციად მონათლავენ და პედოფილიის ნაცვლად „ბავშვებისადმი სექსუალურ ლტოლვას დაარქმევენ, შემდეგ ჰეტერო და ჰომოსექსუალობას გაუთანაბრებენ.

ტრანსგენდერის პარალელურად უკვე გაჩნდა ტერმინი „ტრანსასაკობრივი" ადამიანი, რომელიც ნიშნავს მოზრდილი ადამიანის სხეულში ჩაბუდებულ ბავშვს. მისი უფლება კი თურმე ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც ყველა ნორმალური ადამიანის.

მაგრამ ახალი „ნორმების" დანერგვა დასავლეთშიც კი მძიმედ, წინააღმდეგობის გართულებული დაძლევის გზით მიმდინარეობს, მაგრამ, თუ ისეთივე მონდომებითა და ფინანსური ძალების მობილიზებით გაგრძელდება, რისი მოწმენიც დღეს ვართ, გამორიცხული არ არის, რომ ორ-სამ წელიწადში ყველას, ვინც საზოგადოებრიობის ტრადიციების, სიწმინდეთა დასაცავად ვიბრძვით, ფაშისტობა დაგვაბრალონ.

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯო ლუისს პროფესიონალურ რინგზე 1934 წლის 4 ივლისს ჰქონდა დებიუტი. მისი მეტოქე იყო ნორვეგიელი ჯეკ კრეკენი, რომელიც ლუისმა 9-ჯერ (!) ჩააგდო ნოკდაუნში. და, როდესაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონის უძლიერესი დარტყმით ნორვეგიელი რინგის გარეთ აღმოჩნდა, რეფერიმ ორთაბრძოლა შეწყვიტა.**

# ყავისფერი ბომბდამშენი

**ჯოზეფ ლუის ბაროუ 1914 წლს 13 მაისს დაიბადა ქალაქ ლაფაეტში (ალაბამას შტატი, აშშ). მის მშობლებს, ყოფილი მონების შთამომავლებს, არასახარბიელო მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში. კრივის მომავალი ვარსკვლავის მამა, მონრო, აფროამერიკელი იყო „თეთრი ფესვებით“; დედა, ლილი, ინდიელი გახლდათ. სეგრეგაციის ეპოქაში მათ ძალიან უჭირდათ — იმხანად ალაბამა რასისტული განწყობების ცენტრი იყო.**



ჯოზეფი მეშვიდე იყო 8-ბავშვიან ოჯახში. მისი დაბადებიდან 2 წლის შემდეგ მამა ოჯახისთვის ლუკმაპურის ძებნაში ქანცგაცლილი გაგიჟდა და ფსიქიატრიულში მოათავსეს. ჯოზეფის დედა ცოლად გაჰყვა **პეტ ბრუკსს.** მალე ოჯახმა დატოვა ალაბამა და დეტროიტში გადავიდა საცხოვრებლად. ჯოზეფს დედა ყოველ კვირას აძლევდა ფულს, ვიოლინოზე დაკვრა რომ ესწავლა. ბიჭმა კი მალულად დაიწყო კრივზე სიარული და ფულს გასახდელში კარადის დაქირავებაში იხდიდა, როცა შინ მიდიოდა, მოკრივის ხელთათმანებს ვიოლინოს ფუტლარში მალავდა. ჯოზეფი 17 წლის იყო, სამოყვარულო რინგზე პირველი ბრძოლა რომ გამართა. **ცუდად განათლებულმა ბიჭმა მონაწილეების ბიულეტენში თავისი სახელი უზარმაზარი ასოებით ჩაწერა და გვარისთვის ადგილი აღარ ეყო. ასე იქცა ჯოზეფ ლუის ბეროუ ჯო ლუისად და ეს სახელი მან სიცოცხლის ბოლომდე ატარა. სადებიუტო ორთაბრძოლა ლუისმა წააგო, მაგრამ მარცხმა მეტი მონდომებისა და შრომისკენ უბიძგა და დაუფასდა კიდეც — სამოყვარულო რინგზე მან 53 ბრძოლა გამართა და 50-ში გაიმარჯვა, თანაც 43-ში — ნოკაუტით.**

მოყვარულთა შორის მოპოვებული გამარჯვების გამო ჯო ლუისმა სხვადასხვა მენეჯერის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ დეტროიტელ **ჯონ როქსბორო** აირჩია. მან მოკრივის გარშემო შესანიშნავი გუნდი შეკრიბა, რომელშიც მთავარი ფიგურა იყო მწვრთნელი **ჯეკ ბლეკბერნი.** მან უზარმაზარი წვლილი შეიტანა ლუისის ჩემპიონად ჩამოყალიბებაში. ჯოს შესანიშნავი მონაცემები ჰქონდა მძიმეწონიანი მოკრივისთვის (სიმაღლე — 188 სმ, გაშლილ მდგომარეობაში ხელის სიგრძე — 193 სმ), ძალიან სწრაფი იყო, ჰქონდა ძლიერი დარტყმა და კარგი ტაქტიკური მომზადება.

## პროფესიონალურ რინგზე

**ჯო ლუისს პროფესიონალურ რინგზე 1934 წლის 4 ივლისს ჰქონდა დებიუტი. მისი მეტოქე იყო ნორვეგიელი ჯეკ კრეკენი, რომელიც ლუისმა 9-ჯერ (!) ჩააგდო ნკდაუნში. და, როდესაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონის უძლიერესი დარტყმით ნორვეგიელი რინგის გარეთ აღმოჩნდა, რეფერიმ ორთაბრძოლა შეწყვიტა.**

ლუისმა ნელ-ნელა დაიმსახურა პრესის ყურადღება. ჟურნალისტები მას აღწერდნენ, როგორც მორიდებულ და ზრდილობიან ადამიანს, მაგრამ ახალგაზრდა მოკრივეზე ყველაზე უკეთ მისი მუშტები ლაპარაკობდნენ. ყოველი გამარჯვების შემდეგ ჯო ლუისის პოპულარობა მატულობდა და მალე ამერიკული კრივის იმედად იქცა.

1935 წელს ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის, იტალიელი ფაშისტის, **ბენიტო მუსოლინის,** ფავორიტ **პრიმო კარნერის** დამარცხების შემდეგ ჯო ლუისმა ამერიკელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. იტალიელი მე-6 რაუნდში 3-ჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში და, როცა ბაგირებს ჩამოეკიდა, მსაჯმა შეხვედრა შეწყვიტა. ამ გამარჯვების შემდეგ ჯო ლუისი ყოფილ მსოფლიო ჩემპიონ **მაქს ბერის** შეხვდა და მეოთხე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.


ჯო ლუისი და მაქს შმელინგი

1936 წელს ლუისი ლეგენდარულ გერმანელ მოკრივეს, **მაქს შმელინგს,** დაუპირისპირდა და მე-12 რაუნდში დამარცხდა. ეს მისი პირველი მარცხი იყო პროფესიონალურ კარიერაში. მოგვიანებით, როდესაც ვნებათაღელვა ჩაცხრა, გაირკვა, რომ ლუისი არ მომზადებულა ამ ბრძოლისთვის. მოსამზადებელ პერიოდში ის გოლფმა გაიტაცა და მოკრივის „მსხალზე“ მეტად გოლფის ჯოხებით იყო დაკავებული.

ლუისი ამ მარცხის შემდეგ ყოველი ორთაბრძოლისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა. ერთი წლის შემდეგ ის მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის შეხვდა **ჯეიმს ბრედოკს** და მრისხანე ოპონენტი მერვე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. ლუისი მეორე შავკანიანი მსოფლიო ჩემპიონი იყო მძიმე წონით კატეგორიაში და საზოგადოების ყველა ფენის სიყვარულით სარგებლობდა.


ჯო ლუისი და როკი მარჩიანო



## რევანში შმელინგთან, ანუ აშშ ჰიტლერის წინააღმდეგ

ბრედოკის დამარცხების შემდეგ ჯო ლუისმა სამჯერ წარმატებით დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მაგრამ მისი იმჟამინდელი მიზანი შმელინგის დამარცხება იყო და მან ეს შესაძლებლობა მალე მიიღო.

ლუისზე გამარჯვების შემდეგ შმელინგი ნაცისტურ გერმანიაში ეროვნულ გმირად აღიარეს. მას „ჭეშმარიტ არიელს“ უწოდებდნენ და **ჰიტლერის** იდეების პროპაგანდისთვის იყენებდნენ. შმელინგისა და ლუისის ორთაბრძოლა 1938 წლის 22 ივნისს გაიმართა ნიუ-იორკის არენა „იანკიზე“. შეხვედრის წინ შმელინგმა განაცხადა, რომ „შავი ბიჭი შმელინგს ვერასდროს დაამარცხებს“, ჰონორარს, რომელსაც გამარჯვების შემდეგ მიიღებს, ვერმახტისთვის ტანკების დამზადებას მოხმარდებოდა. ამ სიტყვებმა საბოლოოდ განსაზღვრა ბრძოლის სტატუსი: რინგზე ლუისი და შმელინგი იბრძოდნენ, მაგრამ მათ უკან აშშ და გერმანია იდგა. უნდა ითქვას, რომ შმელინგი არასოდეს ყოფილა ნაცისტური პარტიის წევრი, ხოლო 1938 წელს ე.წ. გერმანიის წმენდის პერიოდში ორი ებრაელი ბავშვის სიცოცხლე იხსნა.

ორთაბრძოლის დაწყებისთანავე ლუისმა პირდაპირ დაბომბა შმელინგი ძლიერი დარტყმებით, 1-ელი რაუნდის მესამე წუთზე კი მარჯვენა კროსით რინგზე დააგდო.


ჯო ლუისი არმიაში

## არმიაში სამსახური და კრივიდან წასვლა

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ლუისმა მოისურვა, მოხალისეთა არმიაში ჩაწერილიყო. იმ მომენტში 52 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული პროფესიონალურ რინგზე და გადაწყვეტილება უაზრო ჩანდა. ლუისი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 1942 წლის იანვარში მიიღეს. ჯო ლუისის ამ ნაბიჯმა ხელი შეუწყო რასობრივი სეგრეგაციის შემცირებას აშშ-ის არმიაში, ხოლო მისი ფრაზა **„ჩვენ გავიმარჯვებთ, იმიტომ, რომ ღმერთი ჩვენ მხარესაა“** იმდროინდელი ამერიკის ლოზუნგად იქცა. 1945 წელს, არმიიდან წამოსვლის შემდეგ სურდა, თავი დაენებებინა კრივისთვის, მაგრამ უზარმაზარმა ვალმა აიძულა, კვლავ განეგრძო ასპარეზობა. რინგზე დაბრუნება წარმატებული იყო: ზედიზედ 5 მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ლეგენდარული **ჯერი ჯო უოლკოტი,** მაგრამ მალე აშკარა შეიქნა, რომ ჯო ლუისი ძველებურად ველარ უმკლავდებოდა მოწინაალმდეგეებს. 1950 წელს 36 წლის „ყავისფერი ბომდამშენი“ (ასე შეარქვა პრესამ) **ეზარდ ჩარლზთან** დამარცხდა, 1951 წელს კი მწარე მარცხი (ნოკაუტით) იწვნია ლეგენდარული **როკი მარჩიანოსგან.**

ამის შემდეგ **ჯო ლუისმა კრივს თავი დაანება. მან პროფესიონალურ რინგზე 69-დან 66 ორთაბრძოლა მოიგო, მათ შორის 52 ნოკაუტით.**

სიცოცხლის ბოლოს ლეგენდარული მოკრივე ლას ვეგასში სასტუმრო „იზარ პელასის“ ალაყაფის კარის გამღებად მუშაობდა.

ჯო ლუისი 1981 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა, კრივის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციამ ის ყველა დროის საუკეთესო მძიმეწონიან მოკრივედ აღიარა.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# გერმანია რუსეთისგან «სპუტნიკ V»-ის შესყიდვას აპირებს



**მას შემდეგ, რაც ბრიუსელში უარი თქვეს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა „სპუტნიკ V"-ის კოლექტიურ შეკვეთაზე, გერმანიამ გადაწყვიტა, დამოუკიდებლად იმოქმედოს, — იუწყება გამოცემა Bild-ი.**

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრ **იენს შპანის** განცხადებით, ბრიუსელმა უარი თქვა კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V"-ის კოლექტიურ შეკვეთაზე ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის, ამიტომ გერმანია დამოუკიდებლად გააფორმებს შეთანხმებას რუსეთთან პრეპარატის შესყიდვაზე, მაგრამ ჯერ სამკურნალო საშუალებების ევროპულმა სააგენტომ უნდა გასცეს მისი გამოყენების ნებართვა.

გერმანიის მთავრობა უკვე, დიდი ხანია, მოითხოვს, რომ ევროკავშირმა მოლაპარაკებები დაიწყოს „სპუტნიკ V"-ის შესყიდვაზე. ამასთანავე, ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს საჭირო არ არის, რადგან ვაქცინაზე მოთხოვნა სხვა მწარმოებლის პროდუქციით შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუმცა ევროკავშირის რამდენიმე წევრმა ქვეყანამ უკვე მოასწრო რუსეთთან შეთანხმება ვაქცინის მიწოდებაზე.

ბავარია გერმანიაში პირველი ფედერალური მიწაა, რომელმაც მოახერხა რუსეთისგან გარანტიის მიღება ვაქცინის 2,5 მლნ დოზის მიწოდებაზე.

**russian.rt.com- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# ღარიბების რაოდენობამ 18%-ით მოიმატა — რამდენი ადამიანი იღებს სახელმწიფო შემწეობას



**საქართველოში უკიდურესად ღარიბი ადამიანების რაოდენობა ყოველთვიურად მატულობს. ბოლო წელიწადში იმ ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან საარსებო შემწეობას იღებენ, დაახლოებით, 18%-ით მოიმატა.**

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, 2021 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა (უკიდურესად გაჭირვებულების) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83 296 ადამიანით არის მომატებული. სტატისტიკური მონაცემებით, 2020 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 458 468-ს შეადგენდა, 2021 წლის მარტში კი — 541 764-ს, რაც მოსახლეობის 14,5%-ს შეადგენს. მილიონს გადააჭარბა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობამაც — მათი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2020 წლის მარტში ასეთი ადამიანების რაოდენობა შეადგენდა 922 247-ს, დღეის მდგომარეობით კი, ბაზაში 1 033 051 ადამიანია რეგისტრირებული.

bpn.ge



# ლაშა ტალახაძე მეხუთედ გახდა ევროპის ჩემპიონი

მოსკოვში ძალოსნობაში ევროპის 2021 წლის ჩემპიონატი **ქართველი ძალოსნის ტრიუმფით დასრულდა.** დასკვნით დღეს ყველაზე ბოლოს ფიცარნაგზე უმძიმესი წონითი კატეგორიის (+109 კგ) მამაკაცები გავიდნენ და მსოფლიო ძალოსნობის ლიდერმა **ლაშა ტალახაძემ** თავის მდიდარ მონაგარს ევროპის ჩემპიონის (მეხუთედ) კიდევ ერთი ტიტული მიამატა. ამავე დროს დაამყარა ორი ახალი მსოფლიო რეკორდი.



# ბრაზილიაში ქრისტეს ახალ და უფრო დიდ ქანდაკებას აკეთებენ (ფოტოები)

**იესო ქრისტეს ახალი ქანდაკება რიო დე ჟანეიროს ცნობილ ქანდაკებაზე მაღალი იქნება.**

ქრისტეს ახალი ქანდაკება სამხრეთ ბრაზილიაში, ქალაქ ენკანტადოში განთავსდება. ქანდაკება კვარცხლბეკის ჩათვლით 43 მეტრი იქნება. აღსანიშნავია, რომ რიო დე ჟანეიროს ქრისტეს ქანდაკების სიმაღლე 38 მეტრია, ახალი ქანდაკება კი სიმაღლით მსოფლიოში მესამე ადგილს დაიკავებს.

იდეა ადგილობრივ პოლიტიკოსს, **ადროალდო კონზატისს,** ეკუთვნის, რომელიც მარტში კოვიდვირუსით ინფიცირების გამო გარდაიცვალა. 350 000-დოლარიანი პროექტი, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დასრულდება.

pia.ge





# გრიგორი კარასინი: საქართველოსთან ავიამიმოსვლის აღდგენაზე საუბარი ნაადრევია

**საქართველოში არსებული რადიკალურად განწყობილი ძალები გაურკვევლობას მატებენ რუსეთთან საჰაერო კომუნიკაციის აღდგენის საკითხს, რომელზეც საუბარი ნაადრევია, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა რუსულ გამოცემა „კომერსანტთან" ინტერვიუში.**

„საჰაერო მიმოსვლაზე საუბარი ნაადრევია. საქართველოში რადიკალი მყვირალები ამ საკითხს მხოლოდ გაურკვევლობას მატებენ. გაიხსენეთ ბოლო შემთხვევა **ვლადიმერ პოზნერის** მიმართ. ეს იყო სრულიად მახინჯი ინციდენტი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამ საკითხზე საქართველოს პრემიერმინისტრის დაბალანსებული განცხადება მოვისმინეთ", — აღნიშნა კარასინმა. მისი თქმით, საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძესთან, მუშაობას ონლაინფორმატით განაგრძობს.

„ამ ერთობლივ მუშაობას ჩვენ 2012 წლიდან ვატარებთ და მას პრაქტიკული შედეგები მოაქვს რიგ მნიშვნელოვან სფეროებში. პანდემიამ არ მოგვცა საშუალება, 2020 წელს პირისპირ შევხვედროდით, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას ონლაინფორმატში", — განაცხადა კარასინმა.

tass.ru



# ევროპის ქვეყნებს შორის პატიმართა რაოდენობით საქართველო მესამეა

**ევროპის საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, თურქეთს პროცენტულად ყველაზე მეტი პატიმარი ჰყავს.**

2020 წლის პენიტენციური სტატისტიკური მონაცემებით (SPAC), **თურქეთში** ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველაზე მეტი პატიმარი მოდის – 357.2, შემდეგია **რუსეთი** – 356.1 პატიმრით, მესამე ადგილზეა **საქართველო,** აქ ყოველ 100 000 მოსახლეზე 263.8 პატიმარია. ხუთეულში ასევე მოხვდნენ **ლიტვა** – 219.7 და **აზერბაიჯანი** – 208.7.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, მსჯავრდადებულთა მაღალი სტატისტიკა აქვთ ლიტვას, ჩეხეთს, პოლონეთს, სლოვაკეთსა და ესტონეთს. ყველაზე ცოტა პატიმარი ჰყავთ ჯუჯა სახელმწიფოებს – **მონაკოსა** (33.3) და **სან მარინოს** (0.0), ასევე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევიან **ნორვეგია** (58.8) და **ფინეთი** (49.9). **გერმანიის** მაჩვენებელია 76.2, **საფრანგეთის** — 105.3, **იტალიის** — 101.2 და **ესპანეთის** — 123.3. მთლიანად ევროპაში ყოველ 100 000 მოსახლეზე 103.2 პატიმარი მოდის.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894